

10

I ნაწილი

ისტორია

ბესიკ ლორთქიფანიძე, აკაკი სადუნიშვილი

მასწავლებლის წიგნი

ბესიკ ლორთქიფანიძე, აკაკი სადუნიშვილი

ისტორია 10

მასწავლებლის წიგნი

I ნაწილი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტროს მიერ 2022 წელს.

გამომცემლობა „დიოგენე“

ბესიკ ლორთქიფანიძე, აკაკი სადუნიშვილი
ისტორია 10
მასწავლებლის წიგნი, I ნაწილი

რედაქტორები სოლომონ ნოზაძე, ლალი ბაქრაძე

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2022, I გამოცემა
ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-11-740-4

გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი, აფაქიძის ქ. 9, ტელეფონი 221 33 21
ელფოსტა adm@diogene.ge
www.diogene.ge

სარჩევი

ზოგადი ინფორმაცია სახელმძღვანელოს შესახებ 5

სახელმძღვანელოს სწავლების მიზნები 6

X კლასის კურიკულუმი 24

თემა I. პრეისტორია და ძველი აღმოსავლეთი 24

თემა 2. ანტიკური ეპოქა 24

1. პრეისტორია და ძველი აღმოსავლეთი – მატრიცა 25

2. ანტიკური ეპოქა – მატრიცა 63

სოლოტაქსონომია 107

მასწავლებლის წიგნის მიმოხილვა და მისი გამოყენების წესი 117

მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომების სპეციფიკა საგნის სწავლების პროცესში 117

მეთოდიკური ორიენტირები 119

მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ძირითადი სტრატეგიები 122

რეკომენდაციები სასწავლო-საგანმანათლებლო რესურსების
შესახებ სწავლების მიზნის მიღწევის ეფექტიანობისათვის 124

მოსწავლის შეფასების პრინციპები 124

აქტივობების, ღონისძიებების, პროექტების, პრაქტიკული სამუშაოების
ჩატარებასთან დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები 126

ინფორმაცია მოსწავლის წიგნის/რვეულის შესახებ 133

განმარტება მოსწავლის რვეულის შესახებ 134

მასწავლებლის წიგნის დასკვნითი ნაწილი 134

გამოყენებული ლიტერატურა 135

ზოგადი ინფორმაცია სახელმძღვანელოს შესახებ

X კლასის სახელმძღვანელო „ისტორია“ ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის იმ სტანდარტს, რომელიც შეიმუშავა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ. ეროვნული სასწავლო გეგმა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა. ეროვნული სასწავლო გეგმის მთავარი ამოცანაა, შექმნას ეროვნული მიზნების მისაღწევი საგანმანათლებლო გარემო და რესურსები. ამ მიზნიდან გამომდინარე, იგი ირჩევს პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო კონცეფციას. ეს კონცეფცია გულისხმობს, ფაქტობრივი ცოდნის გარდა, მოსწავლეს განუვითაროს ზოგადი და სპეციფიკური უნარ-ჩვევები და მაღალზნეობრივი ღირებულებები. საშუალო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმა პირდაპირ მიუთითებს, რომ ისტორიის სწავლა-სწავლება მიზნად ისახავს:

- ხელი შეუწყოს მოსწავლის ჰუმანურ, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, პატრიოტ მოქალაქედ ჩამოყალიბებას;
- მოსწავლეს გაუღვივოს ინტერესი საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის შესწავლის მიმართ;
- მოსწავლეს განუვითაროს ისტორიული (პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური) პროცესების ანალიზისა და მათი თანამედროვეობასთან შედარების უნარი; ისტორიული პიროვნებებისა და მოვლენების მრავალმხრივად შეფასების უნარი;
- დაეხმაროს მოსწავლეს ისტორიული ეპოქების აღქმასა და მათი მახასიათებლების ერთმანეთთან/თანამედროვეობასთან შედარებაში;
- მოსწავლეს განუვითაროს ისტორიის კვლევისთვის საჭირო უნარები;
- მოსწავლეს შესძინოს ისტორიის დარგობრივი ენით ოპერირების უნარი.

X კლასის „ისტორიის“ სახელმძღვანელო ეფუძნება ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის საშუალო საფეხურის ისტორიის სტანდარტს.

საგნის სწავლების მიზნები

ისტორია (საგანი „ისტორია“)

შესავალი

სტანდარტი განკუთვნილია საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის. მის საფუძველზე უნდა მომზადდეს ორი კურსი: (1) პირველი მათგანი – **„ისტორია“** გულისხმობს მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის მქონე მოვლენების/პროცესების შესწავლასა და მათთან საქართველოს ისტორიის საკითხების დაკავშირებას; (2) მეორე კურსის – **„საქართველოს ისტორიის“** ფარგლებში კი აქცენტი კეთდება ქართული ისტორიოგრაფიის აქტუალური პრობლემების კვლევასა და სიღრმისეულ გააზრებაზე.

სტანდარტში შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით განსაზღვრულია გრძელვადიანი მიზნები. შინაარსი აღიწერება თემების (ქვეთემების), საკითხებისა და ქვეცნებების სახით. ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს სავალდებულო თემებს. თემების შესაბამის საკითხებს კი სკოლები თავად ირჩევენ. თითოეულ თემას ახლავს შედეგების მიღწევის ინდიკატორები. ისინი განსაზღვრავს, რა უნდა შეფასდეს სწავლა-სწავლების პროცესში. ინდიკატორები დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით.

საფეხურის შედეგები

საშუალო საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., ისტ. საშ.1:

„ისტ.“ – მიუთითებს საგანს ისტორია;
„საშ.“ – მიუთითებს საშუალო საფეხურს;
„1“ – მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

ისტორიის სტანდარტის შედეგები საშუალო საფეხურზე		
შედეგების ინდექსი	**შედეგები**	**სამიზნე ცნებები**
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
ისტ.საშ.1.	ისტორიული წყაროს გამოყენება საკუთარი მოსაზრების/პოზიციის დასაბუთებისთვის; ისტორიოგრაფიის განვითარების კანონზომიერებების დაკავშირება იმის გაცნობიერებასთან, რომ ახალი წყაროების/მტკიცებულებების აღმოჩენის შემთხვევაში შესაძლებელია ნებისმიერი მოვლენის ახლებურად გააზრება/გადაფასება;	**ისტორიული წყარო (ისტ.საშ.1,2,4,5)** **დრო (ისტორიული პერიოდი) (ისტ.საშ. 1,2,3,4,5,6)** **სივრცე (გარემო, ტერიტორია) (ისტ. საშ.1,2,3,4,5,6)** **საზოგადოება (ისტ.საშ.1,2,3,4,5,6)** **ძალაუფლება (ისტ. საშ.3,4,5,6,7,8)** **ისტორიული მოვლენა/ პროცესი (ისტ.საშ.3,4,5,6)**
ისტ.საშ.2	ისტორიული მოვლენების ანალიზისას ქრონოლოგიისა და ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების ადეკვატური გამოყენება; ისტორიულ პროცესებზე სივრცე-დროითი ასპექტების კვლევა ცვალებადობის ფენომენის გასააზრებლად;	
ისტ.საშ.3	ისტორიული მოვლენის/პროცესების კლასიფიცირება და ტიპოლოგიური დაჯგუფება (პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და ა.შ. ნიშნით) სხვადასხვა ისტორიულ ეპოქასა და თანამედროვეობაში არსებული ტიპურად მსგავსი მოვლენებისა და პროცესების ურთიერთდაკავშირებულად განსახილველად;	
ისტ.საშ.4	ერთი და იმავე ისტორიული მოვლენის/პროცესის/ პიროვნების მოღვაწეობის განსხვავებულად ინტერპრეტირება, გაანალიზება და შეფასება მულტიპერსპექტიული მიდგომების უპირატესობის გასააზრებლად;	
ისტ.საშ.5	ისტორიული მოვლენებისა და პროცესების დანახვა/შეფასება, როგორც კონკრეტულ ეპოქაში მცხოვრები ადამიანების თვალით, ასევე ეპოქისგან დისტანცირებით, ერთი მხრივ, ეპოქის უნიკალურობის, მეორე მხრივ კი უნივერსალურ იდეათა განვითარების კანონზომიერებების გასააზრებლად;	
ისტ.საშ.6	ქვეყნის წარსულის, აწმყოსა და მომავლის ერთიან კონტექსტში გააზრება; ისტორიულ მაგალითებზე დაყრდნობით დემოკრატიის პრინციპების (კულტურული, ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება, თანასწორობა, სამშვიდობო პროცესები) დაკავშირება სახელმწიფოებრიობასა და პატრიოტიზმთან;	

სავალდებულო თემები:

„ისტორიისა“ და „საქართველოს ისტორიის“ კურსის სწავლა-სწავლება წარიმართება პარალელურად. ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს, რომელი სავალდებულო თემები უნდა ისწავლებოდეს ურთიერთდაკავშირებულად.

ისტორია	**საქართველოს ისტორია**
X კლასი	**X კლასი**
პრეისტორია და ძველი აღმოსავლეთი	საქართველო ქვისა და ბრინჯაოს ხანაში
ანტიკური ხანა (ახ. წ. III საუკუნემდე)	საქართველო ანტიკურ ხანაში (ახ. წ. III საუკუნემდე)
გვიანანტიკური ხანა და ადრეული შუა საუკუნეები (1014 წლამდე)	საქართველო გვიანანტიკურ და ადრეული შუა საუკუნეების პერიოდში (1014 წლამდე)
XI კლასი	**XI კლასი**
შუა საუკუნეები	განვითარებული შუა საუკუნეები საქართველოში
გვიანი შუა საუკუნეები და ადრეული ახალი დრო	საქართველო XV-XVIII საუკუნეებში
„ხანგრძლივი XIX საუკუნე“	საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში
XII კლასი	**XII კლასი**
„ხანმოკლე XX საუკუნე“	საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა
	საქართველო საბჭოთა კავშირში
მსოფლიო ათასწლეულების მიჯნაზე	საქართველო და თანამედროვე მსოფლიო

სწავლა-სწავლების პროცესში სკოლებმა უნდა დაიცვან თემების ზემოთ შემოთავაზებული თანამიმდევრობა (X კლასში შესაძლებელია, თემები განაწილდეს შემდეგნაირად: პირველ სემესტრში – ორი თემა, მეორე სემესტრში – ერთი თემა; XI კლასში: პირველ სემესტრში – ერთი თემა, მეორე სემესტრში – ორი თემა; XII კლასში: პირველ სემესტრში – „ისტორია“ – ერთი თემა, „საქართველოს ისტორია“ – ორი თემა, მეორე სემესტრში – ერთი თემა).

„ისტორიის“ X კლასის სახელმძღვანელო ეფუძნება ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის საშუალო საფეხურის ისტორიის სტანდარტს.

ა. ა) ისტორია

სავალდებულო თემებისა და შეფასების ინდიკატორების დამაკავშირებელი ცხრილები:

თითოეულ ცხრილში მოცემულია შეფასების ინდიკატორები, რომლებიც წარმოაჩენს, როგორ რეალიზდება შედეგები კონკრეტულ თემაში.

თემა: პრეისტორია და ძველი აღმოსავლეთი
თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები **წყარო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს: სხვადასხვა ტიპის წყაროებზე *(არქეოლოგიური მონაცემები, წერილობითი წყაროები)* დაყრდნობით პრეისტორიული და ძველაღმოსავლური პერიოდის ისტორიული მოვლენების/პროცესების გაანალიზება. **დრო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს: პრეისტორიასთან და ძველაღმოსავლურ პერიოდთან დაკავშირებული ისტორიული მოვლენების/პროცესების დაკავშირება პერიოდიზაციის სხვადასხვა სისტემასთან (მაგალითად, არქეოლოგიურ პერიოდიზაციასთან; ისტორიულ პერიოდიზაციასთან); მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის სქემების დაკავშირება საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის სისტემასთან; იმ ფაქტორების გაანალიზება, რომლებიც პრეისტორიულ და ძველაღმოსავლურ პერიოდში ცვალებადობის/დროის ფენომენის სპეციფიკურად აღქმას განაპირობებდა. **სივრცე** – მოსწავლემ უნდა შეძლოს: პრეისტორიასთან/ბრინჯაოს ხანასთან დაკავშირებულ მოვლენებზე/პროცესებზე მსჯელობისას მართებული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების გამოყენება; ქვის და ბრინჯაოს ხანისთვის საკვანძო მნიშვნელობის ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცეების (მათ შორის, კავკასიის) მნიშვნელობის დახასიათება; ძველაღმოსავლურ პერიოდში გეოგრაფიული ცოდნის განვითარებაზე მსჯელობა. **საზოგადოება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს: პრეისტორიული/ბრინჯაოს ხანის საზოგადოების თავისებურებების *(იდენტობის საშუალებები, „კულტურული სხვის“ ფენომენი, სოციალური ფენები, ყოველდღიურობა)* გამოკვეთა და სხვა ისტორიული პერიოდების საზოგადოებებთან შედარება. **ძალაუფლება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს: ძალაუფლების ფენომენთან დაკავშირებული საკითხების *(სიმბოლოები, სახელისუფლებო სტრუქტურები, ძალაუფლების დანაწილება, ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფორმები, ძალაუფლების ფენომენისადმი დამოკიდებულება)* გაანალიზება ძველაღმოსავლური პერიოდის საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების მაგალითებზე დაყრდნობით. **ისტორიული მოვლენა/პროცესი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს: პრეისტორიასთან/ბრინჯაოს ხანასთან დაკავშირებული სოციალური და პოლიტიკური მოვლენებისა და პროცესების გაანალიზება *(საკვლევ თემასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების ტიპოლოგიურად დაჯგუფება; სხვადასხვა პერსპექტივიდან გაანალიზება; მათ შორის მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენა; საკვლევი თემის ისტორიული მნიშვნელობის გააზრება; მისი ინტერპრეტირება მოვლენის თანამედროვის თვალით);* მათი დაკავშირება/შედარება შესაბამისი პერიოდის საქართველოს ისტორიის საკითხებთან.

თემა: ანტიკური ხანა (ახ. წ. III საუკუნემდე)
თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები **წყარო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს: სხვადასხვა ტიპის წყაროებზე *(არქეოლოგიური მონაცემები, წერილობითი წყაროები, ნუმიზმატიკური მასალა)* დაყრდნობით ანტიკური ხანის ისტორიული მოვლენების/პროცესების გაანალიზება. **დრო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს: ანტიკურ პერიოდთან დაკავშირებული ისტორიული მოვლენების/პროცესების დაკავშირება პერიოდიზაციის სხვადასხვა სისტემასთან (მაგალითად, არქეოლოგიურ პერიოდიზაციასთან; ისტორიულ პერიოდიზაციასთან); მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის სქემების დაკავშირება საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის სისტემასთან; იმ ფაქტორების გაანალიზება, რომლებიც ანტიკურ პერიოდში ცვალებადობის/დროის ფენომენის სპეციფიკურად აღქმას განაპირობებდა. **სივრცე** – მოსწავლემ უნდა შეძლოს: ანტიკურ ხანასთან დაკავშირებულ მოვლენებზე/პროცესებზე მსჯელობისას მართებული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების გამოყენება; ანტიკური ხანისთვის საკვანძო მნიშვნელობის ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცეების (მათ შორის, კავკასიის) მნიშვნელობის დახასიათება; ანტიკურ პერიოდში გეოგრაფიული ცოდნის განვითარებაზე მსჯელობა. **საზოგადოება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს: ანტიკური ხანის საზოგადოების თავისებურებების *(იდენტობის საშუალებები, „კულტურული სხვის“ ფენომენი, სოციალური ფენები, ყოველდღიურობა)* გამოკვეთა და სხვა ისტორიული პერიოდების საზოგადოებებთან შედარება. **ძალაუფლება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს: ძალაუფლების ფენომენთან დაკავშირებული საკითხების *(სიმბოლოები, სახელისუფლებო სტრუქტურები, ძალაუფლების დანაწილება, ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფორმები, ძალაუფლების ფენომენისადმი დამოკიდებულება)* გაანალიზება ანტიკური ხანის საქართველოს, მახლობელი აღმოსავლეთისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნების მაგალითებზე დაყრდნობით. **ისტორიული მოვლენა/პროცესი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს: ანტიკურ ხანასთან დაკავშირებული სოციალური და პოლიტიკური მოვლენების/პროცესების გაანალიზება *(საკვლევ თემასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების ტიპოლოგიურად დაჯგუფება; სხვადასხვა პერსპექტივიდან გაანალიზება; მათ შორის მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენა; საკვლევი თემის ისტორიული მნიშვნელობის გააზრება; მისი ინტერპრეტირება მოვლენის თანამედროვის თვალით);* მათი დაკავშირება/შედარება შესაბამისი პერიოდის საქართველოს ისტორიის საკითხებთან.

თემა: გვიანანტიკური ხანა და ადრეული შუა საუკუნეები (1014 წლამდე)

თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები

წყარო – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

სხვადასხვა ტიპის წყაროებზე *(არქეოლოგიური მონაცემები, წერილობითი წყაროები, ნუმიზმატიკური მასალა)* დაყრდნობით გვიანანტიკური ხანისა და ადრეული შუა საუკუნეების ისტორიული მოვლენების/პროცესების გაანალიზება.

დრო – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

გვიანანტიკურ ხანასა და ადრეულ შუა საუკუნეებთან დაკავშირებული ისტორიული მოვლენების/პროცესების დაკავშირება პერიოდიზაციის სხვადასხვა სისტემასთან (მაგალითად, ისტორიულ პერიოდიზაციასთან, რელიგიურ პერიოდიზაციასთან);

მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის სქემების დაკავშირება საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის სისტემასთან;

ფაქტორების გაანალიზება, რომლებიც გვიანანტიკურ ხანასა და ადრეულ შუა საუკუნეებში ცვალებადობის/დროის ფენომენის სპეციფიკურად აღქმას განაპირობებდა.

სივრცე – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

გვიანანტიკურ ხანასთან და ადრეულ შუა საუკუნეებთან დაკავშირებულ მოვლენებზე/პროცესებზე მსჯელობისას მართებული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების გამოყენება;

გვიანანტიკური ხანისა და ადრეული შუა საუკუნეებისთვის საკვანძო მნიშვნელობის ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცეების (მათ შორის, კავკასიის) მნიშვნელობის დახასიათება;

გვიანანტიკურ ხანასა და ადრეულ შუა საუკუნეებში გეოგრაფიული ცოდნის განვითარებაზე მსჯელობა.

საზოგადოება – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

გვიანანტიკური ხანისა და ადრეული შუა საუკუნეების პერიოდის საზოგადოების თავისებურებების *(იდენტობის საშუალებები, „კულტურული სხვის“ ფენომენი, სოციალური ფენები, ყოველდღიურობა)* გამოკვეთა და სხვა ისტორიული პერიოდების საზოგადოებებთან შედარება.

ძალაუფლება – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

გვიანანტიკურ ხანასა და ადრეულ შუა საუკუნეებში ძალაუფლების ფენომენთან დაკავშირებული საკითხების *(სიმბოლოები, სახელისუფლებო სტრუქტურები, ძალაუფლების დანაწილება, ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფორმები, ძალაუფლების ფენომენისადმი დამოკიდებულება)* გაანალიზება საქართველოს, მახლობელი აღმოსავლეთისა და ევროპის ქვეყნების მაგალითებზე დაყრდნობით.

ისტორიული მოვლენა/პროცესი – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

გვიანანტიკურ ხანასთან და ადრეულ შუა საუკუნეებთან დაკავშირებული სოციალური და პოლიტიკური მოვლენების/პროცესების გაანალიზება *(საკვლევ თემასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების ტიპოლოგიურად დაჯგუფება; სხვადასხვა პერსპექტივიდან გაანალიზება; მათ შორის მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენა; საკვლევი თემის ისტორიული მნიშვნელობის გააზრება; მისი ინტერპრეტირება მოვლენის თანამედროვის თვალით);* მათი დაკავშირება/შედარება შესაბამისი პერიოდის საქართველოს ისტორიის საკითხებთან.

X კლასის სახელმძღვანელო, ისტორიის კონკრეტული პერიოდის ცოდნის გარდა, მოსწავლეს შესძენს ზოგად და საზოგადოებრივ მეცნიერებებისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ უნარ-ჩვევებს.

ზოგადი უნარ-ჩვევებია:

- პრობლემის გააზრება და კავშირების დადგენა;
- ინფორმაციის მოპოვება და ამ ინფორმაციის გაანალიზება;
- კვლევა;
- კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარი;
- შემოქმედებითი უნარი.

სპეციფიკური უნარ-ჩვევებია:

- ისტორიული დროის გაგება და ეპოქის განცდა;
- ისტორიული რუკების, ვიზუალური წყაროების (პლაკატი, ფოტო, ნახატი, კარიკატურა და ა. შ.) ანალიზის უნარი;
- ქრონოლიგიური და ტიპოლოგიური დიაგრამების, ცხრილების შექმნის უნარი;
- საკუთარი ქვეყნის კულტურულ მემკვიდრეობაზე პასუხისმგებლობისა და ზრუნვისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები.

ჩვენ მიერ შექმნილი სახელმძღვანელო თავის წვლილს შეიტანს ეროვნული სასწავლო გეგმის მისიისა და მიზნებით გათვალისწინებული უნარებისა და ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში. ის გადის იმ შედეგებზე, რომლებსაც ესგ-ს საშუალო საფეხურის ისტორიის სტანდარტი მოითხოვს. სახელმძღვანელოს პარაგრაფები ისეა აგებული, რომ გაკვეთილი ჩატარდეს ინტერაქტიულად. ის ითვალისწინებს მრავალფეროვან მეთოდიკურ ორიენტირებს. ცნობილია, რომ ისტორიის სწავლა-სწავლება უნდა წარიმართოს შემდეგი პრინციპების დაცვით: სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა მოტივირებასა და შინაგანი ძალების გააქტიურებას, ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებას, სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლას); სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარაციულს, პროცედურულსა და პირობისეულს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სასწავლო თემის ასაგებად უმთავრესი ორიენტირებია სტანდარტის შედეგები. ისინი სტანდარტში სავალდებულო სახითაა განსაზღვრული. ცნებებსა და შედეგებზე დაყრდნობით განისაზღვრება მკვიდრი წარმოდგენები, საკვანძო კითხვები და შეფასების ინდიკატორები. სასწავლო თემის სწავლა-სწავლება განსაზღვრულია საგნობრივი საკითხები, რესურსები, დავალებების ტიპები/ნიმუშები გაგების, გააზრების, განმტკიცებისა და შეჯამების მიზნით. თითოეული თემის პარაგრაფები ისეა აგებული, რომ უპასუხოს საკვანძო შეკითხვებს:

ა) საიდან ვიცით, რომ წარსულში ყველაფერი მართლაც ისე ხდებოდა, როგორც ამას ისტორიკოსები გადმოგვცემენ?

ბ) როგორ უნდა გავარკვიოთ, რა მოხდა სინამდვილეში, როდესაც სხვადასხვა წყარო ერთმანეთისგან განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდის? რომელი ისტორიული წყარო იმსახურებს ნდობას?

გ) რატომ იცვლება ყველაფერი (ყოფა-ცხოვრება, ტექნოლოგიები, ტრადიციები, ღირებულება/დამოკიდებულებები) ჩვენ გარშემო?

დ) რატომ არის ცვალებადობა ისტორიის განუყოფელი ნაწილი? რატომ განსხვავდება ისტორიული ეპოქები ერთმანეთისგან?

ე) რატომ უნდა გავითვალისწინო ფაქტების, მოვლენებისა და პროცესების შეფასებისას ისტორიული გარემო (კონტექსტი), რომელსაც ისინი უკავშირდება?

ვ) როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები საქართველოში სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში (როგორი იყო მათი ყოფა, ყოველდღიური ცხოვრება, მსოფლმხედველობა)?

ზ) რატომ უნდა ვსწავლობდე საკუთარი ქვეყნისა და მსოფლიოს ისტორიას?

თ) როგორ ვისწავლო ისტორია?

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ყოველ თემას ახლავს შემაჯამებელი კომპლექსური დავალებები, რადგან მხოლოდ კომპლექსური დავალებების საშუალებით შეიძლება გამოვლინდეს, რამდენად დაეუფლა მოსწავლე თემის ფარგლებში ასათვისებელ ცოდნა-უნართა ერთობლიობას და რამდენად ახერხებს მათ ფუნქციურად გამოყენებას. ზემოთ თქმულთან ერთად, უნდა აღვნიშნოთ, რომ მასწავლებლის წიგნში შეძლებისდაგვარად განმარტებულია სწავლების სხვადასხვა მეთოდი და სტრატეგია. ჩვენი სახელმძღვანელოს, ასევე, მოსწავლისა და მასწავლებლის წიგნების ძირითად კონცეპტუალურ მიმართულებად სწორედ ის მიგვაჩნია, რომ ნებისმიერ მასწავლებელს საშუალებას მისცემს, სწავლების დროს ჩაატაროს ინტერაქტიული გაკვეთილი და იმავდროულად, მეთოდიკის შერჩევისას თავისუფალი იყოს არჩევანში.

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის უკეთ გასააზრებლად სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვისა და წარმართვისათვის მასწავლებელს ოთხ შეკითხვაზე სჭირდება მკაფიო პასუხი:

1. რა მიზნით ვასწავლი? (სწავლა-სწავლების მიზნები)
2. რა მასალაზე დაყრდნობით ვასწავლი? (სასწავლო საკითხები და რესურსები)
3. როგორ ვასწავლი? (სწავლა-სწავლების მეთოდები და სტრატეგიები)
4. როგორ ვაფასებ მოსწავლეების მიღწევებს? (შეფასება)

ამ კითხვებზე პასუხისთვის მნიშვნელოვანია, გავეცნოთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების საფუძველზე ჩამოყალიბებულ სასწავლო კურიკულუმს და მასში ასახულ თემატურ მატრიცებს.

რა არის სასწავლო კურიკულუმი?

სასწავლო კურიკულუმი არის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა საგნობრივ საკითხებს, დავალებებს, თემებს, ფორმალური და არაფორმალური განათლების აქტივობებს, ძირითად და დამატებით რესურსებს, შეფასების ინსტრუმენტებს სთავაზობს საგანმანათლებლო დაწესებულება საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის/ეროვნული სასწავლო გეგემის შედეგების მისაღწევად. მასწავლებლის წიგნში მოცემულია სასწავლო კურიკულუმის ნიმუში, რომელიც დახმარებას გაუწევს პედაგოგებს.

ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში სასწავლო კურიკულუმი განიხილება მთავარ საშუალებად:

- სწავლა-სწავლების ხარისხის ასამაღლებლად;
- სასკოლო საზოგადოების ერთიანი გუნდად ჩამოსაყალიბებლად;
- სასკოლო კულტურის გარდასაქმნელად;
- ტექნოლოგიების დასანერგად.

სასწავლო კურიკულუმები შედგება თემატური მატრიცებისგან. თემატური მატრიცა სახელმძღვანელოში არსებული თემების მიხედვით განაწილებულ დავალებათა ერთობლიობაა. X კლასის სახელმძღვანელოში წარმოდგენილია ორი თემა: თემა I – პრეისტორია და ძველი აღმოსავლეთი და თემა II – ანტიკური ეპოქა. ამ თემებზე მომზადებული დავალებების ერთობლიობა ქმნის თემატურ მატრიცებს, თემების მიხედვით შექმნილი თემატური მატრიცა კი – სასწავლო კურიკულუმს.

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების საფუძველზე სასწავლო კურიკულუმის ასაგებად და განსავითარებლად საჭიროა 4 ძირითადი კომპონენტის გააზრება:

1. გრძელვადიანი მიზნების საფუძველზე შუალედური სასწავლო მიზნების (ანუ კომპლექსური დავალების პირობის) ჩამოყალიბება;
2. კომპლექსური დავალებაზე ორინტირებით სწავლა-სწავლების მიღწევების შეფასება;
3. კომპლექსურ დავალებაზე ორიენტირებით სწავლა-სწავლების პროცესის წარმართვა;
4. სასწავლო კურიკულუმის სსსმ მოსწავლეებისათვის ადაპტირება.

გრძელვადიანი მიზნების საფუძველზე შუალედური სასწავლო მიზნების (კომპლექსური დავალებების) ჩამოყალიბება.

კურიკულუმი, თავისი ბუნებით, მიზანზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამაა. შესაბამისად, მისი აგებისა და განვითარებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების იერარქიაში გარკვევას.

ა) გრძელვადიანი მიზნები;

ბ) მოკლევადიანი/შუალედური მიზნები.

გრძელვადიანი მიზნები

გრძელვადიან მიზნებზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია, ერთმანეთისგან გაიმიჯნოს ოთხი კომპონენტი:

1) ეროვნული სასწავლო გეგმის მისია და მიზნები;
2) საფეხურის შედეგები და სამიზნე ცნებები;
3) სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები და შეფასების კრიტერიუმები;
4) ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტული თემები.

- **ეროვნული სასწავლო გეგმის მისია და მიზნები** – ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს ზოგად უნარებსა და ღირებულებებს, რომელთა შეძენა-განვითარებასაც ემსახურება საგანი. მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში, რომელიც ცნებების პედაგოგიკას ეყრდნობა, ეს ზოგადი კომპონენტები გარდაქმნილია მაკროცნებებად.
- **საფეხურის შედეგები და სამიზნე ცნებები** – მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ზოგადი კომპონენტები/მაკროცნებები საგნობრივი კონტექსტებისაგან იზოლირებულად არ მუშავდება. სწავლა-სწავლების პროცესში ყველაზე მეტად ხელშესახებ სამიზნე ორიენტირად მოიაზრება საფეხურის საგნობრივი შედეგები და სამიზნე ცნებები.
- **სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები და შეფასების კრიტერიუმები** – ეროვნულ სასწავლო გეგმაში განსაზღვრული საფეხურის შედეგები და სამიზნე ცნებები ზოგადი ორიენტირებია. კურიკულუმის ასაგებად მათი კიდევ უფრო მეტად დაკონკრეტებაა საჭირო. ამისთვის გამოიყენება ორი ინსტრუმენტი – მკვიდრი წარმოდგენები და შეფასების ზოგადი კრიტერიუმები, რომლებიც ერთმანეთთან მკაცრ თანხვედრაში უნდა იყოს.
- **მკვიდრი წარმოდგენა** – სტრუქტურული ერთეულია, რომელიც შემოსაზღვრავს ცნების მოცულობას და აზუსტებს, რა უნდა ჰქონდეს მოსწავლეს გაცნობიერებული ამ ცნებასთან მიმართებით საფეხურის ბოლოს. ისინი ფორმულირდება სათაურის ქვეშ: „მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ“.

მაგალითი თვალსაჩინოებისთვის:

სამიზნე ცნება „წყარო“ და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები
მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:
1) ინფორმაციას წარსულის შესახებ ისტორიკოსები წყაროებიდან იღებენ;
2) წარსულის შესწავლისას ისტორიკოსები სხვადასხვა ტიპის წყაროებს (ნივთიერს, ეთნოგრაფიულს, წერილობითს, ლინგვისტურს, კინო-, ფოტო-, ფონოდოკუმენტებს) ეყრდნობიან;
3) ყველა წყარო ერთნაირად სანდო არ არის;
4) წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია არაერთმნიშვნელოვანია, ამიტომ მათი ინტერპრეტაცია ისტორიკოსებს შორის დისკუსიის საგანია.

შეფასების კრიტერიუმები – სტრუქტურული ერთეულია, რომელიც განსაზღვრავს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ სამიზნე ცნებასთან მიმართებით. იგი ფორმულირდება სათაურის ქვეშ: „ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე“. მკვიდრი წარმოდგენები და შეფასების კრიტერიუმები მკაცრ თანხვედრაშია ერთმანეთთან.

სამიზნე ცნება „წყარო“/„დრო“ და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	**კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები**
მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:	**კომპლექსურ დავალებაში/დავალების პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:**
1) ინფორმაციას წარსულის შესახებ ისტორიკოსები წყაროებიდან იღებენ;	რა ტიპის წყაროებიდან შეგვიძლია მივიღოთ ინფორმაცია პრეისტორიული ეპოქის შესახებ? (მ.წ 1 და 2 – წყარო)
2) წარსულის შესწავლისას ისტორიკოსები სხვადასხვა ტიპის წყაროებს (ნივთიერს, ეთნოგრაფიულს, წერილობითს, ლინგვისტურს, კინო-, ფოტო-, ფონოდოკუმენტებს) ეყრდნობიან;	რამდენად სანდოა პრეისტორიული ეპოქის შესწავლის პროცესში გამოყენებული წყაროები და რატომ იწვევს ეს წყაროები მკვლევართა განსხვავებულ ინტერპრეტაციებს? (მ.წ 3 და 4 – წყარო)
3) ყველა წყარო ერთნაირად სანდო არ არის;	რა პერიოდს მოიცავს პრეისტორიული ეპოქა და როგორ აღრიცხავდნენ პირველყოფილი ადამიანები დროს? (მ.წ 2 და 3 – დრო)
4) წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია არაერთმნიშვნელოვანია, ამიტომ მათი ინტერპრეტაცია ისტორიკოსებს შორის დისკუსიის საგანია;	როგორ შეიცვალა პირველყოფილი ადამიანის ყოფა კომპლექსური საზოგადოების შექმნის შემდეგ? (მ.წ 1 – დრო)
5) ისტორია დროში მიმდინარე ცვალებადობის შემსწავლელი დარგია;	
6) კაცობრიობის მიერ განვლილი გზა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქად და პერიოდად იყოფა;	
7) სხვადასხვა ხალხს დროის აღრიცხვის განსხვავებული სისტემა ჰქონდა.	

მოკლევადიანი მიზნები

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, შუალედური სასწავლო მიზნის სტატუსი კომპლექსურ დავალებას აქვს მინიჭებული. კომპლექსური დავალება შემოქმედებითი პროდუქტია (მაგალითად: კომიქსი, მოთხრობა, ვიდეორგოლი, პლაკატი და სხვ.), რომელსაც ქმნის მოსწავლე და რომლის საშუალებითაც საკუთარ ცოდნას ადასტურებს საგნობრივ საკითხებთან/შესასწავლ მასალასთან მიმართებით (მაგალითად, ადასტურებს, როგორ გაიგო ტექსტის შინაარსი, ამა თუ იმ ბუნებრივი მოვლენის არსი და სხვ.).

რა არის საჭირო იმისთვის, რომ კომპლექსურმა დავალებამ შუალედური სასწავლო მიზნის როლი შეასრულოს?

- მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული კონკრეტული (და არა ზოგადი) საკითხი, რომლის შესწავლასაც კომპლექსური დავალება ემსახურება;
- მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც მოსწავლემ კომპლექსური დავალების ფარგლებში უნდა შექმნას;
- კომპლექსურ დავალებას უნდა ახლდეს შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მას სამიზნე ცნებას მკვიდრი წარმოდგენებისკენ (ანუ გრძელვადიანი მიზნობრივი ორიენტირებისკენ) მიმართავს.

ამ ნიუანსების ასახსნელად გამოვიყენებთ ცხრილს, რომელიც გზადაგზა ივსება და მაგალითების სახით წარმოაჩენს კომპლექსური დავალების პირობის შექმნის პროცესს. როგორც აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანია, მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული კონკრეტული საკითხი, რომლის შესწავლასაც კომპლექსური დავალება ემსახურება. მაგალითად, კონკრეტულ საკითხად შეგვიძლია მოვიაზროთ „პრეისტორიული ადამიანის ყოფა-ცხოვრება და საქმიანობა“.

კონკრეტული საგნობრივი საკითხი

სამიზნე ცნება – წყარო/დრო **შედეგები** – ისტორიული წყარო (ისტ.საშ.1,2,4,5)/დრო (ისტორიული პერიოდი) (ისტ. საშ.1,2,3,4,5)
თემა – **საკითხი** – „პრეისტორიული ადამიანის ყოფა-ცხოვრება და საქმიანობა“
კომპლექსური დავალების პირობა

თუმცა ამ ტიპის კონკრეტული საკითხების გამოყოფა ადვილი არ არის. პრაქტიკაში ტიპური 2 სახის შეცდომაა:

1) ქვეცნებებისა და საკითხის ერთმანეთში არევა;
2) ზოგადი და კონკრეტული საკითხების ერთმანეთში არევა.

სამიზნე ცნება	**ქვეცნება**	**საკითხი**
წყარო	არქეოლოგია	ჩათალ-ჰუიუქის აღმოჩენები
	პეტროგლიფები	ლასკოს გამოქვაბულის მხატვრობა
დრო	ქრონოლოგია	პალეოლითიდან ენეოლითამდე პერიოდი
	ცვალებადობა	მომპოვებლური და მწარმოებლური მეურნეობა

პირველ სვეტში მოცემულია სამიზნე ცნება, რომლის გასააქტიურებლადაც უნდა შეირჩეს საგნობრივი საკითხი. მეორე სვეტში წარმოდგენილია ქვეცნებები, რომლებიც უფრო აკონკრეტებს სამიზნე ცნებას. მათი გამოყენებით უნდა მოხდეს სამიზნე ცნების აქტუალიზება (ანუ, მოსწავლემ გაკვეთილზე უნდა იმსჯელოს არქოლოგიურ მონაცემებზე და არა ზოგადად წყაროს ფენომენზე). მესამე სვეტში კი მოცემულია სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების შესაბამისი საკითხების ნიმუში, რომლებზე დაყრდნობითაც მასწავლებელმა უნდა შექმნას კომპლექსური დავალება. ეს ცხრილი მასწავლებელს იმის აღქმაში დაეხმარება, თუ საიდან გამომდინარეობს საგნობრივი საკითხი. აღსანიშნავია, რომ პირველი და მეორე სვეტები მყარი მოცემულობაა, მესამე სვეტში კი რამდენიმე საკითხი მხოლოდ მაგალითის სახითაა დასახელებული.

ეროვნული სასწავლო გეგმის სავალდებულო მოთხოვნაა სასწავლო პროცესის დაგეგმვა თემების მიხედვით. საკითხების დამუშავებისას მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს ქვესაკითხებზე. ქვესაკითხები შეგვიძლია მოვიაზროთ ნაწილების ერთობლიობად, რომელიც რომელიმე ერთ კონკრეტულ საკითხს შეადგენს. მაგ., პირველი კომპლექსური

დავალების საკითხია „პრეისტორიული ადამიანის ყოფა-ცხოვრება და საქმიანობა“, რომლის ქვესაკითხებად შეგვიძლია წარმოვადგინოთ პალეოლითი/მეზოლითი, ადრესამიწათმოქმედო საზოგადოება და კომპლექსური საზოგადოება, რომლებიც ერთი დიდი საკითხის შემადგენელ ნაწილებად მოიაზრება. ეს ქვესაკითხები სახელმძღვანელოში წარმოდგენილია პარაგრაფების სახით. თითოეული მათგანი კურიკულუმის განსხვავებულად დაგეგმვის შემთხვევაში შეიძლება თავად იყოს მთავარი საკითხი.

სავალდებულო თემა

სამიზნე ცნება – წყარო/დრო **შედეგები –** ისტორიული წყარო (ისტ.საშ.1,2,4,5)/დრო (ისტორიული პერიოდი) (ისტ. საშ.1,2,3,4,5)
თემა – პრეისტორია და ძველი აღმოსავლეთი **საკითხი –** „პრეისტორიული ადამიანის ყოფა-ცხოვრება და საქმიანობა“
კომპლექსური დავალების პირობა: წარმოიდგინე, რომ ილუსტრატორი ხარ და საბავშვო ჟურნალმა დაგიკვეთა კომიქსი, რომლის მეშვეობით ჟურნალის მკითხველებს მარტივი და მოსახერხებელი ფორმით მიაწვდი ინფორმაციას პრეისტორიული ეპოქის შესახებ.

კომპლექსური დავალების ფარგლებში მოსწავლემ უნდა შექმნას კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი. მისი საშუალებით იგი ცხოვრებისეულ კონტექსტში ცოდნის ტრანსფერს გააკეთებს და შესასწავლ საკითხთან მიმართებით საკუთარ ცოდნას წარმოაჩენს. მაგალითად, ქვემოთ მოცემული კომპლექსური დავალების შემთხვევაში შემოქმედებითი პროდუქტია „კომიქსი“.

კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი

სამიზნე ცნება – წყარო/დრო **შედეგები –** ისტორიული წყარო (ისტ.საშ.1,2,4,5)/დრო (ისტორიული პერიოდი) (ისტ. საშ.1,2,3,4,5)
თემა – პრეისტორია და ძველი აღმოსავლეთი **საკითხი –** „პრეისტორიული ადამიანის ყოფა-ცხოვრება და საქმიანობა“
კომპლექსური დავალების პირობა: წარმოიდგინე, რომ ილუსტრატორი ხარ და საბავშვო ჟურნალმა დაგიკვეთა კომიქსი, რომლის მეშვეობით ჟურნალის მკითხველებს მარტივი და მოსახერხებელი ფორმით მიაწვდი ინფორმაციას პრეისტორიული ეპოქის შესახებ.

კომპლექსური დავალება ორიენტირებული უნდა იყოს გრძელვადიან მიზნებზე. მან მკაფიოდ უნდა განსაზღვროს გრძელვადიანი მიზანი, რომლის დაძლევა/გააზრებასაც მოსწავლის მხრიდან საგნობრივი საკითხის შესწავლა ემსახურება (ანუ პასუხი უნდა გაეცეს შეკითხვას: რატომ ვასწავლით ამ საკითხის შესახებ მოსწავლეს?). ეროვნულ სასწავლო გეგმაში გრძელვადიანი მიზნები საფეხურის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახითაა ჩამოყალიბებული, ცნების მკვიდრი წარმოდგენები კომპლექსურ დავალებაში კრიტერიუმების სახითაა ასახული.

შეფასების კრიტერიუმები

სამიზნე ცნება – **შედეგები –**
თემა – პრეისტორია და ძველი აღმოსავლეთი **საკითხი –** „პრეისტორიული ადამიანის ყოფა-ცხოვრება და საქმიანობა“
კომპლექსური დავალების პირობა: წარმოიდგინე, რომ ილუსტრატორი ხარ და საბავშვო ჟურნალმა დაგიკვეთა კომიქსი, რომლის მეშვეობით ჟურნალის მკითხველებს მარტივი და მოსახერხებელი ფორმით მიაწვდი ინფორმაციას პრეისტორიული ეპოქის შესახებ. **კომიქსში თვალნათლივ წარმოაჩინე:** • რა ტიპის წყაროებიდან შეგვიძლია მივიღოთ ინფორმაცია პრეისტორიული ეპოქის შესახებ? (მ.წ 1 და 2: წყარო) • რამდენად სანდოა პრეისტორიული ეპოქის შესწავლის პროცესში გამოყენებული წყაროები და რატომ იწვევს ეს წყაროები მკვლევართა განსხვავებულ ინტერპრეტაციებს? (მ. წ 3 და 4 წყარო) • რა პერიოდს მოიცავს პრეისტორიული ეპოქა და როგორ აღრიცხავდნენ პირველყოფილი ადამიანები დროს? (მ.წ: 2 და 3: დრო) • როგორ შეიცვალა პირველყოფილი ადამიანის ყოფა კომპლექსური საზოგადოების შექმნის შემდეგ? (მ. წ 1: დრო)

მატრიცის არსის უკეთ გასააზრებლად მატრიცის პირველ ჰორიზონტალურ სვეტში მოცემულია საგნობრივი თემა და საათობრივი განაწილება. სასწავლო კურიკულუმისთვის იმდენი თემატური მატრიცაა საჭირო, რამდენი თემაცაა გამოყოფილი სასწავლო პროცესში (მაგ., საშუალო საფეხურის „ისტორიაში“ ორი სავალდებულო თემაა. „პრეისტორია და ძველი აღმოსავლეთი“ ერთ-ერთია მათ შორის); თემის ქვემოთ აღნიშნულია საათების სავარაუდო რაოდენობა. ამას პირობითი ხასიათი აქვს. რეალურად, სასწავლო ვითარებაში, თემის სწავლებას მითითებულზე მეტი ან ნაკლები დრო შეიძლება დაეთმოს.

თემა: პრეისტორია და ძველი აღმოსავლეთი **საათების სავარაუდო რაოდენობა -**

მატრიცის შემდეგი ბლოკი მოიცავს ორ ვერტიკალურ სვეტს, რომლებშიც წარმოდგენილია თემატური მკვიდრი წარმოდგენები და თემატური საკვანძო შეკითხვები.

- თემატური მკვიდრი წარმოდგენები – არის განზოგადებებები, რომლებამდეც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა მივიდეს. ის თემატური კონტექსტისა და სამიზნე ცნების ერთგვარი სინთეზია. მაგ.: თემატური მკვიდრი წარმოდგენის – „პრეისტორიას/ქვის ხანას ისტორიკოსები ადამიანის გაჩენიდან დამწერლობისა და სახელმწიფოს შექმნამდე პერიოდს უწოდებენ“ – ჩამოსაყალიბებლად მოსწავლეს დასჭირდება, გაიზროს პრეისტორიული კონტექსტიც და სამიზნე ცნება „დროის“ მახასიათებლებიც. თემატური მკვიდრი წარმოდგენების ფორმულირება იოლი არ არის, ამიტომ ისინი მზა სახით არის მოწოდებული თემატურ მატრიცაში.
- თემატური საკვანძო შეკითხვები – სააზროვნო შეკითხვები, რომლებზეც მოსწავლე უნდა დაფიქრდეს თემატური ერთეულის სწავლა-სწავლების პროცესში. ამ შეკითხვების საშუალებით თემატური კონტექსტი სამიზნე ცნებას უკავშირდება. მაგ.: რა ვიცით და საიდან ვიცით პრეისტორიული ეპოქის შესახებ? – მოსწავლეს უბიძგებს პრეისტორიული ეპოქის შესახებ საკუთარი ცოდნა სამიზნე ცნება „წყაროს“ დაუკავშიროს.

თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:	**თემასთან დაკავშირებული საკვანძო შეკითხვები:**

მატრიცის შემდეგი ბლოკი იყოფა ოთხ ჰორიზონტალურ სვეტად, რომლებშიც წარმოდგენილია: კომპლექსური დავალების დასახელება, სამიზნე ცნება და ქვეცნება, განსახილველი საკითხი და საკითხის დამუშავების ფარგლებში საკვანძო კითხვა.

- **ქვეცნება** – სამიზნე ცნების დაკონკრეტებაა თემასთან/საკითხთან მიმართებით. მაგ., მოსწავლემ უნდა იმსჯელოს პრეისტორიაზე და არა მხოლოდ, მაგალითად, არქეოლოგიურ მონაცემებზე;
- **საგნობრივი საკითხი/საკითხები** – თემის ფარგლებში სამიზნე ცნების გასააქტიურებლად გამოიყენება;
- **საკვანძო კითხვა** – იძლევა საკითხის გააზრების შემდეგ ცოდნის შემოწმების საშუალებას. კითხვაში უნდა ჩანდეს საგნობრივი საკითხი, ცნება და საგნობრივი საკითხის დროს შექმნილი პროდუქტი.

კომპლექსური დავალებები (დასახელება)	**სამიზნე ცნებები და ქვეცნებები**	**საკითხები**	**საკვანძო შეკითხვები**
კომიქსის შექმნა პრეისტორიული ეპოქის შესახებ	**ცნება/ცნებები: დრო, წყარო** **ქვეცნება/ქვეცნებები:** ცვალებადობა, ქრონოლოგია, ათასწლეული, ისტორიოგრაფია, ისტორიის დამხმარე დისციპლინები	პრეისტორიული ადამიანის ყოფა-ცხოვრება და საქმიანობა	როგორ უნდა წარმოვადგინო კომიქსის სახით პრეისტორიული ეპოქა, მისი მახასიათებლები და პირველყოფილი ადამიანის ყოფა-ცხოვრება?

მატრიცის შემდეგი ბლოკი შედგება ოთხი ვერტიკალური სვეტისგან.

გრძელვადიანი მიზანი **სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**	**საკითხი/ქვესაკითხები:** პრეისტორიული ადამიანის ყოფა-ცხოვრება და საქმიანობა (ქვის ხანა, ადრესამიწათმოქმედო საზოგადოება, ბრინჯაოს ხანა) **ქვეცნება/ქვეცნებები:** ცვალებადობა, ქრონოლოგია, ათასწლეული, ისტორიოგრაფია, ისტორიის დამხმარე დისციპლინები.	**საკვანძო შეკითხვა/ შეკითხვები:** როგორ უნდა წარმოვადგინო კომიქსის სახით პრეისტორიული ეპოქა, მისი მახასიათებლები და პირველყოფილი ადამიანის ყოფა-ცხოვრება?	**შუალედური სასწავლო მიზანი** **კომპლექსური დავალების პირობა**
ისტორიული წყარო (ისტ.საშ.1,2,4,5) • ინფორმაციას წარსულის შესახებ ისტორიკოსები წყაროებიდან იღებენ; • წარსულის შესწავლისას ისტორიკოსები სხვადასხვა ტიპის წყაროებს (ნივთიერს, ეთნოგრაფიულს, წერილობითს, ლინგვისტურს, კინო-, ფოტო-, ფონოდოკუმენტებს) ეყრდნობიან; • ყველა წყარო ერთნაირად სანდო არ არის. წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია არაერთმნიშვნელოვანია, ამიტომ მათი ინტერპრეტაცია ისტორიკოსებს შორის დისკუსიის საგანია.			წარმოიდგინე, რომ ილუსტრატორი ხარ და საბავშვო ჟურნალმა დაგიკვეთა კომიქსი, რომლის მეშვეობით ჟურნალის მკითხველებს მარტივი და მოსახერხებელი ფორმით მიაწვდი ინფორმაციას პრეისტორიული ეპოქის შესახებ. **კომიქსში თვალნათლივ წარმოაჩინე:** • *რა ტიპის წყაროებიდან შეგვიძლია მივიღოთ ინფორმაცია პრეისტორიული ეპოქის შესახებ? (მ. წ 1 და 2: წყარო)* • *რამდენად სანდოა პრეისტორიული ეპოქის შესწავლის პროცესში გამოყენებული წყაროები და რატომ იწვევს ეს წყაროები მკვლევართა განსხვავებულ ინტერპრეტაციებს? (მ. წ 3 და 4 წყარო)*

თემატური მატრიცის მარცხენა უკიდურეს სვეტში იწერება გრძელვადიანი მიზანი – ცნება და მისი მკვიდრი წარმოდგენები. მარჯვენა უკიდურეს სვეტში კი წარმოდგენილია კომპლექსური დავალების პირობა და შეფასების კრიტერიუმები.

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები – შუაში არსებული ვერტიკალური სვეტი პასუხია შეკითხვაზე: რას ვაკეთებ მე, როგორც მასწავლებელი, იმისთვის, რომ ჩემმა მოსწავლეებმა კომპლექსური დავალება შეასრულონ. აქ გამოიყოფა ორი ეტაპი:

პირველი ეტაპი – მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა: იწერება აქტივობები, რომლებიც მასწავლებელმა განახორციელა ან უნდა განახორციელოს იმისთვის, რომ მოსწავლეებს გაეგოთ/გაიგონ, რა ევალებათ კომპლექსური დავალების ფარგლებში (მოსწავლემ თუ ეს მკაფიოდ ვერ გაიგო, მისი ჩართულობა სასწავლო პროცესში სათანადო ვერ იქნება);

მეორე ეტაპი – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა: იწერება კრიტერიუმები, შეკითხვები და რესურსი, რომლებიც შეიძლება მასწავლებელმა გამოიყენოს შესასწავლი საკითხის დამუშავების პროცესში.

კომპლექსური დავალების თითოეული კრიტერიუმის დასამუშავებლად მეორე ეტაპზე მასწავლებელი ახორციელებს აქტივობებს ცოდნის სამი კატეგორიის მიხედვით. ეს ხელს შეუწყობს მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირების პროცესს, საკითხის გააზრებას, რის მიხედვითაც ცოდნას ასახავს შემოქმედებით პროდუქტში.

	კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (რესურსები, აქტივობები): **I ეტაპი: კომპლექსური დავალების ფორმა** **ნაბიჯი 1. როგორ უნდა წარმოვაჩინო საკუთარი ცოდნა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით?** **რესურსი/აქტივობა:** https://www.youtube.com/watch?v=KiqvGiG5mJc&t=3s **კომიქსი** სახვითი გამოცემის სახე, რომელიც თხრობითი ან დიალოგის ფორმის ტექსტით რაიმე თემაზე შესრულებული ნახატების (იუმორისტული, სათავგადასავლო და სხვ.) სერიას წარმოადგენს. კომიქსები გამოიცემა წიგნებად ან იბეჭდება გაზეთებსა და ჟურნალებში. თავდაპირველად კომიქსი გამოიყენებოდა კარიკატურების ილუსტრაციისთვის და გასართობად. **სარეკომენდაციო აქტივობა:** მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს რესურსს და დაფაზე წერს: „კომიქსი“. მოსწავლეები გონებრივი იერიშის მეთოდით აყალიბებენ მოსაზრებებს პროდუქტთან დაკავშირებით, რის შემდეგაც მასწავლებელი კითხვა-პასუხის მეთოდის გამოყენებით მოსწავლეებს აცნობს ინფორმაციას კომიქსის შესახებ.	

კითხვები აქტივობისთვის

- რა არის კომიქსი?
- რატომ ქმნიან კომიქსს?
- შენ თუ ინტერესდები კომიქსით და რატომ?
- რატომ სარგებლობს კომიქსი პოპულარულობით?
- როგორ უნდა შევქნათ კომიქსი?
- რაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება კომიქსის შექმნის დროს?
- ვინ იქნება შენი კომიქსის მთავარი პერსონაჟი? (არქეოლოგი, პირველყოფილი ადამიანი)

II ეტაპი: კომპლექსური დავალების შინაარსი

ნაბიჯი 1

- **რა ტიპის წყაროებიდან შეგვიძლია მივიღოთ ინფორმაცია პრეისტორიული ეპოქის შესახებ?**
- **რა პერიოდს მოიცავს პრეისტორიული ეპოქა და როგორ აღრიცხავდნენ პირველყოფილი ადამიანები დროს?**

რესურსი: სახელმძღვანელო, გვ. 6-10.

სარეკომენდაციო აქტივობა:
მასწავლებელს შეუძლია, წინარე ცოდნის გასააქტიურებლად გამოიყენოს სქემა ისტორიის დამხმარე დამოუკიდებელი დისციპლინების შესახებ, აქცენტით არქეოლოგიაზე და კითხვა-პასუხით გამოკვეთოს, რა მნიშვნელობა აქვს არქოლოგიას პრეისტორიული ეპოქის შესწავლისთვის.

კითხვები აქტივობისთვის:

- გაიხსენე, რომელი დისციპლინები უწევს დახმარებას ისტორიკოსებს ისტორიის შესწავლაში?
- განმარტე თითოეული მათგანი;
- როგორ ფიქრობ, რომელი დამხმარე დისციპლინა გვჭირდება წერილობითი წყაროების არქონის შემთხვევაში? რატომ?
- რაში გვეხმარება არქეოლოგია?
- რა დასკვნების გამოტანა შეგვიძლია არქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით?

X კლასის კურიკულუმი

თემა I. პრეისტორია და ძველი აღმოსავლეთი

სამიზნე ცნება / კომპლექსურის საკითხი	დრო	სივრცე	წყარო	საზოგადოება	ძალაუფლება	ისტორიული მოვლენა/ პროცესი
პრეისტორიული ადამიანის ყოფა-ცხოვრება და საქმიანობა	■		■			
აღმოსავლეთი – შუამდინარეთი – მსოფლიო ცივილი-ზაციის კერა					■	
ძველი აღმოსავლეთი – ეგვიპტე				■		
აქემენიანური სპარსეთი და დაპყრობითი ომები		■				■

თემა 2. ანტიკური ეპოქა

სამიზნე ცნება / კომპლექსურის საკითხი	დრო	სივრცე	წყარო	საზოგადოება	ძალაუფლება	ისტორიული მოვლენა/ პროცესი
ძველი ბერძნული სამყარო და მმართვე-ლობის ფორმები				■	■	
ბერძნულ-სპარსული დაპირისპირება, მიზეზები და შედეგები		■				■
რომის მმართველობა და პერიოდიზაცია	■					
ბერძნულ-რომაული ისტორიოგრაფია და მისი მახასიათებლები			■			

შენიშვნა

კომპლექსური დავალების სახით მატრიცაში არ არის შემოთავზებული პარაგრაფი 8 „ძველი ახლო აღმოსავლეთის დამწერლობა“ და პარაგრაფი 9-10 „საერთაშორისო ვაჭრობა, დიპლომატია და ხელშეკრულებები ძველ ახლო აღმოსავლეთში“. ამ პარაგრაფებისთვის პე-დაგოგს შეუძლია, დამოუკიდებლად მოამზადოს კომპლექსური დავალება. მის ფარგლებში შესაძლებელია, დამუშავდეს ცნებები „წყარო“ და „ისტორიული მოვლენა/პროცესი“.

1. პრეისტორია და ძველი აღმოსავლეთი _ მატრიცა

თემა: პრეისტორია და ძველი აღმოსავლეთი საათების სავარაუდო რაოდენობა - 35 სთ	
თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები: • პრეისტორიას/ქვის ხანას ისტორიკოსები ადამიანის გაჩენიდან დამწერლობისა და სახელმწიფოს შექმნამდე პერიოდს უწოდებენ; • ქვის ხანაში საზოგადოების განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენდა კლიმატური პირობები, ამიტომ არქეოლოგიური პერიოდიზაცია ითვალისწინებს გეოლოგიური პერიოდების მონაცვლეობას; • მეცნიერებს შორის განსხვავებული მოსაზრება არსებობს იმასთან დაკავშირებით, თუ როდის გაჩნდა პირველი ცივილიზაცია/კომპლექსური საზოგადოება და რა არსობრივი მახასიათებლები ჰქონდა მას; • ქვის, ბრინჯაოსა და რკინის ხანის საზოგადოების კომპლექსურად აღსაწერად არქეოლოგები გამოყოფენ არქეოლოგიურ კულტურებს; • მეცნიერები ხშირად დავობენ იმასთან დაკავშირებით, თუ რის საფუძველზე უნდა გამოიყოს არქეოლოგიური კულტურა და რა ისტორიულ პროცესებს უკავშირდება მისი წარმოქმნა, განვითარება, დაკნინება/დაცემა; • ლურსმული ფირფიტები და ეპიგრაფიკული ძეგლები სხვადასხვა ტიპის ტექსტებს მოიცავს (საკანონმდებლო ძეგლებს, რელიგიურ ტექსტებს, სამეფო მატიანეებს, ლიტერატურულ ძეგლებს, წერილებსა და სხვ.), მათ მეცნიერები ძველაღმოსავლური საზოგადოების შესასწავლად იყენებენ; • ძველ აღმოსავლეთში დინასტიების, ქალაქების, იმპერიების ბრძოლა ძალაუფლებისთვის მჭიდროდ უკავშირდებოდა რელიგიასა და კულტმსახურებას; აქ საერო და სასულიერო ხელისუფლება ერთმანეთისგან არ იყო გამიჯნული; • სამეფო ძალაუფლების სიმბოლოებს მონუმენტური ძეგლები და ტაძრები წარმოადგენდა, რომლებიც ტიპურია ძველაღმოსავლური სამყაროსთვის; • ძველაღმოსავლური პერიოდისთვის დამახასიათებელია მკვეთრად ცენტრალიზებული ხელისუფლება და ძალაუფლების ერთი პირის ხელში კონცენტრაცია, იმის მიუხედავად, რომ სახელმწიფო მმართველობა წარმოდგენილია როგორც ქალაქ-სახელმწიფოების, ისე ცენტრალიზებული სახელმწიფოსა და ტერიტორიული იმპერიების სახით.	**თემასთან დაკავშირებული საკვანძო შეკითხვები:** • რას უწოდებენ ისტორიკოსები ქვის ხანას? • რას ეფუძნება ქვის ხანის არქეოლოგიური პერიოდიზაცია? • როგორი იყო პირველყოფილი საზოგადოება? • რით განხვავდება ნეოლითი ქვის ხანის წინა პერიოდებისგან? • რას მოგვითხრობს არტეფაქტები ნეოლითური საზოგადოების შესახებ? • რატომ ახასიათებს არქეოლოგიურ ძეგლებს საერთო ნიშან-თვისებები? როგორ გამოვყოფთ არქეოლოგიურ კულტურებს? • რატომ ახასიათებს „ნაყოფიერი ნახევარმთვარისა“ და სამხრეთ კავკასიის არქეოლოგიურ კულტურებს საერთო ნიშნები? • როგორ განვითარდა პრიმიტიული საზოგადოება კომპლექსურ საზოგადოებამდე? • როგორი იყო სამეფო ძალაუფლება ძველაღმოსავლურ საზოგადოებაში? • რატომ უკავშირდებოდა ძალაუფლებისთვის ბრძოლა რელიგიას? • რატომ ითვლებოდა მონუმენტური ძეგლები სამეფო ძალაუფლების სიმბოლოებად? • რატომ არის მნიშვნელოვანი ძველაღმოსავლური კანონები? • რატომ არ იყო კანონის წინაშე საზოგადოების ყველა წევრი თანასწორი? • როგორი იყო ძველეგვიპტური საზოგადოება? • რატომ შეეცადა ფარაონი პოლითეიზმის მონოთეიზმით შეცვლას? • რატომ ჰგავდა ძველ აღმოსავლეთში ზავებისა და ხელშეკრულებების პირობები ერთმანეთს? • რატომ გვევლინებიან ხელშეკრულების გარანტორებად ღვთაებები? • რაში სჭირდებოდათ ძველი სამყაროს მმართველებს პროპაგანდა? • როგორ გაერთიანდა შუა და ახლო აღმოსავლეთი და რატომ იყო რეგიონული და გლობალური პოლიტიკისთვის აქემენიანთა ირანის დაპყრობითი ომები მნიშვნელოვანი? • როგორ და რატომ იცვლება ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის ფორმები სპარსეთში?

• ძველაღმოსავლურ პერიოდში საზოგადოების მთავარ უჯრედს თემი წარმოადგენდა, ხოლო მეურნეობის წარმოების ფორმა უმთავრესად კოლექტიური იყო; • ძველაღმოსავლური საზოგადოება თავისუფალთა და არათავისუფალთა სოციალურ ჯგუფებს შეიცავდა, სადაც თავისუფლების შეზღუდვის ყველა ტიპი მონობად აღიქმებოდა; • ძველაღმოსავლური კომპლექსური საზოგადოება კანონებით იმართებო-და, რომლის პირველი კოდიფიკაციაც სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება; • ძველაღმოსავლური საზოგადოების რელიგია მრავალფეროვანია – წარმოდგენილია უმთავრესად პოლითეისტური (ანთროპომორფული/ არაანთროპომორფული) პანთეონით, ან დუალისტური და თვით მონოთეისტური რწმენით; • ძველ აღმოსავლეთში სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების გადაჭრა გადაჯაჭვული იყო მფარველ ღვთაებებსა და კულტმსახურებებთან; • ძველაღმოსავლური პერიოდი სახელმწიფოს რამდენიმე ტიპს იცნობს: ქალაქ-სახელმწიფოებს, ცენტრალიზებულ მონარქიასა და სახმელეთო იმპერიას, რომელმაც შუა და ახლო აღმოსავლეთის ცივილიზაციური სივრცის ერთი ხელისუფლების ქვეშ გაერთიანება შეძლო; • ძველაღმოსავლური პერიოდიდან არ შემორჩენილა რუკები და მოგზაურების ჩანაწერები, რაც გვაფიქრებინებს, რომ გეოგრაფიული ცოდნა ფართო საზოგადოებისთვის არ იყო ხელმისაწვდომი, თუმცა ტექსტების ანალიზიდან ჩანს, რომ სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები (მაგალითად, ვაჭრები, დიპლომატები) კარგად იყვნენ ინფორმირებული არა მხოლოდ მეზობელი, არამედ ძალიან შორეული სივრცეების შესახებ; • ძველი აღმოსავლეთის მეომარი სახელმწიფოების გეოგრაფიული ცოდნა რეგიონის შესახებ და მის გარეთ ივსებოდა როგორც სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებით, ისე მეზობელი და შორეული, ნაკლებად ცნობილი ქვეყნების/ხალხების წინააღმდეგ მოწყობილი სამხედრო კამპანიების მეშვეობით.	

კომპლექსური დავალებები (დასახელება)	**სამიზნე ცნებები და ქვეცნებები**	**საკითხები**	**საკვანძო შეკითხვები**
კომიქსის შექმნა პრეისტორიული ეპოქის შესახებ	**ცნება/ცნებები:** დრო, წყარო **ქვეცნება/ქვეცნებები:** ცვალებადობა, ქრონოლოგია, ათასწლეული, ისტორიოგრაფია, ისტორიის დამხმარე დისციპლინები	პრეისტორიული ადამიანის ყოფა-ცხოვრება და საქმიანობა	როგორ უნდა წარმოვადგინო კომიქსის სახით პრეისტორიული ეპოქა, მისი მახასიათებლები და პირველყოფილი ადამიანის ყოფა-ცხოვრება?
მოხსენების დაწერა ძველ აღმოსავლეთში მმართველობის ფორმებთან დაკავშირებით	**ცნება/ცნებები: ძალაუფლება** **ქვეცნება/ქვეცნებები:** სახელმწიფო, იერარქია, რელიგია, კანონი, მმართველობის ფორმა	აღმოსავლეთი – შუამდინარეთი – მსოფლიო ცივილიზაციის კერა; ხეთები	როგორ გამოვკვეთო მოხსენებაში ძველ აღმოსავლეთში მმართვე-ლობის ფორმები და ეპოქისთვის დამახასიათებელი ძალაუფლების კონცენტრირების საკითხი?
დღიურის წარმოება, რომელ-შიც წარმოჩნდება ძველი ეგ-ვიპტის სოციალური ფენები და მათი უფლებრივ-მოვა-ლეობრივი მდგომარეობა	**ცნება/ცნებები:** საზოგადოება **ქვეცნება/ქვეცნებები:** სოციალური ფენა, რელიგია, წესები, კანონი, იერარქია	ძველი აღმოსავლეთი – ეგვიპტე	როგორ წარმოვაჩინო დღიურის საშუალებით ძველი ეგვიპტის ისტორია, მისი საზოგადოებრივი ფენები და მათი უფლებრივ-მოვალეობრივი მდგომარეობა?
მოხსენების მომზადება აქემენიანთა სპარსეთის დაპყრობების შესახებ	**ცნება/ცნებები:** სივრცე/ისტორიული მოვლენა/პროცესი **ქვეცნება/ქვეცნებები:** რეგიონი, ტერიტორიული ექსპანსია, ომი, ზავი, ცივილიზაცია	აქემენიანური სპარსეთი და დაპყრობითი ომები	როგორ ავსახო მოხსენებაში სპარსეთის დაპყრობები და ტერიტორიული ცვლილებები შუა და ახლო აღმოსავლეთში?
გრძელვადიანი მიზანი **სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**	**საკითხი/ქვესაკითხები:** პრეისტორიული ადამიანის ყოფა-ცხოვრება და საქმიანობა (ქვის ხანა, ადრესამიწათმოქმედო საზოგადოება, ბრინჯაოს ხანა) **ქვეცნება/ქვეცნებები:** ცვალებადობა, ქრონოლოგია, ათასწლეული, ისტორიოგრაფია, ისტორიის დამხმარე დისციპლინები.	**საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები** როგორ უნდა წარმოვადგინო კომიქსის სახით პრეისტორიული ეპოქა, მისი მახასიათებლები და პირველყოფილი ადამიანის ყოფა-ცხოვრება?	**შუალედური სასწავლო მიზანი** **კომპლექსური დავალების პირობა**

დრო (ისტორიული პერიოდი) (ისტ.საშ. 1,2,3,4,5,6) • ისტორია დროში მიმდინარე ცვალებადობის შემსწავლელი დარგია; • კაცობრიობის მიერ განვლილი გზა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქად და პერიოდად იყოფა; • სხვადასხვა ხალხს დროის აღრიცხვის განსხვავებული სისტემა ჰქონდა. **ისტორიული წყარო (ისტ.საშ.1,2,4,5)** • ინფორმაციას წარსულის შესახებ ისტორიკოსები წყაროებიდან იღებენ; • წარსულის შესწავლისას ისტორიკოსები სხვადასხვა ტიპის წყაროებს (ნივთიერს, ეთნოგრაფიულს, წერილობითს, ლინგვისტურს, კინო-, ფოტო-, ფონოდოკუმენტებს) ეყრდნობიან;	**კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (რესურსები, აქტივობები):** **I ეტაპი: კომპლექსური დავალების ფორმა** **ნაბიჯი 1. როგორ უნდა წარმოვაჩინო საკუთარი ცოდნა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით?** **რესურსი/აქტივობა:** https://www.youtube.com/watch?v=KiqvGiG5mJc&t=3s **კომიქსი** სახვითი გამოცემის სახე, რომელიც თხრობითი ან დიალოგის ფორმის ტექსტით რაიმე თემაზე შესრულებული ნახატების (იუმორისტული, სათავგადასავლო და სხვ.) სერიას წარმოადგენს. კომიქსები გამოიცემა წიგნებად ან იბეჭდება გაზეთებსა და ჟურნალებში. თავდაპირველად კომიქსი გამოიყენებოდა კარიკატურების ილუსტრაციისთვის და გასართობად. **სარეკომენდაციო აქტივობა:** მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს რესურსს და დაფაზე წერს: „კომიქსი“. მოსწავლეები გონებრივი იერიშის მეთოდის გამოყენებით აყალიბებენ მოსაზრებებს პროდუქტთან დაკავშირებით, რის შემდეგაც მასწავლებელი კითხვა-პასუხის მეთოდით მოსწავლეებს აცნობს ინფორმაციას კომიქსის შესახებ. **კითხვები აქტივობისთვის** • რა არის კომიქსი? • რატომ ქმნიან კომიქსს? • შენ თუ ინტერესდები კომიქსით და რატომ? • რატომ სარგებლობს კომიქსი პოპულარულობით? • როგორ უნდა შევქმნათ კომიქსი? • რაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება კომიქსის შექმნის დროს? • ვინ იქნება შენი კომიქსის მთავარი პერსონაჟი? (არქეოლოგი, პირველყოფილი ადამიანი)	წარმოიდგინე, რომ ილუსტრატორი ხარ და საბავშვო ჟურნალმა დაგიკვეთა კომიქსი, რომლის მეშვეობით ჟურნალის მკითხველებს მარტივი და მოსახერხებელი ფორმით მიაწვდი ინფორმაციას პრეისტორიული ეპოქის შესახებ. **კომიქსში თვალნათლივ წარმოაჩინე:** • რა ტიპის წყაროებიდან შეგვიძლია მივიღოთ ინფორმაცია პრეისტორიული ეპოქის შესახებ? **(მ. წ. 1 და 2: წყარო)** • რამდენად სანდოა პრეისტორიული ეპოქის შესწავლის პროცესში გამოყენებული წყაროები და რატომ იწვევს ეს წყაროები მკვლევართა განსხვავებულ ინტერპრეტაციებს? **(მ.წ. 3 და 4 წყარო)**

• ყველა წყარო ერთნაირად სანდო არ არის; • წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია არაერთმნიშვნელოვანია, ამიტომ მათი ინტერპრეტაცია ისტორიკოსებს შორის დისკუსიის საგანია.	**II ეტაპი: კომპლექსური დავალების შინაარსი** **ნაბიჯი 1** • რა პერიოდს მოიცავს პრეისტორიული ეპოქა და როგორ აღრიცხავდნენ პირველყოფილი ადამიანები დროს? **(მ.წ. 2 და 3: დრო)** • რა ტიპის წყაროებიდან შეგვიძლია მივიღოთ ინფორმაცია პრეისტორიული ეპოქის შესახებ? **(მ. წ. 1 და 2: წყარო)** • რამდენად სანდოა პრეისტორიული ეპოქის შესწავლის პროცესში გამოყენებული წყაროები და რატომ იწვევს ეს წყაროები მკვლევართა განსხვავებულ ინტერპრეტაციებს? **(მ.წ. 3 და 4: წყარო)** **რესურსი:** სახელმძღვანელო: გვ. 6-10 **სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:** შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება. **სარეკომენდაციო აქტივობა:** მასწავლებელს შეუძლია, წინარე ცოდნის გასააქტიურებლად გამოიყენოს სქემა ისტორიის დამხმარე დამოუკიდებელი დისციპლინების შესახებ, უფრო მეტი აქცენტი გააკეთოს არქეოლოგიაზე და კითხვა-პასუხის სტრატეგიის გამოყენებით გამოკვეთოს, რა მნიშვნელობა აქვს არქოლოგიას პრეისტორიული ეპოქის შესწავლისთვის. **კითხვები აქტივობისთვის:** • გაიხსენე, რომელი დისციპლინები უწევს დახმარებას ისტორიკოსებს ისტორიის შესწავლაში? • განმარტე თითოეული მათგანი; • როგორ ფიქრობ, რომელი დისციპლინა გვჭირდება წერილობითი წყაროების არქონის შემთხვევაში? რატომ? • რაში გვეხმარება არქეოლოგია? • რა დასკვნების გამოტანა შეგვიძლია არქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით?	• რა პერიოდს მოიცავს პრეისტორიული ეპოქა და როგორ აღრიცხავდნენ პირველყოფილი ადამიანები დროს? **(მ.წ. 2 და 3: დრო)** • როგორ შეიცვალა პირველყოფილი ადამიანის ყოფა კომპლექსური საზოგადოების შექმნის შემდეგ? **(მ. წ. 1: დრო)**

	მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს ინფორმაციას შესასწავლი საკითხის შესახებ და შემდეგ მათ სთავაზობს პროცედურულ კითხვებს, მაგ.: • როგორ გამოიყენებ შენ მიერ მომზადებულ პროდუქტში მიღებულ ინფორმაციას? ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმების დამუშავებისათვის მასწავლებელი იყენებს სახელმძღვანელოს და მოსწავლეს აცნობს შემდეგ ფრაგმენტებს: სახელმძღვანელო, გვ. 6. პროცესის მიმდინარეობისას მასწავლებელი იყენებს სახელმძღვანელოში მოცემულ კითხვებს და ააქტიურებს მოსწავლეებს: • შენი აზრით, რას ეფუძნება მოცემული არქეოლოგიური პერიოდიზაცია? • რატომ უწოდეს დროის მონაკვეთებს ქვის, ბრინჯაოსა და რკინის სახელები? • გამოთქვი ვარაუდი, რის საფუძველზე შეიძლებოდა გამოეყოთ ქვის, ბრინჯაოსა და რკინის ხანაში ქვეპერიოდები? • ცხრილის მიხედვით, რომელი იყო ყველაზე ხანგრძლივი და ხანმოკლე არქეოლოგიური პერიოდები? • ჩანს თუ არა რამე კანონზომიერება მათ ხანგრძლივობასა და თანამიმდევრობაში? • შენი აზრით, რა განაპირობებდა ამ პერიოდების ხანგრძლივობას? • როგორ გამოიყენებ შენ მიერ მომზადებულ პროდუქტში პრეისტორიული ეპოქის დამახასიათებელ დროის მონაკვეთებს? ამ მასალის გაცნობისა და კითხვებზე პასუხის შემდეგ მასწავლებელს შეუძლია, გააგრძელოს საკითხის დამუშავება. ამისთვის მას შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოში გვ. 7-ზე წარმოდგენილი ინფორმაცია, კონკრეტულად, ფოტორესურსი, რომლის გაცნობის შემდეგაც შეუძლია მოსწავლეებს დაუსვას შემდეგი კითხვები: • დააკვირდი ქვის იარაღებს და ჩამოთვალე მათი განმასხვავებელი ნიშნები. • როგორ ფიქრობ, რის მიხედვით შეიძლება მივხვდეთ, რომ ისინი სხვადასხვა პერიოდშია დამზადებული? • რა ინფორმაციას გვაწვდის სურათზე მოცემული ქვის იარაღები? • რატომ არის მნიშვნელოვანი კაცობრიობისთვის ამ იარაღების აღმოჩენა? • რატომ არის მნიშვნელოვანი სხვადასხვა წყაროს შესწავლა ისტორიული ეპოქის გასაანალიზებლად? • როგორ გამოიყენებ შენ მიერ მომზადებულ პროდუქტში არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული იარაღების შესახებ მიღებულ ინფორმაციას?	

	ამ კითხვების დამუშავების შემდეგ პედაგოგი აგრძელებს საკითხის განხილვას და ეყრდნობა სახელმძღვანელოში არსებულ მასალას, რომელშიც განხილულია ჰომინინების წარმოშობა და გავრცელების საკითხი: გვ. 7-9. მასალის გაცნობის შემდეგ პედაგოგი მოსწავლეებს სთავაზობს კითხვებს, რომლებიც მათ საკითხის გააზრებაში დაეხმარება: • რატომ შეიძლება ჩაითვალოს სანდო წყაროდ დმანისში აღმოჩენილი არტეფაქტები? • რა ინფორმაციას გვაწვდის? რატომ არის მნიშვნელოვანი კაცობრიობისთვის? ხელს უწყობს თუ არა განსხვავებული მოსაზრებების ჩამოყალიბებას? რატომ? • რატომ არის მნიშვნელოვანი სხვადასხვა წყაროს შესწავლა ისტორიული ეპოქის გასაანალიზებლად? • დაასაბუთე, რომელი ისტორიული წყარო შეიძლება იყოს სანდო და რომელი არა? რატომ? • როგორ გამოიყენებ შენ მიერ მომზადებულ პროდუქტში დმანისის აღმოჩენების შესახებ არსებულ ცონდას პრეისტორიული ეპოქის გამოსაკვეთად? შემდეგი აქტივობის ფარგლებში პედაგოგი აგრძელებს საკითხის განხილვას სახელმძღვანელოზე დაყრდნობით და მოსწავლეებს აცნობს გვ. 9-ზე არსებულ ინფორმაციას, კერძოდ, ნეანდერტალელისა და ჰომო საპიენსის შესახებ. მასალის გაცნობის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს პარაგრაფში არსებულ შესაბამის კითხვებს: • დააჯგუფე ჰომინინები განსახლების არეალის მიხედვით: მხოლოდ აფრიკაში მცხოვრები და აფრიკიდან ევრაზიაში მიგრირებულები; რა დასკვნის გაკეთება შეიძლება მიღებული ინფორმაციიდან? • გამოთქვი ვარაუდი, რატომ არ გადარჩა ჰომინინების ყველა სახეობა, რა შეიძლებოდა ყოფილიყო ამის მიზეზი? • როგორ შემიძლია გამოვიყენო კომიქსში ჰომინინების შესახებ მიღებული ცოდნა? მასალის გაცნობის შემდეგ პედაგოგს შეუძლია, დამატებითი კითხვების გამოყენებით გააქტიუროს მოსწავლეები.	

სარეკომენდაციო კითხვები:

- როგორ ფიქრობ, რა იწვევდა კონკურენციას პრეისტორიულ ეპოქაში პირველყოფილ ადამიანებს შორის?
- დღეს რა იწვევს კონკურენციას ადამიანებს შორის?
- როგორ ფიქრობ, რამ გამოიწვია ჰომო საპიენსის აფრიკის კონტინენტის გარეთ გავრცელება?
- რომელ თანამედროვე ტერმინს გამოიყენებ მსგავსი პროცესის აღსაწერად?
- როგორ ფიქრობ, დღეს რატომ გადაადგილდებიან ადამიანები ერთი ადგილიდან მეორეზე?

ეს კითხვები ხელს შეუწყობს მოსწავლეებს ცოდნის განზოგადებასა და ყოფითი მაგალითების გამოყენებით საკითხის გააზრებაში. კითხვა-პასუხის შემდეგ პედაგოგი აგრძელებს საკითხის დამუშავებას პარაგრაფზე დაყრდნობით და ეყრდნობა გვ. 10-სა და 11-ს, სადაც განხილულია გამყინვარების პროცესი. პედაგოგს შესაძლებლობა აქვს, გამოიყენოს პარაგრაფში არსებული კითხვები:

- შენი აზრით, ზემოთ ჩამოთვლილი ოთხი კომპონენტიდან, რომელი იყო ადამიანის განვითარებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი?
- იმსჯელე, რამდენად განსხვავებული იქნებოდა ჰომინინებისა თუ ჰომო საპიენსის ცხოვრება პლეისტოცენსა და ჰოლოცენში.
- იმსჯელე, როგორ შეიძლებოდა ასახულიყო გეოლოგიურ ერებს შორის კლიმატური განსხვავება არქეოლოგიურ პერიოდიზაციაზე.
- როგორ ასახავ კომიქსში, რა გავლენას ახდენდა პირველყოფილი ადამიანის ცხოვრებასა და საქმიანობაზე კლიმატური პირობები?
- როგორ ავსახო პირველყოფილი ადამიანის შესახებ მიღებული ინფორმაცია კომიქსში?

მასალის გაცნობის შემდეგ პედაგოგს შეუძლია დამატებითი კითხვების გამოყენებით გააქტიუროს მოსწავლეები:

- რატომ ირჩევდა პირველყოფილი ადამიანი განსახლების არეალად მაღალმთიან რეგიონებს? ბარს?
- რამ შეუწყო ხელი მეცნიერებს, გაეკეთებინათ დასკვნა პირველყოფილი ადამიანის გადაადგილებისა და საცხოვრებელი პირობების შეცვლასთან დაკავშირებით?

- როგორ ფიქრობ, კლიმატის გათვალისწინებით, როგორ განსაზღვრავდა პირველყოფილი ადამიანი დროს?
- როგორ შეუწყობდა ხელს პირვლყოფილი ადამიანის ცხოვრებას დროის განსაზღვრა?
- პრეისტორიულ ეპოქაში რომ ცხოვრობდე, რაზე დაყრდნობით აღრიცხავდი დროს?

კითხვების დამუშავების შემდეგ მასწავლებელს შესაძლებლობა აქვს, განიხლოს სახელმძღვანელოს შემდეგი ფრაგმენტი გვ. 11-ზე, რომელშიც წარმოდგენილია მასალა მეზოლითის შესახებ. ამ ფრაგმენტის გაცნობის შემდეგ პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული კითხვები:

- იმსჯელე, რა შეიძლება იყოს იმის მიზეზი, რომ სხვადასხვა გეოგრაფიულ სარტყელში ამა თუ იმ პერიოდის ქრონოლოგიური საზღვრები განსხვავებულია?
- რამ განაპირობა მეზოლითის ცალკე ეტაპად გამოყოფა: ქვის იარაღების დახვეწამ, თუ კლიმატური პირობების გაუმჯობესებამ? იპოვე მიზეზშედეგობრივი კავშირი კლიმატური პირობების გაუმჯობესებასა და ქვის ინდუსტრიის დახვეწას შორის.
- რატომ შეიძლება გამოიწვიოს მკვლევრებს შორის აზრთა სხვადასხვაობა მეზოლითური ისრის წარმომავლობამ?
- როგორ წარმოვადგინო კომიქსში პირველყოფილი ადამიანის ცხოვრება მეზოლითის პერიოდში?

ამ კითხვების დამუშავების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, მოსწავლეებს შესთავზოს დავალება.

მოსწავლის რვეული: დავალება 2.

ნაბიჯი 2

- როგორ შეიცვალა პირველყოფილი ადამიანის ყოფა კომპლექსური საზოგადოების შექმნის შემდეგ? **(მ. წ. 1: დრო)**
- რა ტიპის წყაროებიდან შეგვიძლია მივიღოთ ინფორმაცია პრეისტორიული ეპოქის შესახებ? **(მ. წ. 1 და 2: წყარო)**
- რამდენად სანდოა პრეისტორიული ეპოქის შესწავლის პროცესში გამოყენებული წყაროები და რატომ იწვევს ეს წყაროები მკვლევართა განსხვავებულ ინტერპრეტაციებს? **(მ.წ. 3 და 4: წყარო)**

რესურსი:
სახელმძღვანელო, გვ. 11-21.

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:
დავალების შესრულების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, განაგრძოს შესასწავლი საკითხის დამუშავება პარაგრაფზე დაყრდნობით. ამისთვის მას შეუძლია, გამოიყენოს გვ. 12 „პირველყოფილი საზოგადოება“. ამ მასალის გაცნობის შემდეგ პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს პარაგრაფში მოცემული კითხვები:

- რატომ შეიძლება ჩაითვალოს ლასკოს მხატვრობა სანდო წყაროდ? რა ინფორმაციას გვაძლევს, რომ მის სანდოობაში დავრწმუნდეთ?
- მიუხედავად თემის წევრთა თანასწორობისა, იმსჯელე, როგორ მოხდებოდა შრომის ორგანიზება და როგორ გაინაწილებდნენ შრომას თემის წევრები.
- იმსჯელე, იქნებოდა თუ არა პირველყოფილ საზოგადოებაში კერძო საკუთრება.
- როგორ მიიღებდნენ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას, მაგ., დროებითი სადგომისა თუ სანადიროდ წასვლის შესახებ?
- იმსჯელე, ექნებოდათ თუ არა გამორჩეული ადგილი თემში ქურუმებს.
- როგორ წარმოვადგინო კომიქსში პირველყოფილი ადამიანების ჯგუფური ცხოვრების ფორმა?

პედაგოგს შეუძლია, დამატებითი კითხვების გამოყენებით გააააქტიუროს მოსწავლეები:

- რატომ გადაწყვიტეს პირველყოფილმა ადამიანებმა ჯგუფებად ცხოვრება?
- როგორ ფიქრობ, რა ცვლილებებს გამოიწვევდა პირველყოფილი ადამიანის ყოფა-ცხოვრებაში ჯგუფური საქმიანობა?
- რა არქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით შეიძლება მივიღოთ ინფორმაცია პირველყოფილი ადამიანის რწმენა-წარმოდგენების შესახებ?
- დღეს თუ ატარებენ ადამიანები რიტუალებს? როგორ ფიქრობ, რატომ?
- როგორ ფიქრობ, რატომ დაიწყეს პირველყოფილმა ადამიანებმა სამარხების გამოყენება?

- რა ისტორიულ მასალაზე დაყრდნობით შეიძლება მივიღოთ ინფორმაცია პირველყოფილი ადამიანის რწმენა-წარმოდგენებსა და საქმიანობაზე?
- რა პერიოდს მიაკუთვნებ კედლის მხატვრობას?
- როგორ ფიქრობ, კომუნიკაციის კიდევ რა საშუალებებს გამოიყენებდა პირველყოფილი ადამიანი?

ამ მასალისა და კითხვების დამუშავების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, მოსწავლეებს შესთავაზოს შემდეგი დავალება.

მოსწავლის რვეული: დავალება 3.

დავალების შესრულების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, განაგრძოს შესასწავლი საკითხის განხილვა და გამოიყენოს სახელმძღვანელოს გვ. 14 და 15, კერძოდ, ინფორმაცია ნეოლითური რევოლუციის შესახებ.
გვ. 14-ზე წარმოდგენილი ფოტორესურსის მიხედვით პედაგოგს შეუძლია, დასვას მაპროვოცირებელი კითხვები.

სარეკომენდაციო კითხვები:
- რა ინფორმაციას გვაწვდის სურათი აქ მცხოვრებ საზოგადოებაზე, მაგ., რატომაა ყველა სახლი ერთნაირი?
- რამ მიიპყრო თქვენი ყურადღება ფოტორესურსის გაცნობის შემდეგ და რატომ?

ფოტორესურსის განხილვის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს პარაგრაფში არსებულ მასალას. შესასწავლი საკითხის უკეთ გასააზრებლად გამოიყენებს პარაგრაფში მოცემულ კითხვებს:
- შენი აზრით, რა ნიშნით არჩევდა ადამიანი მოსაშინაურებლად ცხოველებს? ჩამოთვალე რამდენიმე ნიშანი.
- შენი აზრით, რა ურთიერთობა ჩამოყალიბდებოდა მიწათმოქმედ და მესაქონლე თემებს შორის?
- როგორ ფიქრობ, რომელი საზოგადოება უფრო სწრაფად განვითარდებოდა? პასუხი დაასაბუთე.
- როგორ ფიქრობ, რატომ არის შრომის დანაწილებით მეურნეობის წარმართვა უფრო შედეგიანი?
- რატომ უწოდეს ძვ. წ. VIII-VII ათასწლეულებში მიმდინარე პროცესებს რევოლუცია?

- როგორ ფიქრობ, ნეოლითურ რევოლუციას შედეგად მხოლოდ მეურნეობის ცვლილება მოჰყვებოდა, თუ სხვა ცვლილებებიც შეიძლებოდა მომხდარიყო საზოგადოებაში?
- როგორ წარმოადგენ კომიქსში ნეოლითური ხანის მახასიათებლებსა და ცვლილებებს, რომლებიც ამ პერიოდში მოხდა?

ამ კითხვების დამუშავების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს გვ. 15-ზე არსებული რუკა. შემდეგ კი პარაგრაფში არსებული კითხვების გამოყენებით დაეხმაროს მოსწავლეებს შესასწავლი საკითხის სიღრმისეულად გააზრებაში.

- დააკვირდი რუკას, როგორია ნეოლითის ქვედა ქრონოლოგიური საზღვარი რეგიონების მიხედვით?
- შენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?
- წინა აზიასა და ევროპაში მიწათმოქმედების გავრცელება დაყავი ეტაპებად. გამოიყენე თანამედროვე პოლიტიკური რუკა და განსაზღვრე, რომელი ქვეყნები იყო უძველესი.
- დაასახელე რეგიონები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება წინა აზიის სამიწათმოქმედო არეალს.
- შენი აზრით, რატომ მოხდა „ნეოლითური რევოლუცია“ კონკრეტულად ამ რეგიონებში?
- როგორ წარმოადგენ ნეოლითური ხანის განსახლების არეალს და ამ პერიოდში მომხდარ ცვლილებებს კომიქსში?

ამ კითხვების განხილვის პროცესში პედაგოგს შეუძლია, მოსწავლეებს შესთავაზოს დავალება.

მოსწავლის რვეული: დავალება 4-5.

რუკის განხილვისა და დავალების შესრულების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, განაგრძოს შესასწავლ საკითხზე მუშაობა. გვ. 16-17. ამ გვერდებზე წარმოდგენილია მასალა ადრესამიწათმოქმედო საზოგადოების შესახებ. მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს ინფორმაციას „ჩათალ-ჰუიუქის“ შესახებ. მასალის განხილვის პროცესში პედაგოგს შესაძლებლობა აქვს, გამოიყენოს ფოტორესურსები. მასალის დამუშავების შემდეგ მასწავლებელს მოსწავლეების გასააქტიურებლად შეუძლია, გამოიყენოს პარაგრაფში არსებული კითხვები:

	• შენი აზრით, რას ნიშნავს აგრარული ქალაქი? • რა ინფორმაციას გვაწვდის არტეფაქტები ჩათალ-ჰუიუქის დასახლების შესახებ? • რატომ გვეხმარება სხვადასხვა არტეფაქტი ისტორიული რეალობის/სურათის აღქმაში? • რატომ აქვს მნიშვნელობა წყაროს ისტორიის შესწავლისას? • რამდენად მნიშვნელოვანია თანამედროვე ცხოვრებაში კონკრეტული ინფორ-მაციის შემოწმება? • შენი აზრით, რატომ იყო მოხატული ზოგი ნაგებობის კედელი? გამოთქვი ვარაუდი ამ შენობების დანიშნულების შესახებ. რას უნდა აღნიშნავდეს ცხვრისა და ხარის რელიეფური ქანდაკებები? ან ქალის მრავალი პატარა ქანდაკება? • რა ინფორმაცია მოგაწოდა დასახლებაზე მოპოვებულმა მასალამ იქ მცხოვრები ხალხის რწმენა-წარმოდგენებზე? რაზე მიუთითებს, რომ გარდაცვლილებს სახლის იატაკის ქვეშ ასაფლავებდნენ? იმსჯელე, რატომ აღარ გვხვდება დღეს ასეთი სტერეოტიპული მიდგომა ქალისა და კაცის მიმართ დაკრძალვის თვალსაზრისით? • როგორ უნდა წარმოვადგინო „ჩათალ-ჰუიუქის“ შესახებ მიღებული ცოდნა კომიქსში? პედაგოგს შეუძლია, საკითხის განხილვის პროცესში გამოიყენოს დამატებითი კითხვები, რაც ხელს შეუწყობს ცოდნის კონსტრუირებასა და განზოგადებას: • რა ეწოდება პროცესს, როდესაც ადამიანებს შორის ეკონომიკური ურთიერ-თობა პროდუქტების გაცვლა-გამოცვლას ეყრდნობა? • როგორ ფიქრობ, რამდენად მოსახერხებელია ეს პროცესი? რატომ ფიქრობ ასე? • ფოტორესურსებზე დაყრდნობით, როგორ შეაფასებ „ჩათალ-ჰუიუქის“ მოსახ-ლეობის განვითარების დონეს? • როგორ ფიქრობ, რამ შეუწყო ამ პერიოდში ხელი ადამიანის განვითარებას? • რა განასხვავებს თანამედროვე ქალაქს უძველესი ქალაქისგან? პროცესის მიმდინარეობისას პედაგოგს შეუძლია, მოსწავლეებს შესთავაზოს დავალება. **მოსწავლის რვეული:** დავალება 6.	

	დავალების შესრულების შემდეგ მასწავლებელს შეუძლია, განაგრძოს შესასწავლი საკითხის დამუშავება და გამოიყენოს სახელმძღვანელო, გვ. 18-19, სადაც მოცემულია ინფორმაცია „იერიქონის“ შესახებ. მასალის გაცნობის შემდეგ პედაგოგი მოსწავლეებს სთავაზობს დავალებას. **მოსწავლის რვეული:** დავალება 7. ამ დავალების შემდეგ პედაგოგს შესაძლებლობა აქვს, განაგრძოს განსახილველი საკითხის დამუშავება სახელმძღვანელოზე დაყრდნობით. გვ. 20-21-ზე წარმოდგენილია მასალა „ჰალაფის“ კულტურის შესახებ და ისტორიული წყარო. ამ მასალის შემდეგ პედაგოგს შეუძლია, მოსწავლეები გააქტიუროს პარაგრაფში მოცემული კითხვების გამოყენებით: • რატომ შეიძლება ჩაითვალოს ჰალაფის კერამიკა სანდო წყაროდ? რა ინფორმაციას გვაძლევს, რომ მის სანდოობაში დავრწმუნდეთ? • შეადარე ჰალაფის კულტურა ჩათალ-ჰუიუქისა და იერიქონის არქეოლოგიურ კულტურას. გამოყავი განსხვავებები. • გაიხსენე შულავერ-შომუთეფეს არქეოლოგიური კულტურის დამახასიათებელი ნიშნები და შეადარე ჰალაფის კულტურას. იმსჯელე ამ კულტურათა ურთიერთობაზე. • ჰალაფისა და შულავერ-შომუთეფეს კულტურების გარდა, ქალის პატარა ქანდაკებები არა მარტო წინა აზიაში, არამედ შუა აზიაშიც ბევრ ნეოლითურ ძეგლზეა აღმოჩენილი. გამოთქვი ვარაუდი, შეიძლება თუ არა, ეს ქანდაკებები ან მასთან დაკავშირებული წარმოდგენა საზოგადოების განვითარების კონკრეტულ ეტაპს ახასიათებდეს? მასალის დამუშავების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, განაგრძოს საკითხის დამუშავება და გამოიყენოს სახელმძღვანელო, გვ. 22, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია „ბანპოს“ შესახებ. • შეადარე ბანპო წინა აზიის ადრესამიწათმოქმედო, ნეოლითურ ძეგლებს და გამოყავი ზოგადად ნეოლითური ძეგლების საერთო დამახასიათებელი ნიშნები; • როგორ განასხვავებ ნეოლითურ ძეგლებს ქვის ხანის წინა პერიოდების – პალეოლითისა და მეზოლითის – ძეგლებისგან?	

	კითხვების დამუშავების შემდეგ პედაგოგი აგრძელებს საკითხის დამუშავებას, გვ. 23-24. მასალის გაცნობის შემდეგ პედაგოგი მოსწავლეებს ააქტიურებს პარაგრაფში არსებული კითხვების საშუალებით: • შენი აზრით, რატომ მიენიჭათ უპირატესობა მეომრებს სხვა მეთემეებთან შედარებით? • როგორ ფიქრობ, კერძო საკუთრების წარმოშობა საზოგადოების განვითარებას ხელს შეუწყობდა თუ, პირიქით, შეაფერხებდა? • წარმოიდგინე, რომ არქეოლოგი ხარ და აღმოაჩინე ძეგლი, რომელიც კომ-პლექსურ საზოგადოებას ეკუთვნის. ჩამოთვალე, რა არტეფაქტები უნდა იპოვო, რომ დასახლება კომპლექსურ საზოგადოებას მიაკუთვნონ. • როგორ ფიქრობ, შენ მიერ შესწავლილი არქეოლოგიური კულტურებიდან მიეკუთვნება თუ არა რომელიმე კომპლექსურ საზოგადოებას? პასუხი დაასაბუთე. • შეადგინე ქვის ხანის დროის ხაზი, რომელზეც პერიოდებსა და მნიშვნელოვან მოვლენებს დაიტან. თითოეულ პერიოდს დაურთე საინფორმაციო ბლოკი, სადაც ძირითადად იმ დროისთვის სახასიათო არტეფაქტებს ჩამოწერ. ნივთიერი წყაროები ისე შეარჩიე, რომ მათი დახმარებით შესაძლებელი იყოს ადამიანის საქმიანობისა და ყოფის განსაზღვრა. • როგორ ავსახო კომიქსში პირველყოფილი ადამიანის ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები, რომლებიც ბრინჯაოს ხანის პერიოში მიმდინარეობდა? პედაგოგს შეუძლია, საკითხის განხილვის პროცესში გამოიყენოს დამატებითი კითხვები, რაც ხელს შეუწყობს ცოდნის კონსტრუირებას: • რა მნიშვნელობა ჰქონდა ლითონის აღმოჩენას? • როგორ ფიქრობ, რას შეცვლიდა ლითონის აღმოჩენა საზოგადოებრივ ურთიერთობაში? • შენი აზრით, რატომ გამოყოფენ ბრინჯაოს პერიოდს მეცნიერები? • ორგანიზების რა ფორმები გაიარა პირველყოფილმა ადამიანმა სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესამდე?	

	კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ მოსწავლისთვის დასმული შეკითხვები: • აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი; • აღწერე, რა პროდუქტი შექმენი; • რა საკითხს შეეხება შენ მიერ მომზადებული დავალება? • ახსენი, რატომ შექმენი კომიქსი? რის თქმა გინდოდა მისი საშუალებით? • რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი ნამდვილად კომიქსია? • შენი აზრით, ვინ უნდა დაინტერესდეს შენ მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებით და რატომ? • რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? • რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას? • მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? • შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება თანაკლასელების ნაშრომებისგან?	

გრძელვადიანი მიზანი **სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**	**საკითხი/ქვესაკითხები:** ძველი აღმოსავლეთი; შუამდინარეთი; მსოფლიო ცივილიზაციის კერა; ხეთები. **ქვეცნება/ქვეცნებები:** სახელმწიფო, იერარქია, კანონი, რელიგია, მმართველობის ფორმა.	**საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები** როგორ გამოვკვეთო რეფერატში ძველ აღმოსავლეთში მმართველობის ფორმები და ეპოქისთვის დამახასიათებელი ძალაუფლების კონცენტრირების საკითხი?	**შუალედური სასწავლო მიზანი** **კომპლექსური დავალების პირობა**
ძალაუფლება (ისტ. საშ.3,4,5,6,7,8) • ძალაუფლებისთვის ბრძოლა ისტორიის განუყოფელი ნაწილია; • ძალაუფლებისთვის ბრძოლა მიმდინარეობს როგორც პიროვნებებს, ისე საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის. ბრძოლისას ისინი იყენებენ ქვეყანაში არსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სტრუქტურებს; • ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნებისთვის აუცილებელი საშუალებებია რესურსების (ფინანსები, ადამიანური რესურსები) ფლობა, სიმბოლოები, იდეოლოგია;	**კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (რესურსები, აქტივობები):** **I ეტაპი: კომპლექსური დავალების ფორმა** **ნაბიჯი 1. როგორ უნდა წარმოვაჩინო საკუთარი ცოდნა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით?** **რესურსი/აქტივობა:** **რეფერატი** – მეცნიერული ნაშრომის, წიგნის, სტატიის შინაარსის ძირითადი დებულებების მოკლედ გადმოცემა, მიმოხილვა და ანალიზი. რეფერატის წერისას მნიშვნელოვანია, დავიცვათ მისი სტრუქტურა. **1) თავფურცელი; 2) სარჩევი; 3) შესავალი; 4) ტექსტის ძირითადი ნაწილი; 5) დასკვნა; 6) ბიბლიოგრაფია.** **სარეკომენდაციო აქტივობა:** მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს რესურსს და დაფაზე წერს: „რეფერატი“. მოსწავლეები გონებრივი იერიშის მეთოდით აყალიბებენ მოსაზრებებს პროდუქტთან დაკავშირებით, რის შემდეგაც მასწავლებელი, სოკრატესეული კითხვა-პასუხის მეთოდის გამოყენებით, მოსწავლეებს აცნობს ინფორმაციას რეფერატის შესახებ. **კითხვები აქტივობისთვის:** 1) რა არის რეფერატი? 2) რატომ ქმნიან რეფერატს? 3) რით განსხვავდება რეფერატი სხვა სახის პროდუქტისგან, მაგ., ესესგან? 4) როგორ უნდა შევქმნა რეფერატი? 5) როგორი ტერმინოლოგია უნდა გამოვიყენო რეფერატის წერის დროს? 6) რატომ უნდა დავიცვა რეფერატის წერის სტრუქტურა?	წარმოიდგინე, რომ ისტორიის ფაკულტეტზე სწავლობ და გადიხარ საგანს „ძველი ახლოაღმოსავლური სახელმწიფოების მმართველობა“. საგნის ფარგლებში დაგევალა, მოამზადო რეფერატი თემაზე „ქალაქ-სახელმწიფოების მმართველობა ძველ აღმოსავლეთში“, რომელშიც განიხილავ მმართველობით სტრუქტურასა და ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნების საკითხს. **რეფერატში თვალნათლივ წარმოაჩინე:** • რა წარმოადგენდა ძველაღმოსავლურ სახელმწიფოებში ძალაუფლების წყაროს და რა სიმბოლოებში იყო გამოხატული ძალაუფლების არსი? **(მ.წ .1)** • რა რესურსებს იყენებდნენ მმართველები ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნების პროცესში? **(მ.წ. 3)**

• ზოგიერთ საზოგადოებაში ძალაუფლებას ერთპიროვნულად ფლობენ, ზოგან კი იგი დანაწილებულია ადამიანებს/ საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის; • დემოკრატიულ სახელმწიფოში ძალაუფლების წყაროა ხალხი.	**II ეტაპი: კომპლექსური დავალების შინაარსი** **II ეტაპზე მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად იწყებს საკითხის განხილვას.** **ნაბიჯი 1** • რა წარმოადგენდა ძველაღმოსავლურ სახელმწიფოებში ძალაუფლების წყაროს და რა სიმბოლოებში იყო გამოხატული ძალაუფლების არსი? **(მ.წ. 1)** • რა რესურსებს იყენებდნენ მმართველები ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნების პროცესში? **(მ.წ. 3)** • რა როლს ასრულებდა სახელმწიფოს მმართველობაში რელიგია და კულტმსახურება და როგორ იყენებდნენ მას ძალაუფლების მქონე პირები? **(მ.წ. 2)** **რესურსი:** სახელმძღვანელო, გვ. 25-33. საკითხის მრავალმხრივი გააზრებისთვის პედაგოგს შეუძლია პარაგრაფში არსებულ მასალასთან ერთად გამოიყენოს მოსწავლის რვეულში მოცემული ინფორმაცია, გვ. 16, „გილგამეშის ეპოსი. მითი წარღვნის შესახებ“. **სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:** შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება. ***სარეკომენდაციო აქტივობა:*** ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმების დამუშავებისათვის მასწავლებელი იყენებს სახელმძღვანელოს, გვ. 25-26, სადაც წარმოდგენილია საკითხის შესავალი ნაწილი და ინფორმაცია „ურუქი – მსოფლიოს უძველესი ქალაქის“ შესახებ. ამ მასალის განხილვის შემდეგ პედაგოგს შეუძლია, მოსწავლეები გააქტიუროს პარაგრაფში მოცემული კითხვებით: • შენი აზრით, რა არის ქალაქ-სახელმწიფო და რით განსხვავდება ჩვეულებრივი ქალაქისგან? • რატომ მართავდა ურუქს მეფე ღვთაების სახელით? • როგორ ფიქრობ, მეფე ურუქში მხოლოდ უმაღლესი საერო ხელისუფალი იყო თუ სასულიეროც? პასუხი დაასაბუთე. • როგორ უნდა ავსახო რეფერატში ურუქის შესახებ მიღებული ცოდნა?	• რა როლს ასრულებდა სახელმწიფოს მმართველობაში რელიგია და კულტმსახურება და როგორ იყენებდნენ მას ძალაუფლების მქონე პირები? **(მ.წ. 2)** • მმართველობის როგორი სტრუქტურით ხასიათდება ძველაღმოსავლური ქალაქ-სახელმწიფოები და რატომ იყო დამახასიათებელი მათთვის ძალაუფლების კონცენტრირება ერთი მმართველის ხელში? **(მ.წ. 4 და 5)**

	პედაგოგს შეუძლია, შესასწავლი საკითხის დამუშავების პროცესში, გამოიყენოს დამატებითი კითხვები, რაც ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს: • როგორ ფიქრობ, რატომ ყალიბდება პირველი სახელმწიფოები მდინარეების პირას? • როგორ ფიქრობ, რატომ ქმნიან ადამიანები სახელმწიფოს? • შენი აზრით, რა არის სახელმწიფოს მთავარი დანიშნულება? • რა წარმოადგენს სახელმწიფოს სიმბოლოებს? • შენი აზრით, რამ შეუწყო ხელი ურუქის ჩამოყალიბებას? • რატომ ერტყა გალავანი ურუქს? • როგორ იმართებოდა ურუქი? • შენი აზრით, ვინ ახორციელებს მმართველობას? • როგორ ფიქრობ, მმართველობის ცენტრალიზებული ფორმა უფრო მყარი და შედეგის მომტანია თუ მისი გადანაწილება? • რა ფუნქცია ჰქონდათ სასულიერი და საერო პირებს ურუქში? • რატომ ითვლებოდა ურუქში ტაძარი ძალაუფლების გამოხატულებად? ამ მასალისა და კითხვების დამუშავების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, განაგრძოს შესასწავლი საკითხის დამუშავება და გამოიყენოს სახელმძღვანელო, გვ. 26-27, სადაც წარმოდგენილია მასალა შუმერული ქალაქ-სახელმწიფოების შესახებ, ასევე გვ. 27-ზე სქემა და ისტორიული წყარო. მასწავლებელს შესაძლებლობა აქვს, გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული კითხვები, რომლებიც მოსწავლეებს მასალის უკეთ გააზრებაში დაეხმარება. • რაზე შეიძლება მეტყველებდეს ქალაქის მფარველ ღვთაებათა ერთმანეთთან ნათესაობა? • შენი აზრით, რა მიზანს ემსახურებოდა მეფე შულგის ჰიმნის ტექსტი? • როგორ უნდა ავსახო რეფერატში ეს მასალა? პედაგოგს შეუძლია, შესასწავლი საკითხის დამუშავების პროცესში, გამოიყენოს დამატებითი კითხვები, რაც ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს: • როგორ ფიქრობ, რატომ განსაზღვრავდა რელიგია ძალაუფლებას? • შენი აზრით, რა განაპირობებდა მმართველის არჩევას ქალაქ-სახელმწიფოებში? • როგორ ფიქრობ, რატომ მოიხსენიებს მეფე შულგი საკუთარ თავს „ძლევამოსილ კაცად“? • წყაროს მიხედვით, რა უნარებით გამოირჩევა მეფე შულგი და რატომ არის ასეთი თვისებები მნიშვნელოვანი მმართველისთვის?	

	• როგორ ფიქრობ, რა სახელმწიფო სტრუქტურებზე და ვისზე ვრცელდება მეფე შულგის ხელისუფლება? • შენი აზრით, დღეს რა უნარები უნდა ჰქონდეს მმართველს? მასალისა და კითხვების დამუშავების შემდეგ პედაგოგს შესაძლებლობა აქვს, განგრძოს საკითხის დამუშავება და გამოიყენოს სახელმძღვანელო, გვ. 27, სადაც მოცემულია სქემა „ურთიერთობა თემებსა და სასახლეს (ტაძარს) შორის“ და ისტორიული წყარო. სქემის გაცნობის შემდეგ პედაგოგს შეუძლია, მოსწავლეებს შესთავაზოს დავალება. **მოსწავლის რვეული:** დავალება 8. დავალების შესრულების შემდეგ კი მასწავლებელს შეუძლია, გამოიყენოს პარაგრაფში არსებული კითხვები: • რა ფუნქცია ჰქონდათ მოწმეებს? შენი აზრით, რომელი სოციალური ფენის წარმომადგენლები არიან მოწმეები და რატომ? • რაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ასეთ ხელშეკრულებებს ჩანაწერის სახით ინახავდნენ? • სახელმწიფოს დამახასიათებელ ნიშნად, მმართველობის სისტემასთან, გადასახადებთან ერთად, კანონებიც ითვლება. გაიხსენე, როგორ რეგულირდებოდა ურთიერთობები და სამართლებრივი საკითხები საზოგადოების განვითარების ადრეულ საფეხურზე და იმსჯელე, რა მნიშვნელობა ჰქონდა კანონთა კოდექსების მიღებას საზოგადოებისთვის. • როგორ უნდა ავსახო რეფერატში ეს საკითხი? პედაგოგს შეუძლია, შესასწავლი საკითხის დამუშავების პროცესში გამოიყენოს დამატებითი კითხვები, რაც ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს: • როგორ ფიქრობ, რატომ არის მნიშვნელოვანი ხელშეკრულებების დადება? • რაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ადამიანებს შორის ურთიერთობა ხელშეკრულებებით რეგულირდება? • სქემის მიხედვით, როგორ იქმნებოდა მატერიალური დოვლათი? • სქემის მიხედვით, რა მოვალეობა აქვს მოსახლეობას? სახელმწიფოს? • დღეს როგორ ივსება სახელმწიფოს ბიუჯეტი და რაში შეიძლება იყენებდეს ფინანსებს სახელმწიფო?	

- რატომ ავითარებდნენ მმართველი წრეები ინფრასტრუქტურას?
- როგორ ფიქრობ, რატომ მოიხსენიება სასახლე ტაძრად?

ამ საკითხის დამუშავების შემდეგ პედაგოგი აგრძელებს საკითხის განხილვას. სახელმძღვანელოს გვ. 29-ზე წარმოდგენილია ფოტორესურსები და ისტორიული წყაროები. ამ მასალის დამუშავების პროცესში პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს პარაგრაფში არსებული კითხვები:

- იმსჯელე, რა დანიშნულება ჰქონდა ზომითა და ფორმით ასეთ გამორჩეულ ნაგებობას?
- გუდეას ტექსტიდან ვხედავთ, რომ ლაგაშში ტაძრის აშენებაში არაერთმა ხალხმა შეიტანა წვლილი. როგორ ფიქრობ, ამ ტაძრის ადმინისტრაციული ფუნქცია ქალაქ ურის მართვა იყო თუ მთელი შუამდინარეთის?
- როგორ უნდა გამოვიყენო ისტორიული წყაროს შესწავლის შემდეგ მიღებული ცოდნა რეფერატში?

პედაგოგს შეუძლია, შესასწავლი საკითხის დამუშავების პროცესში გამოიყენოს დამატებითი კითხვები, რაც ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს:

- შენი აზრით, რის სიმბოლო უნდა იყოს მსგავსი ტიპის შენობა-ნაგებობი?
- როგორ ფიქრობ, რატომ სურთ მმართველებს, მათი მმართველობის პერიოდში აშენდეს ასეთი შენობები?
- გაიხსნე შენთვის ნაცნობი ისტორიული ეპოქა, მაგ., საბჭოთა ეპოქისა და მესამე რაიხის პერიოდში აშენებული არქიტექტურული შენობა-ნაგებეობი, რა საერთო აქვს მათ შენ მიერ შესასწავლ საკითხთან? (ამ კითხვის დამუშავებისათვის მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს დამატებითი ფოტორესურსები, როგორიცაა „ოლიმპიაშტადიონი“ და სასტუმრო „უკრაინა“ ქალაქ მოსკოვში).

კითხვებისა და მასალის დამუშავების შემდეგ პედაგოგი იყენებს სახელმძღვანელოს, გვ. 30 და 31, სადაც წარმოდგენილია „შტანდარტი“. ამ რესურსების განხილვის პროცესში პედაგოგი მოსწავლეებს სთავაზობს დავალებას.

მოსწავლის რვეული: დავალება 9.

	დავალების შესრულების შემდეგ პედაგოგი აგრძელებს საკითხის დამუშავებას და იყენებს სახელმძღვანელოს, გვ. 31 და 32, სადაც წარმოდგენილია მასალა „აქადის“ შესახებ და ისტორიული წყარო „სარგონის წარწერა ნიფურიდან“. მასალების გაცნობის შემდეგ პედაგოგს შეუძლია, მოსწავლეები კითხვებით გააქტიუროს: • რატომ ჰგავს სარგონის წარწერა შუმერი მეფეების ტექსტებს და რაზე მეტყველებს ეს ფაქტი? • დააკვირდი ნარამ-სინის გამარჯვების სტელას და გადმოეცი მისი არსი. რა მიზნითაა ეს სტელა შექმნილი? • როგორ უნდა ასახო ეს ინფორმაცია რეფერატში? პედაგოგს შეუძლია, შესასწავლი საკითხის დამუშავების პროცესში გამოიყენოს დამატებითი კითხვები, რაც ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს: • რა მნიშვნელოვანი პროცესები უკავშირდება სარგონს? • შენი აზრით, როგორ აისახებოდა სარგონის წარმატებული საგარეო პოლიტიკა ქვეყნის შიგნით მის ძალაუფლებაზე? • როგორ ფიქრობ, ძალაუფლების გასამყარებლად რატომ მიმართავენ ომს მეზობელ სახელმწიფოებთან? • დღეს თუ გვაქვს მსგავსი მაგალითები? • რას ემყარება სარგონის ხელისუფლება? • როგორ ფიქრობ, სარგონი უშუალოდ მონაწილეობს ომში თუ არა? • როგორ ფიქრობ, რა სტრუქტურებზე ვრცელდება სარგონის ძალაუფლება? • რამ გამოიწვია აქადის იმპერიის დაცემა? • როგორ ფიქრობ, რატომ დაქვეითდა აქადის მმართველების შემდგომი დინასტია? • მმართველობის როგორი ფორმით შეიძლებოდა შეცვლილიყო ერთპიროვნული მმართველობა აქადში **ნაბიჯი 2** • რა როლს ასრულებდა სახელმწიფოს მმართველობაში რელიგია და კულტ-მსახურება და როგორ იყენებდნენ მას ძალაუფლების მქონე პირები? (მ.წ 2) **რესურსი:** სახელმძღვანელო, გვ. 33; 42-46.	

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:
ამ კრიტერიუმების დასამუშავებლად მასწავლებელი იყენებს სახელმძღვანელოს, გვ. 33, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია ბაბილონის შესახებ. მასალის გაცნობის შემდეგ პედაგოგს შესაძლებლობა აქვს, გამოიყენოს სახელმძღვანელოში მოცემული კითხვები და მოსწავლეებს შესთავაზოს დავალება:

- რით ჰგავს ხამურაბის წარწერა შუამდინარეთის სხვა მეფეების ტექსტებს? რაზე მიუთითებს ეს ფაქტი?
- რა მიზნით შეიქმნა ეს სტელა? რატომ დაადგმევინა ის მეფემ მარდუქის ტაძარში?
- რატომ მოითხოვს ხამურაბი, რომ მისი კანონები სამარადისო იყოს და არავინ შეცვალოს?
- შენი აზრით, რა საერთო ჰქონდათ შუამდინარულ სახელმწიფოებს?
- რატომ ითვლება შუამდინარეთი მსოფლიო ცივილიზაციის კერად?
- როგორ უნდა წარმოვადგინო ჩემი ცოდნა რეფერატში, რომელიც ხამურაბის კანონების შესახებ მივიღე?

მოსწავლის რვეული: დავალება 10-11.

ამ დავალების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, გააგრძელოს საკითხის დამუშავება და გამოიყენოს სახელმძღვანელო: პარაგრაფი 7, გვ. 42 და 44, რომელშიც წარმოდგენილია ინფორმაცია „ხეთების“, მითანისა და ასურეთის შესახებ და ფოტორესურსები.

პედაგოგს შეუძლია, შესასწავლი საკითხის დამუშავების პროცესში გამოიყენოს დამატებითი კითხვები, რაც ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს:

- შენი აზრით, რატომ ჩამოყალიბდა მრავალი ღვთაებისგან შემდგარი პანთეონი ხეთების სახელმწიფოში?
- როგორ ფიქრობ, რატომ აღმერთებდნენ ხეთები სიკვდილის შემდეგ საკუთარ მეფეებს?
- როგორ ფიქრობ, რატომ იყვნენ ხეთების ღვთაებანი ანთროპომორფულები, ანუ ადამიანის მსგავსნი? რას უსვამდნენ ამით ხაზს?

	კითხვების დამუშავების შემდეგ მასწავლებელი აგრძელებს საკითხის დამუშავებას და განიხილავს სახელმძღვანელოში მოცემულ ისტორიულ წყაროებს. გვ. 44-45, წყარო „ა“, რომლის განხილვის შემდეგაც მოსწავლეებს სთავაზობს კითხვებს (ისინი სარეკომენდაციო ხასიათისაა): • დეტალურად ჩამოწერე წყაროდან მიღებული ინფორმაცია; • რატომ შესთხოვს მეფე ღვთაებას დახმარებას? • რატომ შესთხოვს დახმარებას კონკრეტულად ამინდის ღვთაებას? • შენი აზრით, რატომ იყვნენ ხეთები ბუნებრივ მოვლენებზე დამოკიდებული? • წყაროს მიხედვით, როგორი ურთიერთობა აქვთ ღვთაებასა და მეფეს, ასევე ბატონსა და მსახურს, ერთმანეთთან? • როგორი დამოკიდებულება არსებობს ხეთურ საზოგადოებაში ცოდვის მიმართ? • შესაწირის მიხედვით, როგორია ხეთების სამეურნეო საქმიანობა? • კიდევ რა დამატებითი ინფორმაცია მიიღე წყაროდან? • რა მნიშვნელობა აქვს ამ წყაროს ხეთების ისტორიის შესწავლისას? • როგორ უნდა ავსახო რეფერატში რელიგიის როლი მმართველების მოღვაწეობის პროცესში? წყაროს განხილვისა და კითხვების დამუშავების შემდეგ პედაგოგი აგრძელებს საკითხის დამუშავებას და იყენებს სახელმძღვანელოს, გვ. 45 და 46, სადაც წარმოდგენილია წყარო „ბ“ და წყარო „გ“. წყაროების განხილვის შემდეგ პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს პარაგრაფში მოცემული კითხვები: • ხეთური და, ზოგადად, ძველაღმოსავლური საზოგადოება თავისუფლად და არათავისუფლად იყოფა. განმარტე, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ისინი და როგორ გაჩნდნენ საზოგადოებაში? • რა ინფორმაციას გვაწვდის კანონები ხეთური საზოგადოების შემადგენლობის შესახებ? • რატომ არის სხვადასხვა ადამიანისთვის სასჯელის განსხვავებული ზომა?	

	• რაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მონის დაზიანება ან მოკვლა ისჯებოდა: ა) მონასაც ჰქონდა გარკვეული უფლებები, ბ) მონა თავისუფალი ადამიანის საკუთრება იყო და ის ზარალდებოდა. • კანონების მიხედვით, რა შემთხვევაში შეიძლებოდა დაკარგა ბატონს მონა? • როგორ გამოიყენებ რეფერატში წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას? ამ კითხვებისა და მასალის დამუშავების შემდეგ პედაგოგი მოსწავლეებს სთავაზობს დავალებას. **მოსწავლის რვეული:** დავალება 15. **კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები:** • აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი; • აღწერე, რა პროდუქტი შექმენი? • რა საკითხს შეეხება შენ მიერ მომზადებული დავალება? • ახსენი, რატომ შექმენი რეფერატი? რის თქმა გინდოდა მისი საშუალებით? • რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი ნამდვილად რეფერატია? • შენი აზრით, ვინ უნდა დაინტერესდეს შენ მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებით და რატომ? • რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? • რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას? • მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? • შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი ნამუშევარი შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან?	

გრძელვადიანი მიზანი **სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**	**საკითხი/ქვესაკითხები:** ძველი აღმოსავლეთი – ეგვიპტე **ქვეცნება/ქვეცნებები:** სოციალური ფენა, რელიგია, წესები, კანონი, იერარქია	**საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები:** როგორ წარმოვადგინო დღიურის საშუალებით ძველი ეგვიპტის ისტორია, მისი საზოგადოებრივი ფენები და მათი უფლებრივ-მოვალეობრივი მდგომარეობა?	**შუალედური სასწავლო მიზანი კომპლექსური დავალების პირობა**
საზოგადოება (ისტ.საშ.1,2,3,4,5,6) • ისტორიულად მრავალი საზოგადოება არსებობდა, მაგრამ ყველა მათგანს ახასიათებდა საერთო ნიშნები: მათ წევრებს ჰქონდათ საერთო იდენტობა, ინტერესი, საზრუნავი და თანხმდებოდნენ ქცევის წესებსა და ღირებულებებზე; • საზოგადოება იყოფა უფრო მცირე საზოგადოებრივ ჯგუფებად; • პატარა საზოგადოებები უმეტესად უფრო დიდი საზოგადოების ნაწილს წარმოადგენენ; • საზოგადოების წევრებს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვთ მრავალფეროვნების მიმართ.	**კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (რესურსები, აქტივობები):** **I ეტაპი: კომპლექსური დავალების ფორმა** **ნაბიჯი 1. როგორ უნდა წარმოვაჩინო საკუთარი ცოდნა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით?** **რესურსი/აქტივობა:** დღიური – ყოველდღიური ჩანაწერი ავტორის პირად ან საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი საინტერესო მოვლენების შესახებ. სათაურის ნაცვლად დღიურში დასახელებულია თარიღები (რიცხვები და ზოგჯერ საათებიც კი) და გადმოცემულია დასახელებულ დროში მომხდარი საინტერესო მოვლენები, ფაქტები ან ავტორის პირადი შთაბეჭდილებები, განცდები, აზრები და სხვ. **სარეკომენდაციო აქტივობა:** მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს რესურსს და დაფაზე წერს: „დღიური“. მოსწავლეები გონებრივი იერიშის მეთოდით აყალიბებენ მოსაზრებებს პროდუქტთან დაკავშირებით, რის შემდეგაც მასწავლებელი კითხვა-პასუხის მეთოდის გამოყენებით მოსწავლეებს აცნობს ინფორმაციას დღიურის შესახებ. **კითხვები აქტივობისთვის:** 1) რა არის დღიური? 2) რატომ ქმნიან დღიურს? 3) შენ თუ ინტერესდები დღიურით და რატომ? 4) რატომ არის დღიური პოპულარული? 5) როგორ უნდა შევქნა დღიური? 6) რაზე უნდა გავამახვილო ყურადღება დღიურის წერის დროს? 7) როგორი ტერმინოლოგია უნდა ავარჩიო დღიურის წერის დროს? 8) როგორ უნდა გავხადო ჩემი დღიური საინტერესო?		წარმოიდგინე, რომ ჟან ფრანსუა შამპოლეონი (ადამიანი, რომელმაც ეგვიპტური იეროგლიფები გაშიფრა) ხარ და ფარაონთა აკლდამაში – პირამიდაში იმყოფები. პირამიდის დათვალიერებისას აღმოაჩინე იეროგლიფური ჩანაწერები, რომელთა გაშიფვრის შემდეგ გარკვეული ინფორმაცია მიიღე ეგვიპტის ისტორიისა და საზოგადოების შესახებ. მოგზაურობის დროს ქმნი დღიურს, რომელშიც საკუთარი შთაბეჭდილებებისა და აღმოჩენების შესახებ წერ. შეგიძლია, დღიური ჩანახატებითა და ფოტოებით გააფორმო.

	II ეტაპზე მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად იწყებს საკითხის განხილვას. ნაბიჯი 1 • რომელი სოციალური ფენებისგან შედგებოდა ეგვიპტის საზოგადოება; რამდენად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლების ინტერესები, უფლებები და ვალდებულებები? რატომ? **(მ.წ. 1, 3);** • იდენტობის რა საშუალებები, საერთო ინტერესი და საზრუნავი ჰქონდათ ეგვიპტის საზოგადოების წევრებს? **(მ.წ. 1)** • რა როლს ასრულებდა რელიგიური რწმენა-წარმოდგენები და როგორი დამოკიდებულება ჰქონდა ეხნატონის მიერ გატარებული რელიგიური რეფორმის მიმართ ეგვიპტის საზოგადოებას? რატომ? **(მ.წ. 2, 3).** **რესურსი:** სახელმძღვანელო, გვ. 34-41. საკითხის მრავალმხრივი გააზრებისთვის პედაგოგს შეუძლია, პარაგრაფში არსებულ მასალასთან ერთად გამოიყენოს მოსწავლის რვეულში მოცემული ინფორმაცია, გვ. 18-21. აქ მოცემულია ინფორმაცია სხვადასხვა ცივილიზაციის, მაგ., ინდოეთის, ჩინეთის, ფინიკიის, ისრაელის და იუდეას, შესახებ. ეს ინფორმაცია მოსწავლეებს შესაძლებლობას მისცემს, განაზოგადონ შესასწავლი საკითხი. **სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:** შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება. **სარეკომენდაციო აქტივობა:** ამ კრიტერიუმების დასამუშავებლად მასწავლებელი იყენებს სახელმძღვანელოს, გვ. 34 და 45, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია ეგვიპტის გაერთიანების შესახებ, სქემა ეგვიპტური ღვთაებების შესახებ და რუკა. რუკაზე მუშაობისას პედაგოგს შეუძლია გამოიყენოს გვ. 36-ზე მოცემული კითხვები: • დააკვირდი რუკა 4-ს. რით ჰგავს და რით განსხვავდება ეგვიპტისა და შუამდინარეთის გეოგრაფიული მდებარეობა? • იმსჯელე, გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, რა შემთხვევაში შეიძლებოდა გადაკვეთილიყო ეგვიპტისა და შუამდინარული სახელმწიფოების ინტერესები?	**დღიურის ჩანაწერებში თვალნათლივ წარმოაჩინე:** • რომელი სოციალური ფენებისგან შედგებოდა ეგვიპტის საზოგადოება; რამდენად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლების ინტერესები, უფლებები და ვალდებულებები? რატომ? **(მ.წ. 1,3)** • იდენტობის რა საშუალებები, საერთო ინტერესი და საზრუნავი ჰქონდათ ეგვიპტის საზოგადოების წევრებს? **(მ.წ. 1)** • რა როლს ასრულებდა რელიგიური რწმენა-წარმოდგენები და როგორი დამოკიდებულება ჰქონდა ეხნატონის მიერ გატარებული რელიგიური რეფორმის მიმართ ეგვიპტის საზოგადოებას? რატომ? **(მ.წ. 2, 3)** • როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ ეგვიპტელებს სხვა საზოგადოების (ხეთების) მიმართ? **(მ.წ. 4)**

	მასალის გაცნობის შემდეგ მასწავლებელმა შესაძლებელია გამოიყენოს შემოთავაზებული კითხვები (ისინი სარეკომენდაციო ხასიათისაა): • შენი აზრით, რამ შეუწყო ხელი ეგვიპტის ტერიტორიაზე არსებული მიწათმოქმედი თემების ნომებად ჩამოყალიბებას? • როგორი იყო ნომებში შრომის განაწილება? • შენი აზრით, რამ შეუწყო ნომების გაერთიანებას ხელი და რა იყო ამის უმთავრესი მიზეზი? • შენი აზრით, რა ურთიერთობა შეიძლებოდა ყოფილიყო სხვადასხვა ნომის საზოგადოებებს შორის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების შემდეგ? • როგორ ფიქრობ, რას შეიძლებოდა შეეწყო ხელი საზოგადოების ინტერესების თანხვედრისა და კონსოლიდაციისათვის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების შემდეგ? • რუკის მიხედვით განსაზღვრე, ეგვიპტის რომელი საზოგადოება იქნებოდა უფრო განვითარებული? რატომ ფიქრობ ასე? • რუკის მიხედვით განსაზღვრე, რომელ სახელმწიფოს/სახელმწიფოებს შეეძლო შეექმნა საფრთხე ეგვიპტისათვის? • შენი აზრით, სხვა ქვეყნისგან/ქვეყნებისგან მოსალოდნელი საფრთხე რას შეუწყობდა ხელს ეგვიპტის სახელმწიფოში? რატომ ფიქრობ ასე? • როგორ გამოიყენებ დღიურში ამ მასალას? ამ მასალისა და კითხვების დამუშავების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით განგრძოს საკითხის განხილვა. გვ. 36-ზე წარმოდგენილია ეგვიპტეში არსებული საზოგადოებრივი ფენები და ფოტორესურსები. მასალის განხილვის შემდეგ პედაგოგს შეუძლია, მოსწავლეებს საკითხი პარაგრაფში არსებული კითხვების სახით დაამუშავებინოს: • შენი აზრით, რატომ იყო ქურუმთა ფენა ასეთი გავლენიანი? • როგორ ფიქრობ, რატომ გააუქმა ფარაონმა ნომარქების მემკვიდრეობითი ძალაუფლება? • შენი აზრით, რომელ სოციალურ ფენას მიეკუთვნებიან სურათებზე გამოსახული ადამიანები? • როგორ ფიქრობ, იყო თუ არა განსხვავება შუამდინარულ და ეგვიპტურ მმართველობებს შორის და რა აკავშირებდათ მათ ღვთაებებთან? • როგორ წარმოვადგინო დღიურში ეგვიპტის სოციალური ფენების უფლებები და მოვალეობები?	

	კითხვების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, მოსწავლეებს შესთავაზოს დავალება. **მოსწავლის რვეული:** დავალება 12. პედაგოგს შეუძლია შესასწავლი საკითხის დამუშავების პროცესში გამოიყენოს დამატებითი კითხვები, რაც ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს: • როგორ ფიქრობ, რატომ გახდა ეგვიპტეში საჭირო სამოხელეო აპარატის შექმნა? • შენი აზრით, რომელი სოციალური ფენა შეიძლებოდა ყოფილიყო სამოხელეო აპარატში წარმოდგენილი? • როგორ ფიქრობ, რატომ გახდა საჭირო, ეგვიპტე ტერიტორიულ-ადმინისტრაციულად დაყოფილიყო? • შენი აზრით, რატომ შეცვალა ფარაონმა ნომარქის მემკვიდრეობითი ძალაუფლება დანიშვნის წესით? • რა უფლებები ჰქონდათ ქურუმებს და, როგორ ფიქრობ, რატომ გაიზარდა დროთა განმავლობაში მათი უფლებრივი მდგომარეობა? • როგორ ავსახო დღიურში ეგვიპტეში არსებული სამოხელეო აპარატი და მისი უფლებები და მოვალეობები? ამ მასალისა და კითხვების დამუშავების შემდეგ პედაგოგს შეუძლია განაგრძოს შესასწავლი საკითხის დამუშავება. გვ. 37-ზე მოცემულია ინფორმაცია ეგვიპტის სამი ძირითადი პერიოდისა და ფოტორესურსი პირამდების შესახებ. მასალის დამუშავების პროცესში პედაგოგს შეუძლია გამოიყენოს პარაგრაფში გვ. 38-ზე მოცემული კითხვა: • შეადარე ერთმანეთს ზიქურათისა და პირამიდის აგებულება, რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის? პედაგოგს შეუძლია, შესასწავლი საკითხის დამუშავების პროცესში გამოიყენოს დამატებითი კითხვები, რაც ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს: • რა შეიძლება მივიჩნოთ ძველი ეგვიპტის სამეფოს სიმბოლოდ? • როგორ ფიქრობ, ვისი შრომა შეიძლებოდა გამოეყენებინათ ფარაონებს პირამიდების აშენების პროცესში? • „არათავისუფალი მოსახლეობა მოსავლის აღების შემდეგ მშენებლობაზე მუშაობდა“. როგორ ფიქრობ, რა უარყოფითი შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამას?	

	• როგორ ფიქრობ, რა დამოკიდებულება შეიძლებოდა ჰქონოდათ დიდებულებს, რომელთა მიწებზე მომუშავე არათავისუფალი ადამიანების შრომას იყენებდა ფარაონი? • შენი აზრით, როგორ აისახებოდა ძველი ეგვიპტის სამეფოში მიმდინარე მშენებლობები ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე? • როგორ ფიქრობ, რამ განაპირობა ძველი ეგვიპტის სამეფოს დაცემა? • რა შეიცვლა შუა სამეფოს ხანაში და როგორ ფიქრობ, რატომ? • როგორ ფიქრობ, რატომ გაუადვილდათ ჰიქსოსებს ეგვიპტის დაპყრობა? • შენი აზრით, რატომ ვეღარ ვითარდება ეგვიპტის საზოგადოება სამხედრო მიმართულებით? • როგორ ფიქრობ, ჰიქსოსების მიერ ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ რა საერთო ინტერესი და საზრუნავი ექნებოდა ეგვიპტის მოსახლეობას? ამ მასალისა და კითხვების განხილვის შემდეგ პედაგოგს შესაძლებლობა აქვს, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით განაგრძოს საკითხის დამუშავება. გვ. 38-ზე მოცემულია ისტორიული წყარო „ა“. მისი განხილვის შემდეგ პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს პრაგრაფში არსებული კითხვები: • წყაროს მიხედვით ჩამოთვალე, რა თანამდებობები არსებობდა ფარაონის სამეფო კარზე და რა ვალდებულებებს გულისხმობდა თითოეული მათგანი. • რაზე იყო ძველ ეგვიპტეში დამოკიდებული ადამიანის სამსახურებრივი წარმატება? • რაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ფარაონის დამოკიდებულება უნის მიმართ კარიერული იერარქიის ნებისმიერ საფეხურზე ერთნაირი იყო და ყოველ ჯერზე მოხელე ფარაონის ქებას ელოდებოდა? • სამოხელეო აპარატის გარდა, კიდევ რა სფეროებზე გვაწვდის ინფორმაციას მოცემული წყარო? • როგორ უნდა წარმოადგინო დღიურში ისტორიული წყაროს დამუშავების შედეგად მიღებული ცოდნა? ისტორიული წყაროს ანალიზისა და კითხვების დამუშავების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, განაგრძოს სახელმძღვანელოზე დაყრნობით შესასწავლი საკითხის დამუშავება. გვ. 39-ზე წარმოდგენილია ფოტორესურსი და ისტორიული წყარო „ბ“. მისი დამუშავების პროცესში პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს გვ. 40-ზე არსებული კითხვები და ასევე, მოსწავლეებს შესთავაზოს დავალება: • შენი აზრით, ნახატზე „მიცვალებულთა წიგნიდან“ რა პროცესია გამოსახული? • რატომ წონიან ჰორი და ანუბისი მიცვალებულთა გულებს?	

- იმსჯელე ეგვიპტური საზოგადოების მორალურ კოდექსზე და შეადარე თანამედროვეს.
- შენი აზრით, ეგვიპტეში დამკვიდრებული რელიგიურ-ეთიკური ნორმები განაპირობებდა თუ არა ქვეყნის სტაბილურობასა და საზოგადოების მშვიდობიან თანაცხოვრებას? პასუხი დაასაბუთე.
- როგორ უნდა წარმოადგინო დღიურში ისტორიული წყაროს დამუშავების შედეგად მიღებული ცოდნა?

ამ კითხვების შემდეგ კი პედაგოგი მოსწავლეებს სთხოვს დავალების შესრულებას.

მოსწავლის რევული: დავალება 13.

დავალების შემდეგ პედაგოგი აგრძელებს საკითხის დამუშავებას და ამისთვის იყენებს სახელმძღვანელოს, გვ. 40 და 41, სადაც წარმოდგენილია ეგვიპტეში განხორციელებული რელიგიური რეფორმა. მასალის გაცნობის შემდეგ პედაგოგს შეუძლია, მოსწავლეები გააქტიუროს პარაგრაფში არსებული კითხვების გამოყენებით, მოსწავლეებს სთვაზობს დავალებასაც.

მოსწავლის რვეული: დავალება 14.

- ივარაუდე, რა ბედი ეწეოდათ ამენჰოტეპ IV-ის რეფორმის შემდეგ ძველი ღმერთების ქურუმებს?
- გამოთქვი ვარაუდი, რატომ აღმოჩნდა ეხნატონის რეფორმა დროებითი?
- როგორ უნდა წარმოვადგინო დღიურში ფარაონის მიერ გატარებული რეფორმის არსი და მნიშვნელობა?

პედაგოგს შეუძლია, შესასწავლი საკითხის დამუშავების პროცესში გამოიყენოს დამატებითი კითხვები, რაც ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს:
- შენი აზრით, რა იყო ფარაონის მიერ განხორციელებული რეფორმის მიზეზი?
- როგორ ფიქრობ, რას შეცვლიდა ეგვიპტის საზოგადოების სტრუქტურაში ახალი რელიგია?
- შეაფასე ფარაონის მიერ განხორციელებული რეფორმა, რა დადებითი და უარყოფითი შედეგი შეიძლებოდა ჰქონოდა ამ გადაწყვეტილებას? მოიყვანე შესაბამისი პოზიციის არგუმენტი.
- რა ტერმინით შეიძლება მოვიხსეინიოთ ფარაონის რეფორმა?

ნაბიჯი 2

- როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ ეგვიპტელებს სხვა საზოგადოების (ხეთების) მიმართ? **(მ.წ. 4).**

რესურსი:
პარაგრაფი: 9-10.

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:
ამ კრიტერიუმის დამუშავების პროცესში მასწავლებელი ეყრდნობა სახელმძღვანელოს, გვ. 56-57, რომელშიც წარმოდგენილია ინფორმაცია ეგვიტისა და ხეთების დაპირისპირების შესახებ. მასალის გაცნობის შემდეგ პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს შემდეგი კითხვები (მათ სარეკომენდაციო ხასიათი აქვთ):

- შენი აზრით, რა გახდა ეგვიპტისა და ხეთების დაპირისპირების მიზეზი?
- როგორ ფიქრობ, რატომ დათანხმდნენ დაპირისპირებული მხარეები დათმობაზე?
- შენი აზრით, აფასებდნენ თუ არა ერთმანეთს დაპირისპირებული მხარეები? რა გაძლევს ამის თქმის საშუალებას?
- შენი აზრით, სამშვიდობო ხელშეკრულების დოკუმენტზე რატომ იყო გამოსახული სახელმწიფო სიმბოლოები?
- როგორ ფიქრობ, ხელშეკრულების დადების პროცესში ენდობოდნენ თუ არა სახელმწიფოები ერთმანეთს?
- რა მოიმოქმედეს დაპირისპირებულმა მხარეებმა ხელშეკრულების გასამყარებლად?
- რატომ იყო მნიშვნელოვანი დაპირისპირებულ მხარეებს შორის დინასტიური ქორწინება?
- შენი აზრით, როგორ აისახებოდა ხელშეკრულების დადებისა და დინასტიური ქორწინების ფაქტი ამ სახელმწიფოების საზოგადოებების ურთიერთობაზე?
- ფოტორესურსისა და ინფორმაციის მიხედვით იმსჯელე, რატომ არის მნიშვნელოვანი ეს დოკუმენტი და რატომ ინახავენ მის ასლს გაეროს უშიშროების შტაბბინაში?
- როგორ წარმოვადგინო კადეშის ომი და ომისშემდგომი დოკუმენტის მნიშვნელობა დღიურში?

	კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები: • აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი; • აღწერე, რა პროდუქტი შექმენი; • რა საკითხს შეეხება შენ მიერ მომზადებული დავალება? • ახსენი, რატომ შექმენი *დღიური*? რის თქმა გინდოდა მისი საშუალებით? • რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი ნამდვილად *დღიურია*? • შენი აზრით, ვინ უნდა დაინტერესდეს შენ მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებით და რატომ? • რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? • რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას? • მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? • შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი ნამუშევარი თანაკლასელების ნაშრომებისგან?	

გრძელვადიანი მიზანი **სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**	**საკითხი/ქვესაკითხები:** აქემენიანური სპარსეთი და დაპყრობითი ომები **ქვეცნება/ქვეცნებები:** რეგიონი, ტერიტორიული ექსპანსია, ზღვა, ომი, ზავი, ცივილიზაცია	**საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები:** როგორ ავსახო მოხსენებაში აქემენიანური სპარსეთის დაპყრობები და ტერიტორიული ცვლილებები შუა და ახლო აღმოსავლეთში	**შუალედური სასწავლო მიზანი** **კომპლექსური დავალების პირობა**
სივრცე (გარემო, ტერიტორია) (ისტ.საშ.1,2,3,4,5,6) • გეოგრაფიული გარემო და გეოგრაფიული ცოდნა გავლენას ახდენს ადამიანთა საზოგადოების განვითარებაზე; • კომუნიკაციის სიხშირე დიდი/მცირე ზომის სოციალურ-კულტურული სივრცეების ჩამოყალიბებას განაპირობებს; • კონკრეტულ ისტორიულ-გეოგრაფიულ არეალებს გარკვეული ეკონომიკური, სტრატეგიული და კულტურული მნიშვნელობა აქვთ.	**კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (რესურსები, აქტივობები):** **I ეტაპი: კომპლექსური დავალების ფორმა** **ნაბიჯი 1. როგორ უნდა წარმოვაჩინო საკუთარი ცოდნა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით?** **რესურსი/აქტივობა:** **მოხსენება** – ვინმესთვის რაიმეს თქმა, ანგარიშის ჩაბარება. აუდიტორიის წინაშე წარმოთქმული წინასწარ მომზადებული სიტყვა. **მოხსენების სტრუქტურა** – მოხსენება შეიცავს შემდეგ კომპონენტებს: **ტექსტი** – მკაფიოდ უნდა გამოიკვეთოს შემდეგი ძირითადი ნაწილები: 1. შესავალი; 2. ძირითადი ნაწილი; 3. დასკვნები. **შესავალი** – კონტექსტი ნათლად უნდა წარმოაჩენდეს ფაქტორებს, რომლებიც განაპირობებს თემის მნიშვნელობას. **ძირითადი ნაწილი** – ამ ნაწილში წარმოდგენილია თემის შინაარსი, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა საკითხის განხილვას, სიტუაციის შეფასებას და არგუმენტირებულ მსჯელობას. სასურველია ძირითადი ნაწილის დაყოფა ქვეთავებად, რაც უფრო ადვილად აღსაქმელს გახდის მოხსენებას; **დასკვნა** – დასკვნა ნათლად და კომპაქტურად აჯამებს განსახილველ საკითხს. **სარეკომენდაციო აქტივობა:** მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს რესურსს და დაფაზე წერს: „მოხსენება“. მოსწავლეები გონებრივი იერიშის მეთოდით აყალიბებენ მოსაზრებებს პროდუქტთან დაკავშირებით, რის შემდეგაც მასწავლებელი, სოკრატესეული კითხვა-პასუხის მეთოდის გამოყენებით, მოსწავლეებს აცნობს ინფორმაციას მოხსენების შესახებ.		წარმოიდგინე, რომ სამხედრო მრჩეველი ხარ. მოღვაწეობ აქემენიანთა იმპერიაში და დახმარებას უწევ სპარსეთის მეფეს. გევალება, დაგეგმო და წარადგინო მოხსენება, რომელიც აქემენიანურ სპარსეთს შესაძლებლობას მისცემს, მოიპოვოს გავლენა რეგიონში, ერთი მმართველობის ქვეშ გააერთიანოს ახლო და შუა აღმოსავლეთი. მოხსენება უნდა წარადგინო წერილობით, დოკუმენტის სახით. **მოხსენებაში თვალნათლივ წარმოაჩინე:** • რა სტრატეგიული, ეკონომიკური და კულტურული მნიშვნელობა აქვს ახლო და შუა აღმოსავლეთს? **(მ.წ 3: სივრცე)**

ისტორიული მოვლენა/ პროცესი **(ისტ. საშ. 3,4,5,6)** • ყველა ისტორიულ მოვლენას აქვს თავისი მიზეზი/მიზეზები და შედეგი/შედეგები; • ისტორიკოსები ხშირად კამათობენ ისტორიული მოვლენების მიზეზებსა და შედეგებზე; • ზოგ ისტორიულ მოვლენას ლოკალური, ზოგს კი გლობალური მნიშვნელობა აქვს; • ისტორიული ფაქტები და მოვლენები ტიპოლოგიურად შეიძლება დაჯგუფდეს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული ნიშნით.	**კითხვები აქტივობისთვის:** 1) რა არის მოხსენება? 2) რატომ ქმნიან მოხსენებას? 3) რა უნდა გაითვალისწინო მოხსენების მომზადების დროს? 5) როგორ უნდა დაგეგმო და რაზე უნდა გაამახვილო ყურადღება მოხსენების მომზადების დროს? 6) რატომ უნდა იყოს გათვალისწინებული მოხსენების მომზადების პროცესში მისი სტრუქტურა? 7) როგორი ტერმინოლოგია უნდა გამოიყენო მოხსენებაში? **II ეტაპი: კომპლექსური დავალების შინაარსი** **მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად იწყებს საკითხის განხილვას.** **ნაბიჯი 1** • რა სტრატეგიული, ეკონომიკური და კულტურული მნიშვნელობა აქვს ახლო და შუა აღმოსავლეთს? **(მ.წ 3: სივრცე)** • როგორ უნდა გამოიყენოს აქემენიანურმა სპარსეთმა გეოგრაფიული გარემო ერთიანი სოციალურ-კულტურული სივრცის ჩამოსაყალიბებლად? **(მ.წ. 1 და 2: სივრცე)** • როგორ განვითარდა რეგიონული და გლობალური პროცესები აქემენიანური სპარსეთის დაპყრობების შემდეგ და რა ინტერპრეტაციები შეიძლება მოჰყვეს საპრსეთის მმართველების პოლიტიკას დაპყრობილ ქვეყნებში? **(მ.წ: 2 და 3: ისტორიული მოვლენა/პროცესი)** **რესურსი:** სახელმძღვანელო: გვ. 67-80. საკითხის მრავალმხრივი გააზრებისთვის პედაგოგს შეუძლია, პარაგრაფში არსებულ მასალასთან ერთად გამოიყენოს მოსწავლის რვეულში მოცემული ინფორმაცია, გვ. 24-25. აქ წარმოდგენილია ინფორმაცია კიროსის მცირე აზიაში ლაშქრობების შესახებ. **სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:** შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.	• როგორ უნდა გამოიყენოს აქემენიანურმა სპარსეთმა გეოგრაფიული გარემო ერთიანი სოციალურ-კულტურული სივრცის ჩამოსაყალიბებლად? **(მ.წ. 1 და 2: სივრცე)** • როგორ განვითარდა რეგიონული და გლობალური პროცესები აქემენიანური სპარსეთის დაპყრობების შემდეგ და რა ინტერპრეტაციები შეიძლება მოჰყვეს საპრსეთის მმართველების პოლიტიკას დაპყრობილ ქვეყნებში? **(მ.წ. 2 და 3: ისტორიული მოვლენა/ პროცესი)** • როგორ განვითარდა აქემენიანთა იმპერია დაპყრობების შედეგად პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული მიმართულებით? **(მ.წ. 1 და 4: ისტორიული მოვლენა/პროცესი)**

სარეკომენდაციო აქტივობა:
ამ კრიტერიუმების დამუშავების პროცესში მასწავლებელი ეყრდნობა სახელმძღვანელოს, გვ. 67 და 68. აქ წარმოდგენილია ინფორმაცია აქემენიანთა იმპერიის ადრეული წლების შესახებ, ხოლო გვ. 68-ზე წარმოდგენილია ისტორიული რუკა. რუკის განხილვის შემდეგ პედაგოგი მოსწავლეებს სთავაზობს დავალებას.

მოსწავლის რვეული: დავალება 16.

მასალის გაცნობისა და დავალების შესრულების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, პარაგრაფში არსებული კითხვების გამოყენებით გააააქტიუროს მოსწავლეები. კითხვები მოცემულია გვ. 69-ზე.

1) ჩამოთვლილი მხარეებიდან რომელი იყო ირანულენოვანი ხალხით დასახლებული?
2) გაიხსენე, სხვადასხვა დროს რომელი ცივილიზაციები არსებობდა კიროსის მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე. იმსჯელე, მოახდენდა თუ არა მათი შეერთება სპარსულ საზოგადოებაზე გავლენას.
3) რა სტრატეგიული, პოლიტიკური თუ ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა სპარსელებისთვის მცირე აზიას, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს, შუამდინარეთს? რომელი რეგიონი მიგაჩნია სპარსელების მნიშვნელოვან მონაპოვრად და რატომ?
4) როგორ ფიქრობ, რა საერთო ვალდებულებები ექნებოდათ სპარსეთის იმპერიაში შემავალ ქვეყნებს?
5) რით იყო განპირობებული აქემენიანთა შემწყნარებლური დამოკიდებულება სხვა ხალხთა რელიგიების მიმართ?
6) შენი აზრით, რამდენად შეუწყობდა ხელს აქემენიან მეფეთა ამგვარი პოლიტიკა იმპერიის ერთიანობას?
7) გამოთქვი ვარაუდი, რა სირთულეების წინაშე შეიძლებოდა აღმოჩენილიყო აქემენიანთა საგვარეულო სახელმწიფოს მართვისას?
8) შენი აზრით, როგორი საშინაო პოლიტიკა უნდა ეწარმოებინათ აქემენიანებს?
9) როგორ წარმოვადგინო მოხსენებაში კიროსის, კამბისესა და დარიოსის ლაშქრობები და მათ მიერ დაპყრობილი ტერიტორიების ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა?

	პედაგოგს შეუძლია, შესასწავლი საკითხის დამუშავების პროცესში გამოიყენოს დამატებითი კითხვები, რაც ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს: • როგორ ფიქრობ, შეიცვალა თუ არა დღეს რუკაზე არსებული ტერიტორიების მნიშვნელობა ეკონომიკური თვალსაზრისით? • რატომ იყო და არის მნიშვნელოვანი ზღვების კონტროლი? • შეაფასე საპარსეთის მმართველების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები დაპყრობილი ქვენების მიმართ. როგორ ფიქრობ, რას შეუწყობდა ეს ხელს? • როგორ ფიქრობ, დაპყრობილი ქვეყნების მიმართ როგორი პოლიტიკა უნდა გამოიყენოს აქემენიანთა ირანმა? რატომ? • შენი აზრით, რა სახის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ღონისძიება შეიძლებოდა გაეტარებინათ კიროსსა და კამბისეს, რომ ერთიანი სოციალურ-კულტურული სახელმწიფო ჩამოეყალიბებინათ? • როგორ ფიქრობ, აქემენიანთა იმპერიაში მმართველების ცვლილებების შემდეგ რომელ რეგიონებში შეიქმნა პრობლემა და რატომ? ამ კითხვებისა და მასალის დამუშავების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, მოსწავლეებს სთხოვოს დავალების შესრულება. ის სარეკომენდაციო დანიშნულებისაა (იხილეთ დანართი 1). დავალების შესრულების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, განაგრძოს სახელმძღვანელოზე დაყრდნობით შესასწავლი საკითხის დამუშავება. გვ. 70 და 71-ზე მოცემულია ისტორიული წყაროები. მათი განხილვის შემდეგ მასწავლებელს შეუძლია, გამოიყენოს პარაგრაფში მოცემული დავალებები: 1) შეაფასე ოტანესის არგუმენტები ხალხის მმართველობის სასარგებლოდ; 2) შეაფასე ოტანესის არგუმენტები ერთმმართველობის საწინააღმდეგოდ; 3) შეაფასე მეგაბიძუსის არგუმენტები მცირეთა მმართველობის სასარგებლოდ; 4) შეაფასე მეგაბიძუსის არგუმენტები ხალხის მმართველობის საწინააღმდეგოდ; 5) შეაფასე დარიოსის არგუმენტები ერთმმართველობის სასარგებლოდ; 6) შეაფასე დარიოსის არგუმენტები მცირეთა მმართველობის საწინააღმდეგოდ; 7) როგორი იყო ძველ აღმოსავლეთში გავრცელებული მმართველობის ფორმა და, შენი აზრით, რამდენად იყო შესაძლებელი აქემენიანურ სპარსეთში მმართველობის ფორმის ცვლილება? 8) როგორ უნდა წარმოადგინო მმართველობის ფორმების შესახებ მიღებული ცოდნა შენს მოხსენებაში?	

	პედაგოგს შეუძლია, შესასწავლი საკითხის დამუშავების პროცესში გამოიყენოს დამატებითი კითხვები, რაც ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს: • „ოტანესმა გამოაცხადა, სახელმწიფოს მართვაში ყველა სპარსელი უნდა მონაწილეობდესო“. როგორ ფიქრობ, რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა არასპარსულ ქვეყნებში ადგილობრივ დონეზე სპარსელების მმართველობას? • „მეგაბიძუსმა ბრძანა, მცირეთა მმართველობას მივენდოთო“. როგორ ფიქრობ, რა შედეგებს მოიტანდა ასეთი მმართველობა სპარსეთის მიერ დაპყრობილ ქვეყნებში? • შენი აზრით, როგორ აისახებოდა მმართველობის ცვლილება აქემენიანთა სპარსეთში დაპყრობილ სახელმწიფოებზე? რატომ ფიქრობ ასე? ***ნაბიჯი 2*** • როგორ განვითარდა რეგიონული და გლობალური პროცესები აქემენიანური სპარსეთის მიერ დაპყრობების შემდეგ და რა ინტერპრეტაციები შეიძლებოდა მოჰყოლოდა საპრსეთის მმართველების პოლიტიკას დაპყრობილ ქვეყნებში? **(მ.წ. 2 და 3: ისტორიული მოვლენა/პროცესი)** • როგორ განვითარდა აქემენიანთა იმპერია დაპყრობების შედეგად პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული მიმართულებით? **(მ.წ. 1 და 4: ისტორიული მოვლენა/პროცესი)** **რესურსი** სახელმძღვანელო, გვ. 72-80.	

2. ანტიკური ეპოქა – მატრიცა

თემა: ანტიკური ეპოქა **საათების სავარაუდო რაოდენობა – 40 სთ.**	
თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები: • ანტიკური სამყაროსთვის დამახასიათებელია ძალაუფლების ძირითადი ფორმების კონცეპტუალური გააზრება და სახელმწიფოს პოლიტიკური განვითარების ფორმებზე ღია და ფართო დისკუსია; • პოლიტიკური ფორმების მრავალფეროვნება და განსხვავებული პოლიტიკური იდეებისა და სტრუქტურების დაპირისპირება ბერძნული პოლიტიკური კულტურის განუყოფელი ნაწილია; • კლასიკური ეპოქის ბერძნული და რესპუბლიკური პერიოდის რომაული სახელმწიფოს მოწყობის იდეალი ძალაუფლების დანაწილების პრინციპზე იდგა, აღმოსავლური იმპერიები კი ერთპიროვნული ძალაუფლების კონტექსტში ვითარდებოდნენ; • დემოკრატია, როგორც მმართველობის ფორმა, ანტიკურობის პროდუქტია; • თანამედროვე სამყარო, ძალაუფლების ფორმებისა და პოლიტიკური მოწყობის კუთხით, დიდწილად ანტიკურ საფუძველზე დგას; • ანტიკურ პერიოდში მოხერხდა ძველაღმოსავლური სივრცის უმეტესობის ელინური გავლენის ქვეშ მოქცევა; • ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობამ დიამეტრულად შეცვალა როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმები, ისე დასაბამი მისცა ელინიზმს თავისი მკვეთრად გამოხატული იდენტობის საშუალებებით, რომელიც გლობალისტურ პრინციპებს ეფუძნებოდა; • ანტიკურ პერიოდში ბერძნულმა კოლონიზაციამ მოიცვა როგორც ხმელთაშუაზღვისპირეთის, ისე შავი ზღვის აუზი; • ანტიკურ ხანაში აღმოსავლური და დასავლური/ხმელთაშუაზღვის-პირული სახელმწიფოები ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ; • ალექსანდრე მაკედონელის მოღვაწეობამ ელინური და აღმოსავლური კულტურების შერწყმას (ელინიზმს) დაუდო საფუძველი; • ანტიკური სივრცის ცენტრს ხმელთაშუა და შავი ზღვის აუზები წარმოადგენდა; • ბერძნულმა კოლონიზაციამ, ალექსანდრეს ლაშქრობამ და რომაულმა დაპყრობებმა გადამწყვეტი გავლენა მოახდინა ანტიკური გეოგრაფიულ-პოლიტიკური სივრცის ჩამოყალიბებაზე.	**თემასთან დაკავშირებული საკვანძო შეკითხვები:** • როგორ იაზრებდნენ ძველი ბერძნები სახელმწიფოს მმართველობის ძირითად ფორმებს? • როგორ ჩამოყალიბდა ათენში დემოკრატია, როგორ ხდებოდა ათენის დემოკრატიული მოდელის სრულყოფა? • რატომ იყო ძალაუფლება დანაწილებული ძველ ბერძნულ პოლისებში და რა უსახსოვრა ძველმა საბერძნეთმა თანამედროვეობას? • რატომ დაუპირისპირდა ერთმანეთს ბერძნული და სპარსული სამყარო? • რა გავლენა მოახდინა ალექსანდრეს ლაშქრობებმა ელინისტური გეოგრაფიულ-პოლიტიკური სივრცის ჩამოყალიბებაზე? • რა გავლენას მოახდენდა ალექსანდრეს ლაშქრობები ბერძნების გეოგრაფიული თვალსაწიერის გაფართოებაზე? • რით განსხვავდება ელინური და ელინისტური კულტურა? • რა უდევს საფუძვლად რომის ისტორიის პერიოდიზაციას? • რით განსხვავდება რესპუბლიკა სამეფოსგან? • რატომ/რისთვის იბრძოდნენ პლებეები? • როგორ ფართოვდებოდა რომის სახელმწიფო? როგორ მოახერხა მან სამ კონტინენტზე განფენა და რატომ იყო ეს მნიშვნელოვანი? • რატომ აღმოჩნდა სამხრეთ კავკასია რომთან კონფლიქტში ჩართული? • რა აერთიანებდათ რომაულ და ბერძნულ საზოგადოებებს? • რას მოგვითხრობს მრავალფეროვანი წყაროები რომაულ საზოგადოებაზე? • როგორ ვითარდებოდა ანტიკურ სამყაროში ისტორიული აზრი?

ანტიკური პერიოდის სხვადასხვა მონაკვეთში ბერძენ-რომაელთა დომინანტობით აღნიშნული სივრცის პოლიტიკური და კულტურული ცენტრები იცვლება. რომის ისტორიის პერიოდიზაციას ძალაუფლების ფორმის ცვლილებით ვახდენთ და მეფეთა მმართველობის, რესპუბლიკისა და იმპერიული მმართველობის პერიოდები გამოიყოფა. ისტორიოგრაფია, როგორც წარსულის ანალიტიკურად შემსწავლელი მეცნიერება, ძველ საბერძნეთში შეიქმნა და განვითარდა. ეს განპირობებული იყო ბერძნულ-რომაული სამყაროსთვის დამახასიათებელი სამყაროს ანალიტიკურად შეცნობის სურვილით. ანტიკური ეპოქის საქართველოს ისტორიის რეკონსტრუქცია დიდწილად სწორედ ბერძნულ-რომაული წყაროების დახმარებით ხდება. ანტიკური წყაროების სანდოობის ხარისხი განსხვავებულია. სანდოობის ხარისხს განაპირობებს წყაროს ტიპი, წერილობითი წყაროს შემთხვევაში, ავტორის ინფორმირებულობა, მისი წვდომა პირველწყაროსთან, მისი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი პოზიცია და ჟანრული თავისებურებები.			
კომპლექსური დავალებები (დასახელება)	**სამიზნე ცნებები და ქვეცნებები**	**საკითხები**	**საკვანძო შეკითხვები**
მოხსენების დაწერა ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებში მმართველობის ფორმების აღსაწერად	**ცნება/ცნებები:** ძალაუფლება, საზოგადოება **ქვეცნება/ქვეცნებები:** სახალხო კრება, დემოკრატია, ოლიგარქია, სოციალური ფენები, რეფორმები	ძველი ბერძნული სამყარო და მმართველობის ფორმები	როგორ დავწერო მოხსენება, რომელშიც აღვწერ და გავაანალიზებ ბერძნულ პოლისებში მმართველობის ფორმებს და მათ შორის საერთო და განმასხვავებელ ნიშნებს?
სტატიის მომზადება ბერძნულ-სპარსული ცივილიზაციების დაპირისპრების შესახებ	**ცნება/ცნებები:** ისტორიული მოვლენა, პროცესი, სივრცე **ქვეცნება/ქვეცნებები:** ომი, ზავი, ტერიტორიული ექსპანსია, დასავლეთი, აღმოსავლეთი, რეგიონული პოლიტიკა	ბერძნულ-სპარსული დაპირისპირება, მიზეზები და შედეგები	როგორ წარმოვადგინო სტატიაში ბერძნულ-სპარსული დაპირისპირების მიზეზები, შედეგები და მნიშვნელობა?

სტატიის მომზადება რომის ისტორიის შესახებ, სადაც გამოკვეთ პერიოდიზაციის საკითხს	**ცნება/ცნებები:** დრო **ქვეცნება/ქვეცნებები:** ეპოქა, პერიოდიზაცია, ცვლილება, ქრონოლოგია	რომის მმართველობა და პერიოდიზაცია	როგორ გამოვკვეთო სტატიაში რომის ისტორიის სხვადასხვა ეპოქა, მახასიათებელი და პერიოდიზაციის საკითხები?
ესეს დაწერა ბერძნულ-რომაული ისტორიოგრაფიის შესახებ	**ცნება/ცნებები:** წყარო **ქვეცნება/ქვეცნებები:** ისტორიოგრაფია, პირველადი და მეორადი წყაროები, ინტერპრეტაცია	ბერძნულ-რომაული ისტორიოგრაფია და მისი მახასიათებლები	როგორ წარმოვაჩინო ესეში ბერძნულ-რომაული ისტორიოგრაფიის თავისებურება და მახასიათებლები
გრძელვადიანი მიზანი **სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**	**საკითხი/ქვესაკითხები:** ძველი ბერძნული სამყარო და მმართველობის ფორმები **ქვეცნება/ქვეცნებები**: სახალხო კრება, დემოკრატია, ოლიგარქია, სოციალური ფენები, რეფორმები	**საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები:** როგორ დავწერო მოხსენება, რომელშიც აღვწერ და გავაანალიზებ ბერძნულ პოლისებში მმართველობის ფორმებსა და მათ შორის საერთო და განმასხვავებელ ნიშნებს?	**შუალედური სასწავლო მიზანი** **კომპლექსური დავალების პირობა**
ძალაუფლება (ისტ.საშ.3,4,5,6,7,8) • ძალაუფლებისთვის ბრძოლა ისტორიის განუყოფელი ნაწილია; • ძალაუფლებისთვის ბრძოლა მიმდინარეობს როგორც პიროვნებებს, ისე საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის. ბრძოლისას ისინი იყენებენ ქვეყანაში არსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სტრუქტურებს; • ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნებისთვის აუცილებელი საშუალებებია რესურსების (ფინანსების, ადამიანური რესურსების) ფლობა, სიმბოლოები, იდეოლოგია;	**კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (რესურსები, აქტივობები):** **I ეტაპი: კომპლექსური დავალების ფორმა** **ნაბიჯი 1. როგორ უნდა წარმოვაჩინო საკუთარი ცოდნა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით?** **რესურსი/აქტივობა:** **მოხსენება** 1. ვინმესთვის რაიმეს თქმა, ანგარიშის ჩაბარება (მომახსენე, რა გეგმები გაქვს). 2. აუდიტორიის წინაშე წარმოთქმული წინასწარ მომზადებული სიტყვა (მოხსენება წაიკითხა, მოხსენებით წარდგა). მოხსენების წარდგენის დროს უნდა გავითვალისწინოთ: დაფიქრდი, რატომ არის შენ მიერ განსახილველი საკითხი მსმენელისთვის მნიშვნელოვანი და რა მიზნის მიღწევა გსურს? მოძებნე საინტერესო და პრაქტიკული მასალა; გამოყავი მთავარი აზრები; მასალა ლოგიკურად განალაგე, მხოლოდ საუკეთესო მოსაზრებები დატოვე; მოამზადე დასკვნა. შეამოწმე მასალა.	წარმოიდგინე, რომ არისტოტელე ხარ, ათენში ცხოვრობ და ათე-ნის ფილოსოფიურ სკოლას წარ-მოადგენ. შენმა მასწავლებელმა, პლატონმა, საბერძნეთში არსებული ორი მთავარი პოლისის, ათენისა და სპარტის, მმართველობითი სტრუქტურისა და საზოგადოების ფენების მდგომარეობის შესწავლა დაგავალა. ამისთვის უნდა მოამ-ზადო მოხსენება. **მოხსენებაში თვალნათლივ უნდა წარმოაჩინო:** • მმართველობის რომელი ფორ-მები არსებობდა ძველ საბერ-ძნეთში და რა იყო მმართვე-ლობის ამ ფორმების არსი? **(მ.წ. 1 და 2: ძალაუფლება)**

- ზოგიერთ საზოგადოებაში ძალაუფლებას ერთპიროვნულად ფლობენ, ზოგან კი იგი დანაწილებულია ადამიანებს/საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის;
- დემოკრატიულ სახელმწიფოში ძალაუფლების წყაროა ხალხი.

საზოგადოება (ისტ.საშ.1,2,3,4,5,6)

- ისტორიულად მრავალი საზოგადოება არსებობდა, მაგრამ თითოეულ მათგანს ახასიათებდა საერთო ნიშნები: მათ წევრებს ჰქონდათ საერთო იდენტობა, ინტერესი, საზრუნავი და თანხმდებოდნენ ქცევის წესებსა და ღირებულებებზე;
- საზოგადოება იყოფა უფრო მცირე საზოგადოებრივ ჯგუფებად;
- პატარა საზოგადოებები უმეტესად უფრო დიდი საზოგადოების ნაწილს წარმოადგენენ;
- საზოგადოების წევრებს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვთ მრავალფეროვნების მიმართ.

სარეკომენდაციო აქტივობა:
მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს რესურსს და დაფაზე წერს: *„მოხსენება“*. მოსწავლეები გონებრივი იერიშის მეთოდით აყალიბებენ მოსაზრებებს პროდუქტთან დაკავშირებით, რის შემდეგაც მასწავლებელი კითხვა-პასუხის მეთოდის გამოყენებით მოსწავლეებს აცნობს ინფორმაციას მოხსენების შესახებ.

კითხვები აქტივობისთვის:
1) რა არის მოხსენება?
2) რატომ იწერება მოხსენება?
3) როგორ უნდა დაწერო მოხსენება?
4) რა უნდა გაითვალისწინო მოხსენების წერის დროს?
5) რატომ უნდა დაიცვა მოხსენების წერის დროს გეგმა?

II ეტაპი: კომპლექსური დავალების შინაარსი

ნაბიჯი 1.
მმართველობის რომელი ფორმები არსებობდა ძველ საბერძნეთში და რა იყო მმართველობის ამ ფორმების არსი? **(მ.წ. 1 და 2: ძალაუფლება)**

რესურსი/აქტივობა: სახელმძღვანელო: გვ. 82-88.
საკითხის მრავალმხრივი გააზრებისთვის პედაგოგს შეუძლია, პარაგრაფში არსებულ მასალასთან ერთად გამოიყენოს მოსწავლის რვეულში მოცემული ინფორმაცია, გვ. 51-54. აქ წარმოდგენილია ინფორმაცია ანტიკური საბერძნეთის შესახებ.

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:
ამ კრიტერიუმის დამუშავების პროცესში მასწავლებელი ეყრდნობა სახელმძღვანელოს, გვ. 82-84, სადაც მოცემულია ინფორმაცია პოლისის არსის შესახებ, წყარო „ა“ და ისტორიული რუკა.

- რომელ სახელმწიფო ინსტიტუციებში იქმნებოდა კანონები ძველ საბერძნეთში და რატომ იყო ძალაუფლება გადანაწილებული სახელმწიფოს სტრუქტურებს შორის? **(მ.წ. 2 და 4: ძალაუფლება)**
- რომელი სახელმწიფო ინსტიტუციები არსებობდა ათენსა და სპარტაში და როგორ ახერხებდა მოსახლეობა საკუთარი უფლებების დაცვასა და რეალიზებას? **(მ.წ. 2: საზოგადოება)**
- რომელი სოციალური ფენებისგან შედგებოდა ათენის საზოგადოება; რამდენად განსხვავდებოდა სხვა ელინური საზოგადოების (მაგ., სპარტის) იდენტობის, ინტერესებისა და უფლებებისგან? რატომ? **(მ.წ. 2, 3: საზოგადოება)**
- იდენტობის რა საშუალებები, საერთო ინტერესი და საზრუნავი ჰქონდათ ათენის საზოგადოების წევრებს? **(მ.წ. 1: საზოგადოება)**
- რატომ ახდენდა სხვადასხვა პოლისში მცხოვრები ხალხი საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ელინურ საზოგადოებასთან და რით განსხვავდებოდა მათი საზოგადოება აღმოსავლური – „სპარსელი“ საზოგადოებისგან? **(მ. წ. 3 და 4: საზოგადოება)**

	უშუალოდ საკითხის განხილვამდე მასწავლებელს შეუძლია, წინარე ცოდნის გასააქტიურებლად გამოიყენოს მაპროვოცირებელი კითხვები. ისინი შეიძლება დაისვას ისტორიული რუკის გაცნობის შემდეგ. გვ. 83. ამ კითხვებს სარეკომენდაციო ხასიათი აქვს. 1) რა პროცესია რუკაზე ნაჩვენები? 2) გაიხსენე, რომელ ზღვებსა და ნახევარკუნძულზე იწყებს განვითარებას ბერძნული ცივილიზაცია? 3) რას ვუწოდებთ საბერძნეთში არსებულ ქალაქ-სახელმწიფოებს? 4) შენი აზრით, რა უნდა ჰქონდეს ქალაქს იმისათვის, რომ მას ქალაქ-სახელმწიფო ვუწოდოთ? რატომ? 5) გაიხსნე, რა ტიპის დასახლებებს აარსებდნენ ეს სახელმწიფოები სხვადასხვა გეოგრაფიულ სივრცეში და რა იყო ამის მიზეზი? 6) როგორ ფიქრობ, რატომ არის მოსახერხებელი ბერძნებისთვის ზღვასთან სიახლოვე? 7) გაიხსენე, რას საქმიანობდნენ ბერძნები? 8) რომელ რეგიონებზე ვრცელდება ბერძნული კულტურის გავლენა? საკითხის გაცნობისა და მაპროვოცირებელი კითხვების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, დამაზუსტებელი კითხვები გამოიყენოს და მოსწავლეებს გააანალიზებინოს ინფორმაცია. შემოთავაზებულ კითხვებს სარეკომენდაციო ხასიათი აქვს: 1) რა იყო პოლისის არსი? 2) რა ფუნქცია აქვს კოლონიას და როგორ ურთიერთობაშია ის მეტროპოლიასთან? 3) რატომ დაიწყეს ბერძნებმა კოლონიებში განსახლება? 4) რა განასხვავებს ახალშენსა და კოლონიას? 5) რატომ ახდენდა კოლონიებში მცხოვრები საზოგადოება საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ელინურ საზოგადოებასთან? 6) რა საერთო კულტურული ფენომენი ჰქონდა კოლონიასა და მეტროპოლიაში მცხოვრებ საზოგადოებას? 7) რა ფაქტორებზე იყო დამოკიდებული კოლონიის პოლიტიკური სტატუსი, მისი პოზიციები? 8) როგორ უნდა წარმოადგინო მოხსენებაში კოლონიებისა და მეტროპოლიის ურთიერთობა და მათი პოლიტიკური სტატუსი?	

	კითხვების დამუშავების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით განაგრძოს საკითხის დამუშავება. გვ. 84-ზე წარმოდგენილია ისტორიული წყარო „ბ“. მისი გაცნობის შემდეგ პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოში მოცემული კითხვები: 1) სად მდებარეობს ნავკრატისი და კირენე? 2) როგორ ხსნის ავტორი თითოეულ შემთხვევაში კოლონიის დაარსებას? ცდილობს თუ არა იგი, თავისებურად გაამართლოს კოლონიების დაარსება? 3) რით განსხვავდება ეს ორი კოლონია ერთმანეთისგან? წყაროში აღწერილ კოლონიათა რომელ ტიპს განეკუთვნება თითოეული მათგანი? 4) როგორ უნდა გამოიყენო წყაროებიდან მიღებული ცოდნა მოხსენებაში? 5) შენი აზრით, ასახავს თუ არა ეს ტერმინები: არასტუმართმოყვარე ზღვა და სტუმართმოყვარე ზღვა – ბერძნული კოლონიზაციის ეტაპებს? 6) რა დამატებითი ინფორმაციის მოპოვება შეიძლება მათზე დაკვირვებით? 7) იმსჯელე, რა დადებითი ან უარყოფითი მხარეები შეიძლებოდა ჰქონოდა ბერძნულ კოლონიზაციას როგორც ბერძნებისთვის, ისე ადგილობრივი მოსახლეობისთვის? 8) როგორ ფიქრობ, მოახდენდა თუ არა გავლენას კოლონიაზე მეტროპოლიის პოლიტიკური წყობა და კანონები? კითხვების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეებს შესთავაზოს დავალება. **მოსწავლის რვეული:** დავალება 17. ამ აქტივობების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, განაგრძოს საკითხის დამუშავება. გვ. 85-88-ზე მოცემულია ინფორმაცია მმართველობის ფორმების შესახებ. ამ მასალის დასამუშავებლად გამოიყენება ისტორიული წყაროები, რომელთა დამუშავების პროცესში მასწავლებელს შეუძლია, გამოიყენოს ჯგუფური ორგანიზების ფორმა. შემდეგ კი ჯგუფებს შორის წარმართოს დისკუსია მმართველობის ფორმებთან დაკავშირებით და სთხოვს მათ მცირე პრეზენტაციების მომზადება. წყაროების განხილვის შემდეგ პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს პარაგრაფში მოცემული კითხვები, რომლებიც მოსწავლეებს დაეხმარება, სიღრმისეულად შეისწავლონ საკითხი.	

	• დღევანდელი პოზიციიდან, არისტოტელესეული დახასიათებებიდან რომელი მიგაჩნია მართებულად? • მოიყვანე არისტოტელეს მსჯელობის კონტრარგუმენტები. • როგორ ფიქრობ, ბერძნული კოლონიზაციის დროს გავრცელდებოდა თუ არა კოლონიებში ბერძნული პოლიტიკური კულტურა? რამდენად მისაღები ან მიუღებელი შეიძლებოდა ყოფილიყო ადგილობრივი მოსახლეობისთვის და რაზე იქნებოდა ეს დამოკიდებული? კლასში დაიყავით ჯგუფებად. გაინაწილეთ არისტოტელესეული სახელმწიფო მმართველობის ფორმები. ჩამოწერეთ თქვენი არჩეული მმართველობის ფორმის დადებითი და უარყოფითი მხარეები. შექმენით მოცემული სახელმწიფო მმართველობის ფორმის მარტივი გრაფიკული სქემა, სადაც გამოჩნდება ძალაუფლების განაწილების ხარისხი. პრეზენტაცია წარუდგინეთ კლასს. ამ პროცესის შემდეგ მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეებს შესთავაზოს დავალება. **მოსწავლის რვეული:** დავალება 18-19. ცხრილის შევსების შემდეგ მნიშვნელოვანია კონსტრუქტივისტული სწავლების ერთ-ერთი პრინციპის „ცოდნათა ურიერთდაკავშირების“ დაცვა. პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს დისკუსიური სწავლების ელემენტი და მოსწავლეებს მიმართოს კითხვით: „მმართველობის რომელი ფორმაა უფრო მოქნილი და განაპირობებს თუ არა კონკრეტული სიტუაცია მმართველობის რომელიმე ფორმის აუცილებლობას?“ თითოეულ ჯგუფს მიეცემა რამდენიმე ისტორიული მაგალითი, რომელზე მსჯელობის შემდეგაც ჯგუფი წარმოადგენს მინიპრეზენტაციას. მაგალითები, რომლებიც დაგვეხმარება ცოდნის ურთიერთდაკავშირებაში: • ძველი აღმოსავლური სახელმწიფოების მმართველობის ფორმა; • ინგლისის რევოლუცია: სტიუარტების რესტავრაცია; • საფრანგეთის რევოლუცია: იაკობინელთა მმართველობა/ნაპოლეონის მმართველობა; • აშშ-ის რევოლუცია.	

	პედაგოგს შეუძლია, შესასწავლი საკითხის დამუშავებისას გამოიყენოს დამატებითი კითხვები, რაც ცოდნის კონსტრუირებასა და დღევანდელობასთან დაკავშირებას შეუწყობს ხელს: • წყაროებზე დაყრდნობით იმსჯელე, რატომ იქმნება სახელმწიფო? • ვინ შეიძლება მონაწილეობდეს სახელმწიფოს დაფუძნებაში და რა შეიძლება იყოს მათი მოტივი? • მმართველობის რომელ ფორმას მიანიჭებ უპირატესობას და რატომ? • როგორ ფიქრობ, როგორ უნდა შეძლოს მოქალაქემ საკუთარი უფლებების რეალიზება სახელმწიფოში? • დღეს მმართველობის რომელი ფორმაა ყველაზე მეტად გავრცელებული? როგორ ფიქრობ, რატომ? • მმართველობის რომელი ფორმაა, შენი აზრით, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყველაზე მოქნილი? რატომ ფიქრობ ასე? • როგორ ფიქრობ, რა გავლენას ახდენს სახელმწიფოში მცხოვრებ ადამიანებზე მართველობის ესა თუ ის ფორმა? **ნაბიჯი 2.** • რომელ სახელმწიფო ინსტიტუტებში იქმნებოდა კანონები ძველ საბერძნეთში და რატომ იყო ძალაუფლება გადანაწილებული სახელმწიფოს სტრუქტურებს შორის? **(მ.წ. 2 და 4: ძალაუფლება)** • იდენტობის რა საშუალებები, საერთო ინტერესი და საზრუნავი ჰქონდათ ათენის საზოგადოების წევრებს? **(მ.წ. 1: საზოგადოება)** • რომელი სოციალური ფენებისგან შედგებოდა ათენის საზოგადოება; რამდენად განსხვავდებოდა სხვა ელინური საზოგადოების (მაგ., სპარტის) იდენტობის, ინტერესებისა და უფლებებისგან? რატომ? **(მ.წ. 2, 3: საზოგადოება)** **რესურსი/აქტივობა:** სახელმძღვანელო: გვ 89-98. **სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:** შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.	

	სარეკომენდაციო აქტივობა: კრიტერიუმების დამუშავების პროცესში მასწავლებელს შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მასალა. გვ. 89-ზე მოცემულია მასალა ათენის შესახებ და ისტორიული წყარო. ამ მასალის დამუშავების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს პარაგრაფში არსებული კითხვები: • რატომ არის მნიშვნელოვანი ეს ისტორიული წყარო? • რაზე გვაწვდის ინფორმაციას? • როგორია პლუტარქეს/ათენელების წარმოდგენა დემოკრატიაზე? • რამდენად თანასწორია პლუტარქეს მიერ აღწერილი საზოგადოება? • რას ეფუძნება ეს თანასწორობა? • როგორ უნდა წარმოადგინო მოხსენებაში ათენის მოქალაქეების დამოკიდებულება დემოკრატიასთან მიმართებით? ამ კითხვების დამუშავების შემდეგ მასწავლებელს შეუძლია განაგრძოს საკითხის დამუშავება. გვ. 90-91-ზე მოცემულია ინფორმაცია ათენის ტერიტორიული მოწყობისა და მეტოიკების შესახებ. მასალის განხილვის შემდეგ პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული კითხვები, რომლებიც მოსწავლეებს დაეხმარება საკითხის გაანალიზებასა და გააზრებაში. • რა ძირითად განმასხვავებელ უფლებებს ფლობდნენ მოქალაქეები არამოქალაქეებთან შედარებით? • გაარკვიე, რა უფლებები აქვთ დღეს მოქალაქეებსა და არამოქალაქეებს (საქართველოს მაგალითზე), პარალელი გაავლე ატიკის ძველ საზოგადოებასთან. • როგორ შეიძლება მოქალაქეობის მიღება დღეს და რა გზით შეეძლოთ, მოქალაქეობა მიეღოთ მეტოიკებს? ამ მასალისა და კითხვების დამუშავების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოში გვ. 91-92-ზე მოცემული სქემა მეტოიკებთან დაკავშირებით და ათენის მმართველობითი მოწყობა.	

	პედაგოგს შეუძლია, შესასწავლი საკითხის დამუშავების პროცესში გამოიყენოს დამატებითი კითხვები, რაც ცოდნის კონსტრუირებასა და დღევანდელობასთან დაკავშირებას შეუწყობს ხელს: • რა პრობლემები ჰქონდა ათენის მოსახლეობას სოციალურ-ეკონომიკური კუთხით? • შენი აზრით, რამდენად საჭირო იყო მეტოიკების საქმიანობა ათენისთვის? • ვინ მონაწილეობს ათენის მმართველობით სტრუქტურაში? • რა არის არქონტთა კოლეგია და როგორ ფიქრობ, რატომ არის მათი მოღვაწეობა მნიშვნელოვანი ათენისთვის? • შენი აზრით, შეუწყობდა თუ არა დრაკონული კანონები ხელს ათენის რიგითი მოქალაქეების კონსოლიდაციას? რატომ ფიქრობ ასე? • როგორ ფიქრობ, არისტოკრატია რომ დათმობაზე არ წასულიყო, რა შედეგით დასრულდებოდა პოლიტიკური პროცესი ათენში? • შენი აზრით, უწყობს თუ არა ხელს ძალაუფლების შენარჩუნებას კომპრომისი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისას? რატომ ფიქრობ ასე? მასალისა და კითხვების დამუშავების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, განაგრძოს საკითხის დამუშავება. გვ. 92 და 93-ზე მოცემულია ინფორმაცია სოლონის რეფორმების შესახებ და სოლონის მიერ შემუშავებული სახელმწიფოს მართვის სქემა, რომლის გაცნობის შემდეგ პედაგოგს შეუძლია, საკითხის დასაზუსტებლად გამოიყენოს პარაგრაფში მოცემული კითხვები: • სოციალური ფენები, ბუნებრივია, ათენის საზოგადოებაში მანამდეც არსებობდა. შენი აზრით, რატომ დასჭირდა სოლონს სოციალური ფენების მკვეთრად განსაზღვრა და ერთმანეთისგან გამიჯვნა? • როგორ მოახერხა სოლონმა ძალაუფლების დემოსზე (ხალხზე) გადანაწილება? • შეაფასე სოლონის რეფორმები სოლონის თანამედროვე მოქალაქის თვალით, დღევანდელობიდან. • წარმოიდგინე, რომ ათენში მცხოვრები მეტოიკი ხარ. თეზისებად ჩამოწერე და არგუმენტებით გაამყარე შენი მოთხოვნები არქონტთა კოლეგიის მიმართ. • როგორ წარმოვადგინო მოხსენებაში სოლონის რეფორმების არსი და მნიშვნელობა?	

	ამ მასალისა და კითხვების დამუშავების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, განაგრძოს საკითხის დამუშავება. გვ. 94-ზე მოცემულია ინფორმაცია კლისთენეს რეფორმასთან დაკავშირებით. მასალის გაცნობის შემდეგ პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს პარაგრაფში მოცემული დამაზუსტებელი კითხვები: • შენი აზრით, რატომ შეებრძოლა კლისთენე ფილეების გვარებად დაყოფის ტრადიციას? • იმსჯელე, ქონებრივი ნიშნით ათენის მოქალაქეების დაყოფის გაუქმება ნიშნავდა თუ არა სოციალურ თანასწორობას? • შენი აზრით, ათენის დემოკრატიისთვის რა საფრთხე შეიძლებოდა შეექმნა ავტორიტეტიან და გავლენიან ადამიანს, რომლის სახელიც ყველაზე მეტად გამეორდებოდა ოსტრაკონებზე? შენი აზრით, რატომ ასახლებდნენ ასეთ ადამიანს 10 წლით? • როგორ უნდა წარმოადგინო კლისთენეს რეფორმების არსი და მნიშვნელობა მოხსენებაში? ამ მასალისა და კითხვების დამუშავების შემდეგ პედაგოგს შესაძლებლობა აქვს, განიხილოს ათენში ეფიალტესა და პერიკლეს რეფორმები. მასალა წარმოდგენილია გვ. 94-96-ზე. ამის შემდეგ პედაგოგს შეუძლია, მოსწავლეებს საკითხი პარაგრაფში მოცემული კითხვების საშუალებით გააზრებინოს: • რა მნიშვნელობა ჰქონდა ათენისთვის დევიზს „ჩვენ ვქმნით დროის მცირე მონაკვეთში, მაგრამ არა დროის მცირე მონაკვეთისათვის“? • რატომ აკრძალა პერიკლემ არქონტების არჩევა ხმის ღიად მიცემით? • რატომ ირჩევდნენ სახელმწიფო მოხელეებს მხოლოდ ერთი წლის ვადით? • რა მიზანი ჰქონდა პერიკლეს, როცა სახელმწიფო სამსახურში მყოფი მოხელეებისთვის ანაზღაურება დააწესა? • როგორ უნდა წარმოადგინო სოლონის რეფორმების არსი და მნიშვნელობა მოხსენებაში? ამ მასალისა და კითხვებზე მუშაობის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს წყაროს „პერიკლეს სიტყვა ომში დაღუპული მეომრების დაკრძალვისას“. მისი განხილვის შემდეგ მოსწავლეები მუშაობენ პარაგრაფში მოცემულ კითხვებზე: • „ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო წყობამ დღევანდელი სიდიადე მოგვიტანა“. როგორ გესმის პერიკლეს ეს სიტყვები?	

	• შენი აზრით, რამდენად შეუწყო ხელი პერიკლეს მიერ შემოღებულმა ცვლილებებმა ათენში დემოკრატიის განვითარებას? დაახასიათე დემოკრატიული მმართველობის ძლიერი მხარეები. • მოკლედ დაახასიათე, რამდენად დემოკრატიულია ათენის საზოგადოება. ჩამოთვალე შენი მოსაზრების დამადასტურებელი კანონები. • „ისტორიის მამად“ წოდებული ჰეროდოტე მიიჩნევდა, რომ დემოკრატიული ათენი ყველაზე იდეალური სახელმწიფო იყო. იგი ხშირად ესაუბრებოდა პერიკლეს და უმტკიცებდა, რომ სწორედ დემოკრატიულმა წყობამ გაამარჯვებინა ათენელებს სპარსელებთან ომებში. მოძებნე პერიკლეს მიმართვაში ჰეროდოტეს აზრის დამამტკიცებელი სიტყვები. შენი აზრით, როგორ შეიძლება დემოკრატიული მმართველობა გახდეს ომში გამარჯვების საწინდარი? ამ მასალისა და კითხვებზე მუშაობის შემდეგ პედაგოგი მოსწავლეებს გააცნობს გვ. 97-ზე მოცემულ ფოტოებს. აქტივობის პროცესში ანალიზდება ვიზუალური მასალა, რის შემდეგაც მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს კითხვებს: • რატომ გახდა საჭირო კლეფსიდრის შემოღება? • რატომ იდგა აქსონი აგორაზე და არა ქალაქის რომელიმე სხვა ადგილას? • შენი აზრით, განაჩენის გამოტანისას, რატომ იღებდა მოსამართლე ხელში ჟეტონს ისე, რომ არ გამოჩენილიყო, გლუვთავიანი იყო თუ ჩაზნექილთავიანი? • როგორ უნდა წარმოადგინო ამ წესების მნიშვნელობა მოხსენებაში? კითხვების დამუშავების შემდეგ პედაგოგი მოსწავლეებს გააცნობს გვ. 98-ზე მოცემულ წყარო „გ“-ს. მისი განხილვის შემდეგ მოსწავლეები იწყებენ პარაგრაფში არსებული დავალების შესრულებას. *გ)* წყაროში ჩამოთვლილი დემოკრატიის დამახასიათებელი ნიშნები მიუსადაგე ათენის დემოკრატიას. მოიყვანე არგუმენტი ავტორის მიერ ათენის დემოკრატიის მიმართ გამოთქმული თითოეული დებულებისთვის.	

	შეადარე ერთმანეთს სოლონის, კლისთენეს, ეფიალტესა და პერიკლეს მიერ ათენში გატარებული რეფორმები (მმართველობის ორგანოები, სახელმწიფო მოხელეები, მსაჯულები, მათი არჩევის წესი, ადამიანის უფლებები, სოციალური ფენები), მათი მოღვაწეობა განიხილე ათენში დემოკრატიული მმართველობის თანდათან დამკვიდრების თვალსაზრისით. გამოყავი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ყურადღება გაამახვილე შემდეგ საკითხზე: რა როლს ასრულებდა, ერთი მხრივ, დემოსი – ხალხი და, მეორე მხრივ, პიროვნება (სოლონი, კლისთენე, ეფიალტე, პერიკლე) ათენში დემოკრატიული მმართველობის დამკვიდრებაში; დასკვნაში მიუთითე, რა იყო ათენის დემოკრატიის არსი და რამდენად სრულყოფილი იყო ის. **მოსწავლის რვეული:** დავალება 20. **ნაბიჯი 3.** • რომელი სოციალური ფენებისგან შედგებოდა ათენის საზოგადოება; რამდენად განსხვავდებოდა სხვა ელინური საზოგადოების (მაგ., სპარტის) იდენტობის, ინტერესებისა და უფლებებისგან? რატომ? **(მ. წ. 2, 3: საზოგადოება)** • რატომ ახდენდა სხვადასხვა პოლისში მცხოვრები ხალხი საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ელინურ საზოგადოებასთან და რით განსხვავდებოდა მათი საზოგადოება აღმოსავლური – „სპარსელი“ საზოგადოებისგან? **(მ. წ. 3 და 4: საზოგადოება)** **რესურსი/აქტივობა:** სახელმძღვანელო, გვ. 99-102. **სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:** შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.	

სარეკომენდაციო აქტივობა:
ამ კრიტერიუმების დამუშავების პროცესში მასწავლებელი იყენებს სახელმძღვანელოში წარმოდგენილ მასალას. გვ. 99-100-ზე მოცემულია ინფორმაცია სპარტის შესახებ, ისტორიული წყარო და მმართველობითი სტრუქტურა. მასალის დამუშავების შემდეგ პედაგოგი მოსწავლეებს სთავაზობს პარაგრაფში მოცემულ კითხვებს:

- შენი აზრით, რატომ ჰყავდათ სპარტელებს ორი მეფე?
- იმის მიუხედავად, რომ მეფეები გერუსიის წევრები იყვნენ, მათ მხოლოდ ერთი ხმის უფლება ჰქონდათ. შენი აზრით, რატომ?
- პლუტარქეს აზრით, გერუსიის შექმნა წარმატებით უზრუნველყოფდა დემოსსა და მეფეებს შორის წონასწორობას. ეთანხმები თუ არა ამ მოსაზრებას? პასუხი დაასაბუთე.
- გერუსიის წევრები სამუდამოდ არჩეული სამოც წელს გადაცილებული კაცები იყვნენ. შენი აზრით, რა იყო ამის მიზეზი?
- რამდენად გამართლებულად მიგაჩნია ეფორების ინსტიტუტის არსებობა? ვის აკონტროლებდნენ და რატომ?
- როგორ უნდა წარმოადგინო მოხსენებაში სპარტაში არსებული მმართველობითი სისტემა?

ამ მასალისა და კითხვების დამუშავების შემდეგ პედაგოგი მოსწავლეებს გააცნობს ისტორიულ წყაროებს „ბ“-ს, „გ“-სა და „დ“-ს, რომლებიც წარმოდგენილია 101-ე და 102-ე გვერდებზე. შემდეგ მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეებს შესთავაზოს პარაგრაფში არსებული კითხვები დასამუშავებლად და დავალება შესასრულებლად.

- შეადარე ერთმანეთს ათენისა და სპარტის სახალხო კრებები: ა) რომელი უფრო დიდ როლს ასრულებდა სახელმწიფო მმართველობაში? ბ) მიუთითე ორივე მათგანის საარჩევნო სისტემის თავისებურებები. როგორ ფიქრობ, რატომ მიმართავდნენ სპარტაში არჩევითობის უცნაურ წესს?
- ააგე სპარტის სახელმწიფო წყობის გრაფიკული სქემა.
- როგორ ფიქრობ, რომელი პოლისის მოქალაქეები უფრო თავისუფლები იყვნენ: ათენისა თუ სპარტის?
- შენ რას უწოდებდი სპარტელ საზოგადოებას?

მოსწავლის რვეული: დავალება 21.

	• წაიკითხე ორი ნაწყვეტი სპარტისა და ათენის პოლიტიკური წყობის შესახებ. შემდეგ რვეულში სვეტებად ჩამოწერე ავტორების მიერ მითითებული თითოეული მათგანის დადებითი და უარყოფითი მხარეები. შეადარე ანტიკური ავტორების შენიშვნები შენ მიერ შესრულებულ წერილობით დავალებას. კლასში იმსჯელე, რა მახასიათებლები გაითვალისწინე შედარებისას და რა გამოგრჩა. ეთანხმები თუ არა არისტოტელესა და ფსევდოქსენოფონტეს შეფასებებს? • როგორ უნდა წარმოადგინო მოხსენებაში სპარტასა და ათენში მცხოვრები საზოგადოების განსხვავებული და საერთო ნიშან-თვისებები? დავალების შესრულების შემდეგ პედაგოგი მოსწავლეებს სთხოვს, იმსჯელონ ბერძნული და სპარსული სამყაროს განსხვავებებზე. ამისთვის პედაგოგი იყენებს განვლილ მასალას, გვ. 78-79-ზე წარმოდგენილ „ა“ და „ბ“ წყაროებს, რომლებშიც მოცემულია ჰეროდეტეს შეფასებები. მასალის გახსენების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, დამაზუსტებელი კითხვებით გააზრებინოს მოსწავლეებს საკითხი. კითხვები მოცემულია პარაგრაფში. **კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები:** • აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი; • აღწერე, რა პროდუქტი შექმენი; • რა საკითხს შეეხება შენ მიერ მომზადებული დავალება? • ახსენი, რატომ შექმენი მოხსენება? რის თქმა გინდოდა მისი საშუალებით? • რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი ნამდვილად მოხსენებაა? • შენი აზრით, ვინ უნდა დაინტერესდეს შენ მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებით და რატომ? • რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? • რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას? • მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? • შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან?	

გრძელვადიანი მიზანი **სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**	**საკითხი/ქვესაკითხები:** ბერძნულ-სპარსული დაპირისპირება, მიზეზები და შედეგები **ქვეცნება/ქვეცნებები**: ომი, ზავი, ტერიტორიული ექსპანსია, დასავლეთი, აღმოსავლეთი, რეგიონული პოლიტიკა	**საკვანძო შეკითხვა /შეკითხვები** როგორ წარმოვადგინო სტატიაში ბერძნულ-სპარსული დაპირისპირების მიზეზები, შედეგები და მნიშვნელობა?	**შუალედური სასწავლო მიზანი** **კომპლექსური დავალების პირობა**
ისტორიული მოვლენა/ პროცესი (ისტ. საშ. 3,4,5,6) • ყველა ისტორიულ მოვლენას აქვს თავისი მიზეზი/მიზეზები და შედეგი/შედეგები; • ისტორიკოსები ხშირად კამათობენ ისტორიული მოვლენების მიზეზებისა და შედეგების შესახებ; • ზოგიერთ ისტორიულ მოვლენას ლოკალური, ზოგს კი გლობალური მნიშვნელობა აქვს; • ისტორიული ფაქტები და მოვლენები ტიპოლოგიურად შეიძლება დაჯგუფდეს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული ნიშნით.	**კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (რესურსები, აქტივობები):** **I ეტაპი: კომპლექსური დავალების ფორმა** **ნაბიჯი 1. როგორ უნდა წარმოვაჩინო საკუთარი ცოდნა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით?** **რესურსი/აქტივობა:** **სტატიის სტრუქტურა:** 1) **სათაური** – სტატიას სჭირდება სათაური. სათაურის ფუნქციაა, ინტერესი იმდენად გააღვივოს, რომ მკითხველს სტატიის წაკითხვა მოუნდეს. 2) **შესავალი** – სტატიის პირველი აბზაცი შესავალია. შესავალი უნდა იყოს მკითხველისათვის ინტერესის აღმძვრელი და მასში ასახული უნდა იყოს საკითხის მნიშვნელობა. 3) **ენა და სტილი** – სიტყვების არასწორი დაწერილობა მკითხველისთვის გამაღიზიანებელია. როცა ადამიანი შეცდომით დაწერილ სიტყვას ხედავს, მას კონცენტრაცია ეკარგება. სტატიისთვის საბოლოო ფორმის მიცემა გულისხმობს მის ყურადღებით გადაკითხვას სიტყვებისა და გრამატიკული წყობის სისწორის შესამოწმებლად, ინფორმაციის უტყუარობის დასადასტურებლად და სტილისტურად გასამართავად. **სარეკომენდაციო აქტივობა:** მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს რესურსს და დაფაზე წერს „სტატია“. მოსწავლეები გონებრივი იერიშის მეთოდით აყალიბებენ მოსაზრებებს პროდუქტთან დაკავშირებით, რის შემდეგაც მასწავლებელი, სოკრატესეული კითხვა-პასუხის გამოყენებით, მოსწავლეებს აცნობს სტატიის შესახებ ინფორმაციას.		წარმოიდგინე, რომ ისტორიკოსი/მკვლევარი ხარ, რომელიც ბერძნულ-სპარსულ დაპირისპირებასა და ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებზე მუშაობს. გევალება, შეისწავლო მასალა და მოამზადო სამეცნიერო სტატია ამ ისტორიული პროცესის შესახებ. **სტატიაში ხაზგასმით უნდა წარმოაჩინო:** • როგორ მიაღწია ბერძნულმა ცივილიზაციამ დომინანტურ მდგომარეობას ხმელთაშუა და შავი ზღვების აუზში და რა გეოგრაფიულმა თავისებურებებმა განაპირობა მათი წარმატება? **(მ. წ. 1: სივრცე)**

სივრცე (გარემო, ტერიტორია) (ისტ.საშ.1,2,3,4,5,6) • გეოგრაფიული გარემო და გეოგრაფიული ცოდნა გავლენას ახდენს ადამიანთა საზოგადოების განვითარებაზე; • კომუნიკაციის სიხშირე დიდი/მცირე ზომის სოციალურ-კულტურული სივრცეების ჩამოყალიბებას განაპირობებს; • კონკრეტულ ისტორიულ-გეოგრაფიულ არეალებს გარკვეული ეკონომიკური, სტრატეგიული და კულტურული მნიშვნელობა აქვს.	**კითხვები აქტივობისთვის:** • რა არის სტატია? • რატომ ვწერთ სტატიას? • როგორ უნდა დავწეროთ სტატია? • რას აქცევთ ყურადღებას სტატიის კითხვის დროს და რატომ? • როგორ უნდა აიგოს სტატია, რომ მკითხველისთვის საინტერესო იყოს? • როგორ უნდა დაწერო კარგი სტატია? • რა უნდა გაითვალისწინო სტატიის წერის დროს? **II ეტაპი: კომპლექსური დავალების შინაარსი** **ნაბიჯი 1.** • როგორ მიაღწია ბერძნულმა ცივილიზაციამ დომინანტურ მდგომარეობას ხმელთაშუა და შავი ზღვების აუზში და რა გეოგრაფიულმა თავისებურებებმა განაპირობა მათი წარმატება? **(მ. წ. 1: სივრცე)** • რატომ იყო მნიშვნელოვანი ხმელთაშუა და შავი ზღვების კონტროლი ბერძნულ-სპარსული ცივილიზაციებისათვის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური თვალსაზრისით და რა შედეგით დასრულდა ამ ორი ცივილიზაციის დაპირისპირება? **(მ.წ. 3: სივრცე) (მ.წ. 1 და 4: ისტორიული მოვლენა/პროცესი)** **რესურსი/აქტივობა:** სახელმძღვანელო, გვ. 104-108. საკითხის მრავალმხრივი გააზრებისთვის პედაგოგს შეუძლია, პარაგრაფში არსებულ მასალასთან ერთად გამოიყენოს მოსწავლის რვეულში მოცემული ინფორმაცია, გვ. 54-59. აქ წარმოდგენილია ინფორმაცია ბერძნულ-სპარსული დაპირისპირებებისა და ალექსანდრე მაკედონელის შესახებ. **სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:** შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება. **სარეკომენდაციო აქტივობა:** უშუალოდ საკითხის განხილვამდე პედაგოგი მოსწავლეებს ეხმარება წინარე ცოდნის გააქტიურებაში. ამისთვის სვამს მაპროვოცირებელ კითხვებს სახელმძღვანელოში არსებულ რუკებზე (მე-9-სა და მე-10-ზე) დაყრდნობით. კითხვები სარეკომენდაციო ხასიათისაა.	• რატომ იყო მნიშვნელოვანი ხმელთაშუა და შავი ზღვების კონტროლი ბერძნულ-სპარსული ცივილიზაციებისათვის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური თვალსაზრისით და რა შედეგით დასრულდა ამ ორი ცივილიზაციის დაპირისპირება? **(მ.წ. 3: სივრცე) (მ.წ. 1 და 4: ისტორიული მოვლენა/პროცესი)** • როგორ შეიცვალა იმდროინდელი გეოგრაფიული საზღვრები ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის შემდეგ და როგორ აფასებენ ამ ისტორიული პროცესის შედეგს ისტორიკოსები? **(მ. წ. 2: ისტორიული მოვლენა/პროცესი)** • რამ განაპირობა ელინისტური სივრცის ჩამოყალიბება და როგორ აისახა ეს ბერძნულ და აღმოსავლურ კულტურაზე? **(მ.წ. 2: სივრცე)**

	1) რუკა 9-ის მიხედვით, რომელ ზღვებს აკონტროლებს სპარსეთი და რომელი ზღვის კონტროლის გამო შეიძლება გამოუჩნდეს მას კონკურენტი? 2) რომელი ტერიტორიები დაიმორჩილა სპარსეთმა ეგეოსის ზღვის აუზში? 3) რაზე მიგანიშნებს ამ ტერიტორიების დასახელებები? 4) როგორ ფიქრობ, რომელი ცივილიზაცია შეიძლება გახდეს სპარსეთის კონკურენტი? 5) რატომ სჭირდება სპარსეთს ეგეოსის ზღვა? 6) რუკა 10-ის მიხედვით, როგორ მოახერხა ბერძნულმა ცივილიზაციამ გავლენების მოპოვება? 7) რატომ სჭირდებათ ბერძნებს ზღვა? 8) გაიხსენე, რა ურთიერთობა აქვს საბერძნეთში არსებულ მეტროპოლიებს კოლონიებთან. 9) რატომ შეიძლება ჩაითვალოს ბერძნული სამყარო საზღვაო ცივილიზაციად? 10) როგორ ფიქრობ, რა შეიძლება გახდეს ბერძნულ-სპარსული დაპირისპირების მიზეზი? 11) როგორ წარმოვადგინო სტატიაში, რა პოლიტიკური გავლენები ჰქონდა, გეოგრაფიული თვალსაზრისით, ბერძნულ-სპარსულ ცივილიზაციას ომის დასაწყისში? რუკისა და კითხვების დამუშავების შემდეგ პედაგოგს შეუძლია გამოიყენოს სახელმძღვანელო. გვ. 104-სა და 105-ზე წარმოდგენილია ინფორმაცია ბერძნულ-სპარსული დაპირისპირებებისა და მარათონის ომის შესახებ. ამ მასალის განხილვის შემდეგ პადაგოგს შეუძლია, მოსწავლეებს შესთავაზოს პარაგრაფში მოცემული დავალება. • შენ უკვე იცი, რომ გეოგრაფიულ-კლიმატური ფაქტორები განსაზღვრავს მოსახლეობის ცხოვრების წესს და ხშირად ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ მოწყობასაც. აქედან გამომდინარე, როგორ გესმის ცნება „საზღვაო ცივილიზაცია“? როგორი იქნებოდა, შენი აზრით, ასეთ ქვეყანაში (მაგ., ბერძნულ სამყაროში) მეურნეობის ფორმა? რა უფრო განვითარებული იქნებოდა: ვაჭრობა-ხელოსნობა თუ მიწათმოქმედება? როგორი ტიპის დასახლებები იქნებოდა დომინანტური: სოფლური ტიპის თუ ქალაქური? მმართველობის დემოკრატიული ფორმა იქნებოდა უპირატესი თუ ავტორიტარული?	• რატომ არის მნიშვნელოვანი სახელმწიფოებისთვის რეგიონული თუ გლობალური პოლიტიკურ-სივრცითი ცვლილებები? (ალექსანდრეს ლაშქრობები და მისი იმპერიის დაშლა: მაგ ქართლისთვის) **(მ.წ. 3: ისტორიული მოვლენა/ პროცესი)**

	• დააკვირდი ბერძნული პოლისებისა და კოლონიების, ასევე ძველი სპარსეთის (აქემენიანთა) რუკა 9-ს. როგორ აისახებოდა ბერძენ-სპარსელთა ომი დიდ ბერძნულ კოლონიზაციაზე? რომელი რეგიონის პოლისები აღმოჩნდებოდა უშუალოდ საომარ მოქმედებებში ჩართული? რომელ რეგიონში/ნახევარკუნძულზე არსებულ კოლონიებს არ შეეხებოდა მიმდინარე ომი? შეასრულე დავალება კონტურულ რუკაზე და შეავსე სქემა. **მოსწავლის რვეული:** დავალება 22-23. ამ დავალების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, პარაგრაფზე დაყრდნობით განაგრძოს საკითხის დამუშავება. გვ. 105-ზე მოცემულია ინფორმაცია მარათონის ბრძოლის შესახებ, რასაც ახლავს ბრძოლის სქემები. მასალის გაცნობის შემდეგ პედაგოგს შეუძლია, მოსწავლეები გააააქტიუროს სახელმძღვანელოში მოცემული დავალებით. • მარათონის ბრძოლის გეგმების მიხედვით აღადგინე ბრძოლის მიმდინარეობა. გეგმებისა და სახელმძღვანელოს ტექსტის მიხედვით ჩამოთვალე მარათონის ბრძოლაში ბერძნების წარმატების მიზეზები. პედაგოგს შეუძლია, შესასწავლი საკითხის დამუშავების პროცესში გამოიყენოს დამატებითი კითხვები, რაც ცოდნის კონსტრუირებასა და დღევანდელობასთან დაკავშირებას შეუწყობს ხელს: 1) რა გახდა მარათონის ბრძოლის უშუალო საბაბი? 2) რომელ მხარეს აქვს ფსიქოლოგიური უპირატესობა და, შენი აზრით, რატომ? 3) რა სტრატეგია გამოიყენეს ბერძნებმა? რატომ? 4) რატომ იყო მნიშვნელოვანი მარათონში გამარჯვება არა მარტო ათენისთვის, არამედ მთელი საბერძნეთისთვის? 5) თუ ათენი დამარცხდებოდა, როგორ ფიქრობ, როგორ განვითარდებოდა ისტორიული პროცესები? 6) როგორ უნდა წარმოადგინო სტატიაში მარათონის ბრძოლის შედეგი და მისი მნიშვნელობა?	

	მასალისა და კითხვების დამუშავების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, განაგრძოს საკითხის დამუშავება. გვ. 106-ზე მოცემულია ინფორმაცია ბერძნების მიერ მოწვეული კონგრესის შესახებ. მასალის გაცნობის შემდეგ პედაგოგს შეუძლია, მოსწავლეები გააქტიუროს პარაგრაფში მოცემული კითხვებით. 1) შენი აზრით, რატომ გახდა საჭირო საერთო ბერძნული კონგრესის მოწვევა? 2) რაზე მეტყველებს კონგრესის გადაწყვეტილება სპარსელების მხარეს გადასული ქალაქების სასტიკად დასჯის შესახებ? 3) გამოთქვი ვარაუდი, რატომ დანიშნეს ბერძენთა ერთიანი ლაშქრის მეთაურად სპარტის მეფე? 4) როგორ უნდა წარმოადგინო სტატიაში მიზეზები, რომლებმაც განაპირობა საბერძნეთში კონგრესის მოწვევის აუცილებლობა? მასალისა და კითხვების დამუშავების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, განაგრძოს საკითხის დამუშავება. გვ. 107-108-ზე წარმოდგენილია ბერძენ-სპარსელთა დაპირისპირების რუკა და ინფორმაცია. მასალის გაცნობის შემდეგ პედაგოგს შეუძლია მოსწავლეებს საკითხი გააზრებინოს პარაგრაფში მოცემული კითხვებით. • იმის მიუხედავად, რომ თერმოპილეს ბრძოლაში, მარათონისგან განსხვავებით, ბერძნები დამარცხდნენ, ამ ბრძოლას არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა. შენი აზრით, რატომ? • რატომ იყო სტრატეგიულად ხელსაყრელი ბერძნებისთვის საზღვაო ბრძოლები სპარსელთა წინააღმდეგ? • შენი აზრით, რა დადებითი და უარყოფითი მხარეები შეიძლებოდა ჰქონოდა სამხედრო კავშირს ბერძნულ პოლისებს შორის? • იმსჯელე ზავის პოლიტიკურ და ეკონომიკურ შედეგებზე: ა) ბერძნებისთვის, ბ) სპარსელებისთვის. • ჰეროდოტე თავის „ისტორიაში“ მოგვითხრობს: როდესაც ქსერქსემ თავის არმიას გადახედა, თავმომწონედ ჰკითხა სპარტიდან გამოძევებულ დემარატეს, რას ფიქრობდა მოსალოდნელ ომზე. დემარატემ უიმედო განწყობა გამოავლინა, რაზეც გაოცებულმა ქსერქსემ მიუგო: დემარატე, როგორ შეიძლება, ეს ჯარი დაამარცხოს ხალხმა, რომელსაც მეფეც კი არ ჰყავს? დემარატემ უპასუხა: არა, ბერძნებსაც ჰყავთ მეფე, მხოლოდ ის ადამიანი კი არ არის, კანონია. ამ ნაწყვეტის მიხედვით, იმსჯელე, რაში ხედავდა ჰეროდოტე ბევრად ძლიერ და მრავალრიცხოვან სპარსელებზე ბერძნების გამარჯვების მთავარ მიზეზს.	

ამ კითხვების დამუშავების პროცესში მასწავლებელს შესაძლებლობა აქვს, მოსწავლეებს შესთავაზოს დავალებაც.

მოსწავლის რვეული: დავალება 24 და 25

ნაბიჯი 2.

- როგორ შეიცვალა იმდროინდელი გეოგრაფიული საზღვრები ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობების შემდეგ და როგორ აფასებენ ამ ისტორიული პროცესის შედეგს ისტორიკოსები? **(მ. წ. 2: ისტორიული მოვლენა/პროცესი)**
- რამ განაპირობა ელინისტური სივრცის ჩამოყალიბება და როგორ აისახა ეს ბერძნულ და აღმოსავლურ კულტურაზე? **(მ.წ. 2: სივრცე)**

რესურსი/აქტივობა:
სახელმძღვანელო, გვ. 109-120.

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:
ამ კრიტერიუმების დამუშავების პროცესში მასწავლებელი ეყრდნობა სახელმძღვანელოს. გვ. 109-ზე მოცემულია ინფორმაცია მაკედონიის სახელმწიფოს შესახებ. მასალის გაცნობის შემდეგ პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს პარაგრაფში არსებული კითხვები:

1) შეადარე პრომაკედონური და ანტიმაკედონური პოლიტიკური ჯგუფების პოზიციები ერთმანეთს. რომელი მხარის არგუმენტები უფრო დამაჯერებლად გეჩვენება და რატომ?
2) როგორ ფიქრობ, რა მიზნებს ისახავდა ფილიპე II კორინთოში ბერძნული კონგრესის შეკრებისას?
3) შენი აზრით, რამდენად გამართლებული იყო სპარსელების იმპერიაზე ბერძნების თავდასხმა? რა უნდა ყოფილიყო, მათი აზრით, წარმატების საწინდარი?
4) როგორ უნდა წარმოადგინო სტატიაში მაკედონიის სახელმწიფოს დაწინაურება?

	მასალისა და კითხვების დამუშავების შემდეგ მასწავლებელს სახელმძღვანელოზე დაყრდნობით შეუძლია, განაგრძოს შესასწავლი საკითხის დამუშავება. გვ. 110-სა და 111-ზე წარმოდგენილია ალექსანდერე მაკედონელის ლაშქრობების საწყისი ეტაპი და ისტორიული რუკა. ინფორმაციის გაცნობის შემდეგ მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეებს შესთავაზოს დავალება, შემდეგ კი პარაგრაფში არსებული კითხვებით გააზრებინოს მათ საკითხი. **მოსწავლის რვეული:** დავალება 26. დავალების შესრულების შემდეგ პედაგოგი კითხვებით გააზრებინებს მოსწავლეებს საკითხს: 1) დააკვირდი რუკას. რომელი დიდი რეგიონები დაიკავა ალექსანდრემ, სანამ სპარსეთის სიღრმეში შესვლასა და გადამწყვეტი ბრძოლის გამართვას გადაწყვეტდა? შენი აზრით, როგორი იყო ალექსანდრეს სტრატეგია ომის ამ ეტაპზე და რას ისახავდა მიზნად მხედართმთავარი ამ რეგიონების დაკავებით? 2) შენი აზრით, როგორი იყო დარიოსის სტრატეგია და რატომ გადაწყვიტა ბრძოლის გამართვა ქვეყნის შიგნით? 3) დააკვირდი რუკას და იმსჯელე, რა პერსპექტივა ჰქონდა თითოეულ მხარეს ბრძოლის წაგების ან მოგების შემთხვევაში. 4) როგორ უნდა წარმოადგინო სტატიაში ალექსანდრეს ლაშქრობების დასაწყისი ეტაპები, მიზეზები და მნიშვნელობა? კითხვების დამუშავების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით განაგრძოს საკითხის დამუშავება. გვ. 112-113-ზე წარმოდგენილია გავგამელის ბრძოლის სქემა და ბრძოლის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია. მასალის გაცნობის შემდეგ პედაგოგს შესაძლებლობა აქვს, გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული კითხვები და მოსწავლეებს გააზრებინოს საკითხი.: 1) წარმოდგენილი გეგმების მიხედვით აღწერე ბერძენ-მაკედონელთა არმიების განლაგება და საბრძოლო მოქმედებები. 2) შენი აზრით, რა იყო ბერძნების სპარსელებთან დაპირისპირების მიზეზი – ის, რომ ისინი სპარსელებს პოლიტიკურად საშიშ მოწინააღმდეგედ თვლიდნენ, თუ მათ ელინთათვის „კულტურულ სხვად“ აღიქვამდნენ?	

3) შეგვიძლია თუ არა ჩავთვალოთ, რომ ალექსანდრე მაკედონელის წარმატება მაშინდელი ბერძნული ცივილიზაციის გამარჯვება იყო სპარსულ ცივილიზაციაზე თუ ეს მხოლოდ სამხედრო გამარჯვება იყო? პასუხი დაასაბუთე.
4) ალექსანდრე მაკედონელმა სპარსეთის წინააღმდეგ ბრძოლა პანელინისტური იდეებით დაიწყო და წარმატებებსაც მიაღწია, მაგრამ ბოლო ეტაპზე მისი მიზნები შეიცვალა (აღმოსავლეთის კულტურული გავლენით) და უფრო კოსმოპოლიტური გახდა. ეთანხმები თუ არა ამ მოსაზრებას? პასუხი დაასაბუთე.
5) როგორ უნდა წარმოადგინო სტატიაში გავგამელის ბრძოლა და მისი მნიშვნელობა ბერძნულ-სპარსული დაპირისპირების პროცესში?

მასალის შესწავლისა და კითხვების დამუშავების შემდეგ მასწავლებელს შეუძლია, განაგრძოს საკითხის დამუშავება.

ნაბიჯი 2.

- რამ განაპირობა ელინისტური სივრცის ჩამოყალიბება და როგორ აისახა ეს ბერძნულ და აღმოსავლურ კულტურაზე? **(მ.წ. 2: სივრცე)**
- რატომ არის მნიშვნელოვანი სახელმწიფოებისთვის რეგიონული თუ გლობალური პოლიტიკურ-სივრცითი ცვლილებები? (ალექსანდრეს ლაშქრობები და მისი იმპერიის დაშლა, მაგ., ქართლისთვის) **(მ.წ. 3: ისტორიული მოვლენა/პროცესი)**

რესურსი/აქტივობა:
სახელმძღვანელო, გვ. 114-120.

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:
ამ კრიტერიუმების დამუშავების პროცესში მასწავლებლი ეყრდნობა სახელმძღვანელოს. გვ. 114-115-ზე მოყვანილია ისტორიული წყაროები ალექსანდრეს ლაშქრობების შემდეგ განვითარებული პროცესების შესახებ.
წყარო „ა“ და „ბ“-ს განხილვის შემდეგ პედაგოგს შეუძლია, მოსწავლეები გააააქტიუროს პარაგრაფში მოცემული დავალების გამოყენებით.

მოსწავლის რვეული: დავალება 27.

დავალების შემდეგ პარაგრფში არსებული კითხვები გამოიყენოს საკითხის დასაზუსტებლად:

1) თანამედროვე რუკაზე მოძებნე, რომელ თანამედროვე სახელმწიფოებს მოიცავდა ელინისტური სამყარო.
2) იმსჯელე, რა მნიშვნელობა ექნებოდა ალექსანდრეს ლაშქრობებს იმდროინდელი ადამიანის გეოგრაფიული თვალსაწიერისა და ცოდნის გაფართოებისთვის.
3) ალექსანდრე მაკედონელის ქართლში ლაშქრობის რა მარშრუტს გვთავაზობს „ქართლის ცხოვრება“?
4) სარგებლობს თუ არა ქართული წყარო სხვა წყაროთი?
5) შეიძლება თუ არა, რომ ალექსანდრეს ქართლში მოსვლა სარწმუნო ისტორიულ ფაქტად ჩაითვალოს?
6) როგორ წარმოვადგინო სტატიაში წყაროებიდან მიღებული ცოდნა ალექსანდრეს ლაშქრობების შემდეგ განვითარებული პროცესების შესახებ?

კითხვების დამუშავების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს ჩანართს პარაგრაფიდან, გვ. 116, რომელშიც ასახულია ინფორმაცია კავკასიის რეგიონის შესახებ. მასალის გაცნობის შემდეგ პედაგოგს შეუძლია, მოსწავლეები გააქტიუროს პარაგრაფში მოცემული კითხვებით:

1) საიდან შეიძლებოდა გაჩენილიყო ალექსანდრეს ქართლში ლაშქრობის ვერსია?
2) რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს შეუმოწმებელი ინფორმაციის გადმოცემას?
3) საკითხის კვლევისას, რა მნიშვნელობა აქვს მოცემული რეგიონის ისტორიული გეოგრაფიის შესწავლას?
4) შეადარე ბერძნების იმდროინდელი გეოგრაფიული წარმოდგენები დღევანდელ ფიზიკურ-გეოგრაფიულ რუკას.
5) რა სახელწოდებები აქვს დღეს იმ მთებს, რომლებიც ბერძნებისთვის ერთიან კავკასიას წარმოადგენდა?
6) მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდრეს ქართლში არ ულაშქრია, რაზე მეტყველებს მოგვიანებით საპირისპირო ცნობის არა მარტო გაჩენა, არამედ ანტიკურ ავტორებს შორის მისი გავრცელება?
7) როგორ უნდა ასახო სტატიაში ქართლის შესახებ არსებული ცნობები და ამ ცნობების კავშირი ალექსანდრეს ლაშქრობებთან?

	ამ მასალისა და კითხვების დამუშავების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, ყურადღება გაამახვილოს გვ. 116-117-ზე, სადაც მოცემულია ინფორმაცია ერთიანი ელინისტური სამყაროს შესახებ. ამ ინფორმაციის უკეთ გასააზრებლად მასწავლებელს შესაძლებლობა აქვს, შემდეგი დავალება და კითხვები შესთავაზოს მოსწავლეებს: 1) ერთმანეთს შეადარე ორი გეოგრაფიული არეალი: დიდი ბერძნული კოლონიზაციის დროს ელინური კულტურის გავრცელების სივრცე და ალექსანდრეს ლაშქრობების შემდეგ ელინისტური კულტურის გავრცელების არეალი. რა არის მათ შორის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი? 2) რა მსგავსება-განსხვავებაა კლასიკურ ელინურ ხანასა და ელინისტურ ხანას შორის? **მოსწავლის რვეული:** დავალება 28. დავალების შესრულების შემდეგ პედაგოგი სახელმძღვანელოზე დაყრდნობით აგრძელებს საკითხის დამუშავებას და მოსწავლეებს სთავაზობს გვ. 117-118-ზე წარმოდგენილ ინფორმაციას ალექსანდრეს იმპერიის დაშლისა და ელინისტური სახელმწიფოების ჩამოყალიბების შესახებ. ინფორმაციის გაცნობის შემდეგ პედაგოგი მოსწავლეებს სთავაზობს დავალებასა და კითხვებს საკითხის უკეთ გასააზრებლად: 1) როგორ შეიცვალა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური რუკა აქემენიანთა იმპერიიდან მოყოლებული? 2) ელინიზმის ეპოქაში მოხერხდა ძველაღმოსავლური სივრცის უმეტესობის ელინურ გავლენაში მოქცევა, მათ შორის, ისეთი ქვეყნებისაც, რომლებიც უფრო ძველი და მდიდარი კულტურული წარსულის მქონენი იყვნენ (მაგ., ეგვიპტე, შუამდინარეთი). შენი აზრით, რამ განაპირობა ეს? 3) როგორ წარმოადგენ სტატიაში ალექსანდრეს იმპერიის დაშლის შედეგად გამოწვეულ პროცესებს და ელინისტური სახელმწიფოების საკითხს? **მოსწავლის რვეული:** დავალება 29.	

	დავალების შესრულების შემდეგ პედაგოგი განიხილავს რეგიონულ და გლობალურ ცვლილებებს, რაც ალექსანდრეს ლაშქრობებს მოჰყვა. გვ. 118-119-ზე მოცემულია ინფორმაცია ქართლის სამეფოს წარმოქმნის შესახებ და ისტორიული რუკა. მისი ანალიზი მოსწავლეებს დაეხმარება საკითხის გააზრებასა და იმ სივრცითი ცვლილებების შესწავლაში, რომლებიც ისტორიულ პროცესებს ახლავს თან. 1) რა გავლენა მოახდინა ქართველურ ტომებზე აქემენიანთა სახელმწიფოს შექმნამ? ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებმა? ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დაშლამ? 2) რა ტერიტორიული ცვლილებები მოჰყვა წინა აზიაში თითოეულ ამ მოვლენას? 3) რა როლი ითამაშა ქართლის სამეფოს ჩამოყალიბებაში ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დაშლამ და დიადოქოსების ომმა? 4) როგორ ავსახო სტატიაში ალექსანდრეს ლაშქრობების, მისი იმპერიის დაშლისა და დიადოქოსების ომების შედეგები? **კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები:** • აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი; • აღწერე, რა პროდუქტი შექმენი; • რა საკითხს შეეხება შენ მიერ მომზადებული დავალება? • ახსენი, რატომ შექმენი სტატია? რის თქმა გინდოდა მისი საშუალებით? • რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი ნამდვილად სტატიაა? • შენი აზრით, ვინ უნდა დაინტერესდეს შენ მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებით და რატომ? • რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? • რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას? • მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? • შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი ნამუშევარი თანაკლასელების ნაშრომებისგან?	

გრძელვადიანი მიზანი **სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**	**საკითხი/ქვესაკითხები:** რომის მმართველობა და პერიოდიზაცია **ქვეცნება/ქვეცნებები:** ეპოქა, პერიოდიზაცია, ცვლილება, ქრონოლოგია	**საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები:** როგორ გამოვკვეთო სტატიაში რომის ისტორიის სხვადასხვა ეპოქა, მახასიათებელი და პერიოდიზაციის საკითხები?	**შუალედური სასწავლო მიზანი** **კომპლექსური დავალების პირობა**
დრო (ისტორიული პერიოდი) (ისტ. საშ. 1,2,3,4,5,6) • ისტორია დროში მიმდინარე ცვალებადობის შემსწავლელი დარგია; • კაცობრიობის მიერ განვლილი გზა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქად და პერიოდად იყოფა; • სხვადასხვა ხალხს დროის აღრიცხვის განსხვავებული სისტემა ჰქონდა.	**კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (რესურსები, აქტივობები):** **I ეტაპი: კომპლექსური დავალების ფორმა** **ნაბიჯი 1. როგორ უნდა წარმოვაჩინო საკუთარი ცოდნა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით?** **რესურსი/აქტივობა:** **სტატია** – კრებულში, ჟურნალში ან გაზეთში მოთავსებული მცირე მოცულობის პუბლიცისტური ან მეცნიერული ნაშრომი. **სარეკომენდაციო აქტივობა:** მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს რესურსს და დაფაზე წერს: „სტატია“. მოსწავლეები გონებრივი იერიშის მეთოდით აყალიბებენ მოსაზრებებს პროდუქტთან დაკავშირებით, რის შემდეგაც მასწავლებელი, სოკრატესეული კითხვა-პასუხის მეთოდის გამოყენებით, მოსწავლეებს აცნობს ინფორმაციას სტატიის შესახებ. **კითხვები აქტივობისთვის:** • რა არის სტატია? • როგორ უნდა დაწერო კარგი სტატია? • რა უნდა გაითვალისწინო სტატიის წერის დროს? • რატომ იწერება სტატია? • როგორი ტერმინოლოგია უნდა გამოიყენო სტატიის წერის დროს და რატომ? • თქვენ რას აქცევთ ყურადღებას სტატიის კითხვის დროს და რატომ? **I ეტაპი: კომპლექსური დავალების შინაარსი** **ნაბიჯი 1.** • როგორ იცვლებოდა რომის მმართველობა და მისი ტერიტორია სამეფოდან რესპუბლიკამდე და რესპუბლიკიდან იმპერიამდე **(მ.წ. 1)** • რატომ ყოფენ ისტორიკოსები მმართველობის ფორმის მიხედვით რომის ისტორიას პერიოდებად? **(მ. წ. 2)**		წარმოიდგინე, რომ ისტორიკოსი/მკვლევარი ხარ. იკვლევ რომს და მუშაობ ანტიკურ წყაროებზე. გევალება, შეისწავლო ეს წყაროები და დაწერო სტატია. **ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინე:** • როგორ იცვლებოდა რომის მმართველობა და მისი ტერიტორია სამეფოდან რესპუბლიკამდე და რესპუბლიკიდან იმპერიამდე **(მ.წ. 1)** • რატომ ყოფენ ისტორიკოსები მმართველობის ფორმის მიხედვით რომის ისტორიას პერიოდებად? **(მ.წ. 2)** • როგორ აღრიცხავდნენ და რა მოვლენებისთვის შეიძლებოდა დაეკავშირებინათ დროის აღრიცხვა რომში? **(მ.წ. 3)**

რესურსი/აქტივობა: სახელმძღვანელო, გვ. 121-134.
საკითხის მრავალმხრივი გააზრებისთვის პედაგოგს შეუძლია, პარაგრაფში არსებულ მასალასთან ერთად გამოიყენოს მოსწავლის რვეულში მოცემული ინფორმაცია, გვ. 59-67. აქ წარმოდგენილია ინფორმაცია რომსა და მის დაპყრობით ომებზე.

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:
ამ კრიტერიუმების დამუშავების პროცესში მასწავლებელი ეყრდნობა სახელმძღვანელოს და მასში წარმოდგენილი ინფორმაციის საშუალებით ააქტიურებს მოსწავლეებს. გვ. 121-122-ზე მოცემულია ინფორმაცია რომის მმართველობითი სისიტემის შესახებ, სადაც აღწერილია მეფობის ხანა. ამ ინფორმაციის გაცნობის შემდეგ მასწავლებელი განხილავს გვ. 122-ზე წარმოდგენილ წყარო „ა“-ს. ამ მასალის გაცნობის შემდეგ პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული კითხვები, რომლებიც მოსწავლეებს საკითხის სიღრმისეულად განხილვის შესაძლებლობას მისცემს.

- რატომ არის მნიშვნელოვანი ეს ისტორიული წყარო?
- რომელ სფეროზე გვაწვდის ინფორმაციას?
- პლუტარქეს მიხედვით, როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ ერთმანეთთან პატრიციებსა და პლებეებს?
- პლუტარქე რომის პირველი მეფის, ლეგენდარული რომულუსის, დროინდელ საზოგადოებასა და მისი მართვის მოდელს აღწერს. როგორ გგონია, რეალურად რამდენად იდეალური იქნებოდა ეს მოდელი?
- შეხედე ამ საზოგადოებას მისი წევრების (მაგ., პლებეების, პატრიციების, მეფის, სენატორების) თვალით და გამოთქვი ვარაუდი, რა შეიძლება არ მოსწონდეთ მათ არსებულ მოდელში?
- როგორ უნდა წარმოადგინო სტატიაში რომის მონარქიის პერიოდი?

მასალისა და კითხვების დამუშავების შემდეგ პედაგოგი სახლემძღვანელოზე დაყრდნობით აგრძელებს საკითხის დამუშავებას. გვ. 122-ზე წაროდგენილია მასალა სერვიუს ტულიუსის რეფორმების შესახებ. ამ მასალის გაცნობის შემდეგ პედაგოგი ააქტიურებს მოსწავლეებს და სთავაზობს მათ დავალებას.

მოსწავლის რვეული: დავალება 30.

დავალების შესრულების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, მოსწავლეები გააააქტიუროს დამატებითი კითხვების საშუალებით, რომლებიც ცოდნის კონსტრუირებას უწყობს ხელს:

- გამოთქვი ვარაუდი, რამდენად ეფექტიანი და მისაღები იქნებოდა ეს რეფორმა პატრიციებისთვის, პლებეებისთვის?
- როგორ ფიქრობ, რატომ გახდა რეფორმების გატარება საჭირო?
- შენი აზრით, ეს რეფორმები რომ არ გატარებულიყო, რა პროცესები განვითარდებოდა რომში?
- რა შეცვალა სერვიუს ტულიუსის რეფორმებმა და როგორ შეიცვლებოდა რომის მოსახლეობის ცხოვრება რეფორმების შემდეგ?
- როგორ წარმოვადგინო სტატიაში სერვიუს ტულიუსის რეფორმების არსი და მნიშვნელობა?

მასალისა და კითხვების დამუშავების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, განაგრძოს საკითხის დამუშავება. გვ. 124-125-ზე მოცემულია ინფორმაცია რომის ადრეული რესპუბლიკის შესახებ. მასალის გაცნობის შემდეგ მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეებს შესთავაზოს პარაგრაფში მოცემული კითხვები და დავალება:

- რა შეიცვალა რომაულ საზოგადოებაში რესპუბლიკის პერიოდში და რომელ პოლიტიკურ სიახლეს მოჰყვა ეს შედეგი?
- შენი აზრით, რატომ მიდიოდნენ პატრიციები პლებეებთან დათმობაზე?
- პლებეების ბრძოლა უფლებებისთვის ასუსტებდა თუ აძლიერებდა რომის სახელმწიფოს? პასუხი დაასაბუთე.
- როგორ შეიცვალა სენატის ფუნქცია რესპუბლიკის პერიოდში, მეფობის ხანისგან განსხვავებით?
- დაასახელე ის ინსტიტუციები, რომლებიც რესპუბლიკური მმართველობის დროს გაჩნდა და არ იყო მეფობის პერიოდში.
- შენი აზრით, რატომ ირჩევდნენ კონსულებს მხოლოდ ერთი წლით, მეორედ კი ათი წლის შემდეგ? რას ემსახურებოდა ასაკობრივი შეზღუდვა?
- შენი აზრით, რატომ ჰქონდათ სახალხო ტრიბუნებს შეუზღუდავი უფლებები?
- როგორ უნდა წარმოადგინო სტატიაში ადრეული რომის რესპუბლიკის პერიოდში განხორციელებული პოლიტიკურ-მმართველობითი ცვლილებები?

	კითხვების დამუშავების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს დავალებას, რომელიც გარკვეულწილად აჯამებს განხილულ ინფორმაციას. **მოსწავლის რვეული:** დავალება 31-32. დავალების შესრულების შემდეგ პედაგოგს შესაძლებლობა აქვს, განაგრძოს საკითხის დამუშავება. გვ. 127-ზე წარმოდგენილია სულას მმართველობის პერიოდი. ამ ინფორმაციის გაცნობის შემდეგ მასწავლებელს შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული კითხვები: • რომაული კანონებით რომში ჯარის შეყვანის უფლება არავის ჰქონდა. სულა იყო ისტორიაში პირველი რომაელი, რომელმაც რომში ჯარი შეიყვანა და ძალაუფლება ასე მიიტაცა. შენი აზრით, რატომ იყო სახიფათო ძალაუფლების თუნდაც სამართლიანად მოპოვების ასეთი ფორმა? • რას ისახავდა მიზნად სულას რეფორმები? • როგორ ფიქრობ, სულას დიქტატორობის ხანა შეიძლება თუ არა მივაკუთვნოთ რესპუბლიკის ხანას? პასუხი დაასაბუთე. • როგორ უნდა წარმოადგინო სტატიაში სულას მმართველობა? მასალის განხილვისა და კითხვების დამუშავების შემდეგ მასწავლებელს შეუძლია, განაგრძოს სახელმძღვანელოზე დაყრდნობით საკითხის განხილვა. გვ. 128-129-ზე წარმოდგენილია მასალა პირველი ტრიუმვირატის შესახებ. მასალის განხილვის შემდეგ პედაგოგს შეუძლია მოსწავლეები გააქტიუროს პარაგრაფში წარმოდგენილი დავალებისა და კითხვების საშუალებით. **მოსწავლის რვეული:** დავალება 33. • რამ გამოიწვია რომის რესპუბლიკური მმართველობის კრიზისი? • გაიხსენე, რა უფლებებით იყვნენ აღჭურვილი ცენზორები და სახალხო ტრიბუნები და იმსჯელე, რატომ დასჭირდა სამუდამო დიქტატორს, იულიუს კეისარს, მათი მიღება?	

	• მოიყვანე არგუმენტები რომში როგორც რესპუბლიკური მართველობის დასაცავად, ისე ერთპიროვნული მმართველობის დამყარების სასარგებლოდ. • როგორ უნდა წარმოადგინო სტატიაში რომის პირველი ტრიუმვირატის პერიოდში მიმდინარე ისტორიული პროცესები? ამ საკითხის განხილვისა და კითხვების დამუშავების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, განაგრძოს საკითხის დამუშავება. გვ.130-131-ზე მოცემულია ინ-ფორმაცია მეორე ტრიუმვირატის შესახებ. მასალის განხილვის შემდეგ მას-წავლებელი იყენებს პარაგრაფში არსებულ კითხვებს და სთავაზობს მოს-წავლეებს დავალებას. • წყაროს მიხედვით იმსჯელე იმ პერიოდის რომში გავრცელებულ მორალურ-ეთიკურ ნორმებზე; საზოგადოებაში არსებულ პოლიტიკურ განწყობებზე; • შენი აზრით, რატომ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს როგორც I, ისე II ტრიუმვირატის წევრები? პასუხი დაასაბუთე. • როგორ ფიქრობ, ტრიუმვირატის წევრების დაპირისპირება კანონზომიერი მოვლენა იყო? პასუხი დაასაბუთე. • რომის ისტორიის რესპუბლიკურ პერიოდში გამოყავი ქვეპერიოდები და ახ-სენი, რას დაეფუძნა შენი პერიოდიზაცია. • როგორ უნდა წარმოადგინო სტატიაში რომში მეორე ტრიუმვირატის პე-რიოდში განვითარებული მოვლენები? მასალისა და კითხვების დამუშავების შემდეგ პედაგოგი აგრძელებს განსახილველი საკითხის დამუშავებას. გვ. 131-133-ზე წარმოდგენილია რომის მმართველობითი სტრუქტურა პრინციპატის პერიოდში. მასალის გაცნობის შემდეგ პედაგოგი წყარო „დ“-ს მიხედვით მოსწავლეებს სთავაზობს კითხვებს: • ოქტავიანეს საქმეთა ჩამონათვალში გამოყავი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული მოვლენები; • შენი აზრით, რომელია ოქტავიანეს ჩამოთვლილ საქმეთაგან უმნიშვნელო-ვანესი? • როგორ ფიქრობ, რატომ ხარჯავდა ოქტავიანე საკუთარ სახსრებს საზო-გადო საქმეებისთვის?	

	გაიხსენე კონსულისა და ტრიბუნის მოვალეობები და არჩევის წესები და შეაფასე ოქტავიანეს სიტყვები: ა) „სენატის დადგენილებით... ჩემი ხელშეუხებლობა და მთელი სიცოცხლის განმავლობაში ტრიბუნის ძალაუფლება კანონით დაამტკიცეს“; ბ) „აქამდე ოცდაათჯერ კონსულად არჩეული, ტრიბუნის ძალაუფლებით ვსარგებლობ“ – რაზე მეტყველებს, რომ ოქტავიანეს ტრიბუნის ძალაუფლება სიცოცხლის განმავლობაში გადაეცა, კონსულად კი ოცდაათჯერ აირჩიეს? • გამოთქვი ვარაუდი, რატომ ამბობს ოქტავიანე უარს შეთავაზებულ დიქტატურაზე? • რაზე მეტყველებს, რომ ოქტავიანეს „სამშობლოს უზენაესი მამა“ უწოდეს? • როგორ წარმოვადგინო სტატიაში ოქტავიანეს მოღვაწეობის მნიშვნელობა და მისი მმართველობის პერიოდში განხორციელებული ცვლილებები? კითხვების დამუშავების შემდეგ მასწავლებელი აგრძელებს ოქტავიანეს მმართველობის შესახებ საკითხის განხილვას. მასალის გაცნობის შემდეგ პედაგოგი მოსწავლეებს ააქტიურებს პარაგარფში წარმოდგენილი კითხვებისა და დავალების გამოყენებით: • შეაფასე ოქტავიანე ავგუსტუსის მოღვაწეობა; • როგორი ტრანსფორმაცია განიცადა მმართველობის ფორმამ სულადან ავგუსტუსამდე? • შეადარე პრინციპატის მმართველობის მოდელი მეფობის პერიოდს და გამოყავი მათ შორის მსგავსება-განსხვავებები; • გააკეთე პროგნოზი: როგორ შეიძლება კიდევ შეიცვალოს მმართველობის სისტემა რომში? რას ეფუძნება შენი პროგნოზი? • როგორ უნდა წარმოადგინო სტატიაში ოქტავიანეს პერიოდში განვითარებული ისტორიული პროცესები? ამ საკითხის განხილვის შემდეგ პედაგოგი აგრძელებს საკითხის დამუშავებას და განიხილავს რომში დომინატის დროს განვითარებულ პროცესებს, გვ. 133-134. საკითხის დამუშავების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს დავალებას. • ერთმანეთს შეადარე დომინატი და პრინციპატი. ჩამოაყალიბე მათი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები. • ძალაუფლების ფორმის ცვლილების მიხედვით, რომის ისტორია დაყავი პერიოდებად. **მოსწავლის რვეული:** დავალება 35.	

ნაბიჯი 2

- როგორ იცვლებოდა რომის მმართველობა და მისი ტერიტორია სამეფოდან რესპუბლიკამდე და რესპუბლიკიდან იმპერიამდე **(მ.წ. 1)**
- როგორ აღრიცხავდნენ და რა მოვლენებისთვის შეიძლებოდა დაეკავშირებინათ დროის აღრიცხვა რომში? **(მ.წ. 3)**

რესურსი/აქტივობა:
სახელმძღვანელო, გვ. 135-150.

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:
ამ კრიტერიუმების დამუშავების პროცესში მასწავლებელი ეყრდნობა სახელმძღვანელოს. გვ. 135-ზე მოცემულია ინფორმაცია პირველი პუნიკური ომის შესახებ, რომლის განხილვის შემდეგაც პედაგოგი იყენებს სახელმძღვანელოში არსებულ კითხვებს:

- ომის დაწყების წინ რა უპირატესობა ჰქონდა კართაგენს რომთან შედარებით?
- რატომ ჰქონდა საზღვაო ძალებს უდიდესი მნიშვნელობა რომისა და კართაგენის დაპირისპირებაში?
- რა გახდა ომში რომაელთა გამარჯვების მიზეზი?
- როგორ ფიქრობ, შეეძლოთ თუ არა მხარეებს კონფლიქტის თავიდან აცილება?
- წარმოიდგინე, რომ ერთ-ერთი მხარის წარმომადგენელი ხარ. რას მოიმოქმედებდი კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად (რას შესთავაზებდი მეორე მხარეს)?
- როგორ უნდა წარმოადგინო სტატიაში პირველი პუნიკური ომის მიზეზები, შედეგები და ტერიტორიული ცვლილებები?

კითხვების განხილვის შემდეგ მასწავლებელი აგრძელებს შესასწავლი საკითხის განხილვას. გვ. 137-139-ზე მოცემულია ინფორმაცია მეორე პუნიკური ომის შესახებ. საკითხის გასააზრებლად მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეებთან ერთად განიხილოს ბრძოლის სქემა და ისტორიული რუკა, რის შემდეგაც პედაგოგი მოსწავლეებს საკითხს გააააზრებინებს პარაგრაფში არსებული კითხვების გამოყენებით:

	• ზღვაზე რომის ბატონობის გარდა, მოიყვანე არგუმენტი, რომლითაც ჰანიბალი თავის ჯარს რომამდე სახმელეთო გზის არჩევის მართებულობას დაუსაბუთებდა. • შენი აზრით, რატომ მიემხრნენ ალპების კალთებთან მცხოვრები გალები ჰანიბალს? • დაასახელე II პუნიკური ომის საბაბი და მიზეზი. • შენი აზრით, რატომ ვერ შეძლო ჰანიბალმა კანესთან მიღწეული გამარჯვებით სარგებლობა და არ შეუტია რომს? მოიყვანე არგუმენტები როგორც ჰანიბალის სტრატეგიის დასაცავად, ისე მის საწინააღმდეგოდ. • წარმოიდგინეთ, რომ კანეს ბრძოლის შემდეგ რომის სენატში სამომავლო სამოქმედო გეგმის განხილვას ესწრებით. აწონ-დაწონეთ შექმნილი სიტუაცია და განიხილეთ სხვადასხვა ვარიანტი, მათ შორის, ფაბიუს მაქსიმუსის არჩეული სტრატეგია, აფრიკაში სციპიონის გაგზავნის დადებითი და უარყოფითი მხარეები. • იმსჯელე II პუნიკური ომის შედეგებზე ორივე მხარისთვის. • როგორ უნდა წარმოადგინო სტატიაში მეორე პუნიკური ომის მიზეზები, შედეგები და ტერიტორიული ცვლილებები? კითხვების დამუშავების შემდეგ პედაგოგი აგრძელებს საკითხის განხილვას და მოსწავლეებს გააცნობს ინფორმაციას რომის დაპირისპირების შესახებ მაკედონიასა და სელევკიდებთან, რომელიც წარმოდგენილია გვ. 139-სა და 140-ზე. მასალის გაცნობის შემდეგ პედაგოგს შესაძლებლობა აქვს, მოსწავლეებს საკითხი შეამეცნებინოს პარაგრაფში არსებული კითხვების საშუალებით: • როგორ მოქმედებდა რომაული დიპლომატია მაკედონელთა წინააღმდეგ? • როგორ გესმის პერსევსის სიტყვები: „თავისუფალი სახელმწიფო და სამეფო ხელისუფლება თავისი ბუნებით ერთმანეთის მტრები არიან“? ამ სიტყვებიდან გამომდინარე, ახსენი როგორც მაკედონიის მეფის, ისე რომაელების საომარი იდეოლოგია. • წყაროს მიხედვით, ქვეყნის დაპყრობის შემდეგ, როგორ ცდილობდნენ რომაელები ადგილობრივ მოსახლეობაში ნდობის მოპოვებას? • რომაულ-მაკედონიურ დაპირისპირებაში ბერძნული ქალაქები ძირითადად რომს უჭერდნენ მხარს. შენი აზრით, რატომ?	

	• იმსჯელე ისტორიაში მიზეზშედეგობრივ კავშირებზე და ჩამოთვალე ის შედეგები, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად რომის აღმოსავლეთით გაფართოებას მოჰყვა. • შეეცადე, წარმოიდგინო მოვლენების ალტერნატიული განვითარება, მაგ., რა მოხდებოდა, რომ II პუნიკურ ომში კართაგენს გაემარჯვა, ან შემდეგ ეტაპზე – მაკედონიას ან სელევკიდების სახელმწიფოს. როგორ შეცვლიდა ეს განსხვავებული შედეგები მოცემული რეგიონის პოლიტიკურ სურათს? • როგორ ავსახო სტატიაში რომის დაპყრობითი ომების შედეგები და ტერიტორიული ცვლილებები, რომლებიც ამ დაპყრობებს მოჰყვა? ამ მასალისა და კითხვების დამუშავების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, განაგრძოს საკითხის დამუშავება. გვ. 141-143-ზე მოცემულია მასალა მესამე პუნიკური ომისა და რომისა და პონტოს სამეფოს დაპირისპირების შესახებ. მასალის გაცნობის შემდეგ პედაგოგს შეუძლია, პარაგრაფში არსებული კითხვების საშუალებით გააქტიუროს მოსწავლეები. • ნუმიდიისა და კართაგენის დაპირისპირება III პუნიკური ომის მიზეზი იყო თუ საბაბი? • შენი აზრით, რატომ იყო კატონი კართაგენის სრული განადგურების მომხრე? ა) ეს იყო რომაული აგრესიული საგარეო პოლიტიკის ჩვეულებრივი გამოხატულება; ბ) კატონი, როგორც რომის პატრიოტი, ვერაფრით ივიწყებდა იმ სირცხვილს, რომელიც კართაგენმა რომს რამდენიმე ბრძოლაში აგემა; გ) კატონისა და მისი თანამოაზრეების აზრით, კართაგენის ხელსაყრელი მდებარეობის გამო არსებობდა საფრთხე, რომ, მოძლიერების შემთხვევაში, მისი და რომის ინტერესები კვლავ შეეჯახებოდა ერთმანეთს; • შეაჯამე სამივე პუნიკური ომის მნიშვნელობა რომისთვის; • შეადარე მითრიდატეს I ომისა და III პუნიკური ომის დაწყების საბაბები და იმსჯელე რომაულ საგარეო პოლიტიკაზე; • როგორ შეიცვალა პომპეუსის ლაშქრობის შედეგად მცირე აზიისა და სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური რუკა? • შენი აზრით, რას ნიშნავდა ქართლისა და სომხეთისთვის „რომის მეგობრად და მოკავშირედ“ გამოცხადება?	

	• დაახასიათე რომის საგარეო პოლიტიკა და გამოყავი მისი დამახასიათებელი ნიშნები; იმსჯელე წარმატების მიზეზებზე; გაიხსენე ლაშქრობების პარალელურად რომის საშინაო პოლიტიკაში მიმდინარე მოვლენები და იმსჯელე, აისახა თუ არა ეს პროცესები რომის მიერ წარმოებულ დაპყრობით ომებზე; • როგორ უნდა წარმოადგინო სტატიაში რომის დაპყრობების შემდეგ მომხდარი ტეირიტორიულ-პოლიტიკური ცვლილებები? კითხვების დამუშავების პროცესში მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეებს შესთავაზოს დავალება. **მოსწავლის რვეული:** დავალება 36 დავალების შესრულების შემდეგ პედაგოგს შეუძლია განაგრძოს საკითხის დამუშავება. გვ. 144-ზე წარმოდგენილია ისტორიული წყარო „ა“. მისი განხილვის შემდეგ მასწავლებელი იყენებს სახელმძღვანელოში მოცემულ კითხვებს, რომლებიც მოსწავლეებს ეხმარება, სიღრმისეულად გაიაზრონ საკითხი. • როგორ ფიქრობ, რატომ ითხოვდნენ რომთან მეგობრობას ზემოთ ჩამოთვლილი ხალხები? დაასახელე რამდენიმე მიზეზი. • შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს მეგობრობა ყოველთვის ნებაყოფლობითი იყო? • რომთან იბერიის (ქართლის) ურთიერთობის წინა ისტორიის გათვალისწინებით, შენი აზრით, რატომ მოითხოვეს იბერიელებმა რომთან ხელახლა დამეგობრება? • ერთი მხრივ, სამხრეთ კავკასიის გეოგრაფიული გარემოსა და, მეორე მხრივ, იბერიისა და ალბანეთის მდებარეობის გათვალისწინებით, როგორ ფიქრობ, რა მნიშვნელობა ექნებოდათ მათ რომისთვის? • დააკვირდი რუკას. რამდენად შეიცვალა რესპუბლიკის შემდგომ ავგუსტუსის დროს სახელმწიფოს საზღვრები? • გაიხსენე მომთაბარე ტომების ცხოვრების წესი. შენი აზრით, რა საფრთხის მომტანი შეიძლებოდა ყოფილიყო მომთაბარე ტომების შემოსევები დიდი სახელმწიფოებისთვისაც კი? მოიყვანე ისტორიიდან ამის მაგალითები. • როგორ ფიქრობ, შეეძლო თუ არა იმავე კავკასიის გადმოსასვლელების გამოყენება ქართლის მეფესაც? ასეთ შემთხვევაში, რა მნიშვნელობას იძენდა რომისთვის ქართლის „მეგობრობა“? • როგორ უნდა წარმოადგინო სტატიაში რომის საგარეო პოლიტიკის ცვლილება და ამ პოლიტიკის შედეგები?	

	მასალის განხილვის შემდეგ პედაგოგს შეუძლია, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით განაგრძოს საკითხის განხილვა. გვ. 145-147-ზე წარმოდგენილია რომის საგარეო პოლიტიკა პირველ და მეორე საუკუნეებში. მასალის განხილვის შემდეგ პედაგოგს შეუძლია, მოსწავლეები გააააქტიუროს პარაგრაფში მოცემულ კითხვებზე დაყრდნობით: • რაზე მეტყველებს მცხეთაში რომის იმპერატორის წარწერის აღმოჩენა? • შენი აზრით, რატომ უნდა გაემაგრებინათ რომაელებს ქართლის მეფისთვის სახელმწიფოს კედლები? • წარწერის მიხედვით შეგვიძლია, ვივარაუდოთ, როგორი ურთიერთობა გაგრძელდა რომსა და ქართლს შორის იმპერიის პერიოდშიც? • როგორ ფიქრობ, პროვინციების რომანიზაცია რომის მიზანდასახული პოლიტიკა იყო თუ ბუნებრივი პროცესი, რომელიც თავისთავად ხდებოდა დროთა განმავლობაში? პასუხი დაასაბუთე. • შენი აზრით, რა დადებითი ან უარყოფითი შედეგი შეიძლებოდა მოეტანა რომანიზაციის პროცესს დაპყრობილი ხალხებისთვის? • ერთმანეთს შეადარე ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობების შედეგად ახლო აღმოსავლეთის ელინიზაციისა და რომის იმპერიის ფარგლებში მიმდინარე რომანიზაციის პროცესი. როგორ ფიქრობ, რომელი კულტურა მოახდენდა უფრო დიდ გავლენას სხვა ხალხზე? მოიყვანე არგუმენტები შენი მოსაზრების განსამტკიცებლად. კითხვებისა და მასალის დამუშავების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, განაგრძოს საკითხის დამუშავება. გვ. 148-149-ზე წარმოდგენილია რომის იმპერიის აღმოსავლური პოლიტიკა. საკითხის გასააზრებლად მასწავლებელს შეუძლია, გამოიყენოს პარაგრაფში მოცემული კითხვები და დავალებები: • რატომ იყო რომი მეზობელ ქვეყნებთან მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნების მომხრე? • რატომ წავიდა დათმობაზე რომი ფარსმან II-თან და საზღვართან მყოფ ქვეყანას მიწების გაფართოების საშუალება მისცა? • როგორ ფიქრობ, იმავეს დაუშვებდა თუ არა ტრაიანე? ერთმანეთს შეადარე რომის დამოკიდებულება დაკიისა და ქართლის მიმართ.	

	• გამოხატე შენი პოზიცია რომის ორი განსხვავებული საგარეო პოლიტიკური კურსის შესახებ. • როგორ უნდა წარმოადგინო სტატიაში რომის აღმოსავლური პოლიტიკა და ტერიტორიული ცვლილებები, რომლებიც იმპერიის პერიოდს მოჰყვა? კითხვების დამუშავების შემდეგ მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეებს შესთავაზოს დავალება. **მოსწავლის რვეული:** დავალება 37-38. დავალების შესრულების შემდეგ პედაგოგი აგრძელებს საკითხის განხილვას. გვ. 149-ზე წარმოდგენილია რომისა და სასანური ირანის დაპირისპირება. მასალის განხილვის შემდეგ პედაგოგი მოსწავლეებს სთავაზობს ინფორმაციას კალენდრის შესახებ, რომელიც დამატებითი მასალის სახითაა მოცემული მოსწავლის რვეულში. **კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები:** • აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი; • აღწერე, რა პროდუქტი შექმენი; • რა საკითხს შეეხება შენ მიერ შესრულებული დავალება? • ახსენი, რატომ შექმენი სტატია? რის თქმა გინდოდა მისი საშუალებით? • რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი ნამდვილად სტატიაა? • შენი აზრით, ვინ უნდა დაინტერესდეს შენ მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებით და რატომ? • რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? • რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას? • მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? • შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი ნამუშევარი თანაკლასელების ნაშრომებისგან?	

გრძელვადიანი მიზანი **სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**	**საკითხი/ქვესაკითხები:** ბერძნულ-რომაული ისტორიოგრაფია და მისი მახასიათებლები **ქვეცნება/ქვეცნებები:** ისტორიოგრაფია, პირველადი და მეორადი წყაროები, ინტერპრეტაცია	**საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები:** როგორ წარმოვაჩინო ესეში ბერძნულ-რომაული ისტორიოგრაფიის თავისებურება და მახასიათებლები?	**შუალედური სასწავლო მიზანი** **კომპლექსური დავალების პირობა**
ისტორიული წყარო (ისტ.საშ.1,2,4,5) • ინფორმაციას წარსულის შესახებ ისტორიკოსები წყაროებიდან იღებენ; • წარსულის შესწავლისას ისტორიკოსები სხვადასხვა ტიპის წყაროებს (ნივთიერს, ეთნოგრაფიულს, წერილობითს, ლინგვისტურს, კინო-, ფოტო-, ფონოდოკუმენტებს) ეყრდნობიან; • ყველა წყარო ერთნაირად სანდო არ არის; • წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია არაერთმნიშვნელოვანია, ამიტომ მათი ინტერპრეტაცია ისტორიკოსებს შორის დისკუსიის საგანია.	**კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (რესურსები, აქტივობები):** **I ეტაპი: კომპლექსური დავალების ფორმა** **ნაბიჯი 1. როგორ უნდა წარმოვაჩინო საკუთარი ცოდნა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით?** **რესურსი/აქტივობა:** **ესე** – თავისუფალი ფორმის, არასამეცნიერო ხასიათის ნარკვევი, რომელშიც განხილულია ლიტერატურული, ფილოსოფიური, სოციალური პრობლემები. **სარეკომენდაციო აქტივობა:** მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს რესურსს და დაფაზე წერს: „ესე“. მოსწავლეები გონებრივი იერიშის მეთოდით აყალიბებენ მოსაზრებებს პროდუქტთან დაკავშირებით, რის შემდეგაც მასწავლებელი სოკრატესეული კითხვა-პასუხის მეთოდის გამოყენებით მოსწავლეებს აცნობს ინფორმაციას ესეს შესახებ. **II ეტაპი: კომპლექსური დავალების შინაარსი** **ნაბიჯი 1.** • რა ვიცით და საიდან ვიცით ბერძნულ-რომაული სამყაროს შესახებ? **(მ.წ 1)** • რა სახის წყაროებიდან ვიღებთ ინფორმაციას რომის ისტორიისა და მისი კულტურის შესახებ? რატომ შეიძლება გახდეს სხვადასხვა წყარო ისტორიკოსთა შორის განხილვისა და განსხვავებული ინტერპრეტაციის მიზეზი? **(მ.წ 2 და 4)** **რესურსი/აქტივობა:** სახელმძღვანელო, გვ. 152-159 **სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:** შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.		წარმოიდგინე, რომ მკვლევარი ისტორიკოსი ხარ, იმყოფები ვატიკანის ბიბლიოთეკაში და აღმოაჩინე ანტიკური პერიოდის წყაროები. მათზე დაყრდნობითაც შეგიძლია რომის ისტორიის რეკონსტრუქცია და რომაული კულტურის გაცოცხლება. გევალება, ეს წყაროები გააცნო საზოგადოებას და მოამზადო ესე. **ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინე:** • რა ვიცით და საიდან ვიცით ბერძნულ-რომაული სამყაროს შესახებ? **(მ.წ. 1)** • რა სახის წყაროებიდან ვიღებთ ინფორმაციას რომის ისტორიისა და მისი კულტურის შესახებ? რატომ შეიძლება გახდეს სხვადასხვა წყარო ისტორიკოსთა შორის განხილვისა და განსხვავებული ინტერპრეტაციის მიზეზი? **(მ.წ. 2 და 4)**

	სარეკომენდაციო აქტივობა: ამ კრიტერიუმების დამუშავების პროცესში მასწავლებელი ეყრდნობა სახელმძღვანელოს. გვ. 152-153-ზე მოცემულია ინფორმაცია ბერძნულ-რომაული საზოგადოებისა და კულტურის შესახებ. მასალის გაცნობის შემდეგ პედაგოგს შეუძლია, მოსწავლეებს კითხვების საშუალებით გააზრებინოს საკითხი: • რომელ რეგიონებს მოიცავდა ბერძნულ-რომაული სამყარო? • რა განსხვავება იყო თავად ბერძნულ და რომაულ გეოგრაფიულ სივრცეებს შორის? • შენი აზრით, შედიოდა თუ არა ბერძნულ-რომაულ სამყაროში თანამედროვე საქართველოს ტერიტორია? პასუხი დაასაბუთე. • როგორ უნდა გამოკვეთო ესეში ბერძნულ-რომაული კულტურის მსგავსება და განსხვავება? პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს დამაზუსტებელი კითხვები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებს ცოდნის კონსტრუირებაში. კითხვებს სარეკომენდაციო ფუნქცია აქვს: • რა საერთო აქვს ერთმანეთთან ბერძნულ-რომაულ კულტურას? • როგორ ფიქრობ, განვითარდა თუ არა რომაული კულტურა ბერძნული კულტურის გავლენით? რატომ ფიქრობ ასე? • მმართველობის როგორი სტილი იყო დამახსიათებელი ბერძნულ-რომაული კულტურისთვის? • შენი აზრით, რა დადებითი და უარყოფითი შედეგები შეიძლება ჰქონდეს კულტურათა კავშირს? კითხვებისა და მასალის დამუშავების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, განაგრძოს საკითხის განხილვა. გვ. 154-ზე წარმოდგენილია ინფორმაცია რომაული საზოგადოების შესახებ. მასალის განხილვის შემდეგ პედაგოგი მოსწავლეებს სთავაზობს პარაგრაფში მოცემულ დავალებასა და კითხვებს. **მოსწავლის რვეული:** დავალება 39.	• რამდენად სანდოა რომაული წყაროები და რატომ არის მნიშვნელოვანი, ისტორიისა და კულტურის შესწავლის პროცესში გავეცნოთ ანტიკური წყაროების ავტორებს? **(მ.წ. 3)**

	• გაიხსენე ბერძენ-სპარსელთა ომის დროს ბერძნების მიერ გამოჩენილი პატრიოტიზმის მაგალითები და იმსჯელე ბერძნულ საზოგადოებაში დამკვიდრებული ღირებულებების შესახებ. შეადარე ისინი რომაულს. • ქვემოთ მოყვანილი სხვადასხვა ტიპის წყარო რომაული საზოგადოების წევრებზე მოგაწვდის ინფორმაციას. დააჯგუფე ისინი შინაარსობრივად, მიუსადაგე საზოგადოების თავისუფალ და არათავისუფალ წევრებს. თითოეულ წყაროს გვერდით მიუწერე, საზოგადოების რომელ წევრს, რომელი სოციალური ფენის წარმომადგენელს შეესაბამება ესა თუ ის წყარო. • როგორ წარმოადგენ ესეში წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას? ამ მასალის დამუშავების შემდეგ პედაგოგს შეუძლია, განაგრძოს საკითხის დამუშავება. გვ. 154-156-ზე წარმოდგენილია ისტორიული წყაროები. მათი განხილვის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს საკითხის გასააზრებლად სთხოვს დავალების შესრულებას და კითხვების გამოყენებით განიხილავს საკითხს. • რა მნიშვნელობა აქვს რომის ისტორიის კვლევისას ზემოთ მოყვანილ ისტორიულ წყაროებს? • შენი აზრით, რამდენად სანდოა თითოეული მათგანის მიერ მოწოდებული ინფორმაცია? • რომაული საზოგადოების სამართლის ნორმების გარდა, კიდევ რა ინფორ-მაციას გვაწვდის 12 დაფის კანონი? • რატომ არის ისტორიკოსისთვის საინტერესო ეპიტაფია? • როგორია წყარო „ვ“-ს მიხედვით რომაული მორალური კოდექსი? ანუ როგორი უნდა იყოს სამაგალითო რომაელი? • იმსჯელე წყარო „ზ“-ს მიხედვით თავისუფალი მოქალაქის შესაძლებლო-ბებზე. **მოსწავლის რვეული:** დავალება 40.	

ნაბიჯი 2.

- რამდენად სანდოა რომაული წყაროები და რატომ არის მნიშვნელოვანი, ისტორიისა და კულტურის შესწავლის პროცესში გავეცნოთ ანტიკური წყაროების ავტორებს? **(მ.წ. 3)**

რესურსი/აქტივობა:
სახელმძღვანელო, გვ. 156-159.

სასწავლო სტრატეგია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა:
შებრუნებული საკლასო ოთახი, სასწავლო გაჩერებები, გაჩერებებით კითხვა, დისკუსია, ჯიგსოუს ტექნიკა, სიტუაციური სწავლება.

სარეკომენდაციო აქტივობა:
ამ კრიტერიუმების განხილვის პროცესში პედაგოგს შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელო. გვ. 156-157-ზე წარმოდგენილია ინფორმაცია ისტორიკოსებისა და მათი მოსაზრებების შესახებ. მასალის გაცნობის შემდეგ პედაგოგს შესაძლებლობა აქვს, გამოიყენოს სახელმძღვანელოში არსებული კითხვები და დავალება, რომლებიც მოსწავლეებს დაეხმარება, სიღრმისეულად გაიაზრონ საკითხი:

- რა განსხვავებას ხედავ ჰეროდოტესა და თუკიდიდეს დამოკიდებულებაში ისტორიის მიმართ?
- რა სიახლეა პოლიბიოსის ნააზრევში და როგორია მისი კვლევის მეთოდი?
- როგორ ფიქრობ, ჰეროდოტეს ნაშრომი იქნება უფრო სანდო თუ პოლიბიოსის? რატომ?
- შენი აზრით, რატომ მიიჩნევს ციცერონი ისტორიას ცხოვრების დამრიგებლად?
- რამდენად მისაღებია შენთვის ისტორიული პირების საქმიანობისადმი სვეტონიუსის მიდგომა?
- შეადარე ბერძენი და რომაელი ავტორების ნააზრევი ერთმანეთს. გამოყავი მსგავსება-განსხვავებები.
- როგორ უნდა წარმოადგინო ესეში ისტორიკოსების პოზიცია ისტორიის დანიშნულებისთან დაკავშირებით?

	კითხვების დამუშავების შემდეგ პედაგოგი მოსწავლეებს სთავაზობს დავალებას. **მოსწავლის რვეული:** დავალება 40. **კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები:** • აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი; • აღწერე, რა პროდუქტი შექმენი; • რა საკითხს შეეხება შენ მიერ მომზადებული დავალება? • ახსენი, რატომ შექმენი ესე? რის თქმა გინდოდა მისი საშუალებით? • რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი ნამდვილად ესეა? • შენი აზრით, ვინ უნდა დაინტერესდეს შენ მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებით და რატომ? • რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? • რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას? • მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? • შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი ნამუშევარი თანაკლასელების ნაშრომებისგან?	

დანართი 1

მმართველი	პერიოდი	დაპყრობილი მიწები	რატომ იყო მნიშვნელოვანი სპარსეთის გაფართოება ამ მიმართულებით?	რას მიიღებდა სპარსეთი ამ სივრცის ათვისებით?
კიროსი				
კამბისე				
დარიოსი				

დანართი 2

მმართველი	რეფორმები	რეფორმის გატარების მიზეზი	რეფორმის მოსალოდნელი შედეგი	ტერიტორიები, რომლებსაც ვერ აკონტროლებენ სპარსელები დარიოსის პერიოდში	რატომ შეიძლება უნდოდეს მას ამ ტერიტორიების კონტროლი?
დარიოსი					
ქსერქსე					

სოლოტაქსონომია

<table>
<tr><td colspan="3">პირველი კომპლექსური დავალება
კომიქსის შექმნა პრეისტორიული ეპოქის შესახებ</td></tr>
<tr><td rowspan="4">სოლოტაქსონომიის დონეები</td><td>სამიზნე ცნება</td><td>სამიზნე ცნება</td></tr>
<tr><td>წყარო</td><td>დრო</td></tr>
<tr><td>სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენა</td><td>სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენა</td></tr>
<tr><td>მოსწავლემ უნდა შეძლოს:
• გააანალიზოს წყაროები, რომელთა საშუალებითაც მოიპოვა ინფორმაცია შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით;
• შეადაროს და ერთმანეთს დაუკავ-შიროს სხვადასხვა ტიპის წყაროები და მოპოვებული ინფორმაცია;
• გააანალიზოს ფაქტორები, რომლებიც წყაროების სანდოობას/ ტენდენციურობას განაპირობებს.
• ერთმანეთს შეადაროს ერთსა და იმავე წყაროს ანალიზის საფუძველ-ზე გაკეთებული ინტერპრეტაციები.</td><td>მოსწავლემ უნდა შეძლოს:
• სხვადასხვა ისტორიული პერიოდის მახასიათებლების გამოკვეთა და სხვა ეპოქასთან შედარება
• გააანალიზოს, თუ როგორ აღნუსხავდა დროს/როგორ აღიქვამდა საკუთარ ეპოქას სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში მცხოვრები ხალხი.</td></tr>
<tr><td rowspan="4">აბსტრაქტული დონე
მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი/არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექ-სტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს პირად გამოცდილებას.</td><td colspan="2">ნაშრომის აღწერა</td></tr>
<tr><td colspan="2">მოსწავლის მიერ შექმნილ კომიქსში ჩანს, რომ მას სიღრმისეულად აქვს გააზრებული შესასწავლი საკითხი, შეუძლია მიზეზშედეგობრივი მსჯელობა საკითხზე. ნაშრომი ლოგიკურად არის განვითარებული. მოსწავლე მწყობ-რად და აზრობრივად გადმოსცემს პრეისტორიული ეპოქის შესახებ ინფორ-მაციას. იყენებს სწორ ტერმინოლოგიას და პროდუქტში წარმოადგენს ყველა კრიტერიუმს. ნაშრომში გამოიკვეთა, რომ მოსწავლე არა მხოლოდ ცნებებს „წყაროსა“ და „დროს“ ამუშავებს, არამედ წარმოადგენს ცნებებსაც „საზოგადოება“ და „სივრცე“. მოსწავლე იყენებს სწორ ტერმინოლოგიას და განსაზღვრავს გეოგრაფიულ სივრცეს, რომლის ფარგლებშიც ვითარდება პირველყოფილი ადამიანი. ნაშრომში მოსწავლე აფასებს ისტორიულ წყა-როებს და მსჯელობს მათ მართებულობაზე. ყურადღება მახვილდება ქრო-ნოლოგიაზე, მოსწავლე ნაშრომში წარმოადგენს ისტორიულ და პრეის-ტორიულ დროს და შესასწავლი საკითხი, დროითი თვალსაზრით, ქრონო-ლოგიურად და ლოგიკურად აქვს გადმოცემული.</td></tr>
<tr><td colspan="2">მასწავლებლის კომენტარი</td></tr>
<tr><td colspan="2">შენ მშვენივრად გაართვი თავი დავალებას. შენი ნაშრომიდან ჩანს, რომ სიღრმისეულად გაიაზრე შესასწავლი საკითხი, დაამუშავე ყველა კრიტერიუმი და გამოყავი ეპოქის მახასიათებლები.
შემდეგში, გთხოვ, გაიხსენო ისეთი მაგალითები, რომლებიც დაგეხ-მარება საკუთარი ცოდნის განზოგადებასა და სხვადასხვა საკითხის უფრო მეტად ერთმანეთთან დაკავშირებაში.
მაგ., დღევანდელი ადამიანისაგან განსხვავებით, რა საჭიროებები ჰქონ-და პირველყოფილ ადამიანს; რა მნიშვნელობა აქვს სოციალურ ურ-თიერთობებს და როგორ იყო აღქმული იგი პირველყოფილი ადამიანის ცხოვრებაში.</td></tr>
</table>

<table>
<tr><td rowspan="3">მიმართებითი დონე
მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთ-მიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.</td><td colspan="2">ნაშრომის აღწერა</td></tr>
<tr><td>მოსწავლე საინტერესოდ და შემოქმედებითად გადმოსცემს ინფორმაციას პრეისტორიული ეპოქის შესახებ. მის ნამუშევარში ჩანს, რომ მას აქვს გარკვეული ცოდნა შესასწავლ საკითხზე, შეუძლია მიზეზშედეგობრივი კავშირების დანახვა. ნაშრომში კრიტერიუმების უმეტესობა დამუშავებულია, რაც გამოხატულია სწორი ტერმინინოლოგიით, თუმცა გარკვეული კრიტერიუმები ნაკლებად არის გამოხატული. მოსწავლე საუბრობს სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინაზე, რომლებიც გვეხმარება ისტორიის შესწავლაში, თუმცა დავალებაში დაშვებულია შეცდომები, რომლებიც გვაფიქრებინებს, რომ მოსწავლეს ბოლომდე არ აქვს გააზრებული პრეისტორიული ეპოქა, რომელშიც პირველყოფილი ადამიანის განვითარებაა წარმოდგენილი.</td><td>მოსწავლე საინტერესოდ და შემოქმედებითად გადმოსცემს ინფორმაციას პრეისტორიული ეპოქის შესახებ. მის ნამუშევარში ჩანს, რომ მას აქვს გარკვეული ცოდნა შესასწავლ საკითხზე, შეუძლია მიზეზშედეგობრივი კავშირების დანახვა. ნაშრომი ლოგიკურადაა განვითარებული, მასში გამოხატულია ქრონოლოგიური ჩარჩო. მოსწავლე განსახილველ საკითხს წარმოადგენს ეპოქების სახით და ახდენს ეპოქების სახელდებას ქრონოლოგიის გათვალისწინებით; თუმცა გარკვეულწილად შეინიშნება ფაქტოლოგიური შეცდომები, რომლებიც გვაფიქრებინეს, რომ მოსწავლეს ბოლომდე არ აქვს გააზრებული პრეისტორიული ეპოქა და ეპოქის შიგნით მიმდინარე პროცესები.</td></tr>
<tr><td colspan="2">მასწავლებლის კომენტარი</td></tr>
<tr><td></td><td colspan="2">შენ არაჩვეულებრივად გაართვი თავი დავალებას. შენს ნაშრომში გამოიკვეთა გარკვეული კრიტერიუმები. რა ტიპის წყაროებიდან შეგვიძლია მივიღოთ ინფორმაცია პრეისტორიული ეპოქის შესახებ? რამდენად სანდოა პრეისტორიული ეპოქის შესწავლის პროცესში გამოყენებული წყაროები და რატომ იწვევს ეს წყაროები მკვლევართა განსხვავებულ ინტერპრეტაციებს? ამასთან ერთად, შენ გამოკვეთე შემდეგი კრიტერიუმი: რა პერიოდს მოიცავს პრეისტორიული ეპოქა და როგორ აღრიცხავდნენ პირველყოფილი ადამიანები დროს? თუმცა ამ კრიტერიუმების დამუშავების პროცესში დაშვებული გაქვს გარკვეული შეცდომები და ამასთან ერთად ნაშრომში არ გამოიკვეთა, როგორ შეიცვალა პირველყოფილი ადამიანის ყოფა კომპლექსური საზოგადოების შექმნის შემდეგ. შენ შეძელი, განგესაზღვრა პრეისტორიული ეპოქის დროითი ჩარჩო და გესაუბრა წყაროებზე, რომლებიც გვაწვდის ინფორმაციას ეპოქის შესახებ; გამოიკვეთა, რომ შეგიძლია მიზეზშედეგობრივი კავშირების დანახვა, თუმცა ნაშრომში საკითხი არ არის განზოგადებული და გარკვეულწილად არ მუშავდება ყველა კრიტერიუმი. მომავალში შეეცადე, იმუშაო ყველა კრიტერიუმზე და გამოკვეთო შენი პოზიცია საკითხის მიმართ, რომელსაც გაამყარებ არგუმენტებით; შეეცადე, შენი არგუმენტები მოიცავდეს სხვა ეპოქებსაც, რაც დაგეხმარება ცოდნის განზოგადებაში.</td></tr>
</table>

<table>
<tr><td rowspan="3">მულტისტრუქტურული დონე
მოსწავლეს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/ წარმოდგენა აქვს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.</td><td colspan="2">ნაშრომის აღწერა</td></tr>
<tr><td>მოსწავლემ ზუსტად გაიგო დავალების არსი და დაუკავშირა მას პარაგრაფში წარმოდგენილი მასალა. ნაშრომში მოსწავლემ შეძლო, დაესახელებინა ეპოქის მახასიათებლები და წყაროები, რომლებიც ამ მახსიათებლებზე გვაწვდის ინფორმაცია. თუმცა ნაშრომში არ გამოკვეთილა მოსწავლის შეფასება წყაროების მართებულობასთან დაკავშირებით, რაც მოცემული იყო ცნება „წყაროს“ ერთ-ერთ კრიტერიუმში. ნაშრომში ნაკლებად არის აღნიშნული მოსწავლის მოსაზრებები, პროდუქტში წარმოდგენილი და პრეზენტაციის დროს გადმოცემული მასალა უფრო მეტად აღწერითი იყო და არ იგრძნობოდა ლოგიკური კავშირი საკითხებს შორის.</td><td>მოსწავლემ ზუსტად გაიგო დავალების არსი და დაუკავშირა მას პარაგრაფში წარმოდგენილი მასალა. ნაშრომში მოსწავლემ შეძლო, განესაზღვრა ქრონოლოგია და განსახილველი საკითხი წარმოადგინა ეპოქების შესაბისად, თუმცა მას ნაშრომში არ გამოჩნდა ეპოქებს შორის კავშირი და მიმართება, რაც ცნების ერთ-ერთ კრიტერიუმად იყო მოცემული. ნაშრომში ნაკლებად არის აღნიშნული მოსწავლის მოსაზრებები, პროდუქტში წარმოდგენილი და პრეზენტაციის დროს გადმოცემული მასალა უფრო მეტად აღწერითი იყო და არ იგრძნობოდა ლოგიკური კავშირი საკითხებს შორის.</td></tr>
<tr><td colspan="2">მასწავლებლის კომენტარი</td></tr>
<tr><td colspan="2">შენ სწორად გაიგე დავალების პირობა. პარაგრაფში მოცემული მასალაც წაგიკითხავს და დავალებასთან დაგიკავშირებია, თუმცა შემდეგში, დავალებაში ხაზგასმით გამოკვეთე დასამუშავებელი კრიტერიუმები. მაგ., გამოხატე შენი პოზიცია წყაროების სანდოობასთან დაკავშირებით და იმსჯელე, რამდენად მართებულია არქეოლოგიური თუ სხვა ტიპის წყაროების გამოყენება პირველყოფილი ადამიანის ცხოვრების შესწავლის პროცესში. ასევე ყურადღება მიაქციე ეპოქების საერთო და განმასხვავებელ ნიშან-თვისებებს, რომელთა მიხედვითაც შეგიძლია, გააანალიზო პირველყოფილი ადამიანის ცხოვრება და საქმიანობა.</td></tr>
</table>

<table>
<tr><td rowspan="4">უნისტრუქტურული დონე
მოსწავლეს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/ წარმოდგენა აქვს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.</td><td colspan="2">ნაშრომის აღწერა</td></tr>
<tr><td>მოსწავლემ გაიგო დავალების არსი, შექმნა „კომიქსი“, თუმცა მასში ზედაპირულადაა წარმოდგენილი ეპოქის მახასიათებლები. ნაშრომი მეტწილად აღწერითია, ინფორმაცია ზედაპირულადაა გადმოცემული. მაგ., „პირველყოფილი ადამიანები ვერ წერდნენ“, „პირველყოფილი ადამიანის შესახებ ინფორმაციის მიღება არქეოლოგიის საშუალებით შეგვიძლია“. ნაშრომში არ გამოკვეთილა შესასწავლი საკითხის მიმართ სხვა მნიშვნელოვანი ასოციაცია.</td><td>მოსწავლემ გაიგო დავალების არსი, შექმნა „კომიქსი“, თუმცა მასში ზედაპირულადაა წარმოდგენილი ეპოქის მახასიათებლები. ნაშრომი მეტწილად აღწერითია, ინფორმაცია ზედაპირულადაა გადმოცემული. მაგ., „პირველყოფილი ადამიანების ცხოვრებას დამწერლობის გაჩენამდე ვუწოდებთ პრეისტორიულ ეპოქას“. ნაშრომში არ გამოკვეთილა შესასწავლი საკითხის მიმართ სხვა მნიშვნელოვანი ასოციაცია.</td></tr>
<tr><td colspan="2">მასწავლებლის კომენტარი</td></tr>
<tr><td colspan="2">შენ ძალიან სწორად გაიგე დავალების პირობა, მაგრამ ჩანს, რომ არ გაქვს წაკითხული სასწავლო მასალა. გთხოვ, შემდეგში ყურადღებით წაიკითხო და დააკონკრეტო წყაროების ის კატეგორიები, რომლებიც პირველყოფილი ადამიანის ცხოვრების შესწავლის პროცესში გვეხმარება. ასევე ყურადღება მიაქციე, რომ პირველყოფილი ადამიანის ისტორია დაყოფილია პერიოდებად და ყველა პერიოდს მნიშვნელოვანი მახასიათებლები აქვს. ისინი გვეხმარება, განვსაზღვროთ ისტორიული ეპოქა.</td></tr>
<tr><td rowspan="3">პრესტრუქტურული დონე
მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.</td><td colspan="2">ნაშრომის აღწერა</td></tr>
<tr><td colspan="2">მოსწავლე სწორად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს/ კომპლექსური დავალების პირობას. შესრულებული დავალება არ შეესაბამება დოკუმენტის სტრუქტურას, ნაშრომში მოცემული ინფორმაცია აცდენილია პირობაში მოცემულ საკითხს.</td></tr>
<tr><td colspan="2">მასწავლებლის კომენტარი</td></tr>
<tr><td colspan="2">გაიხსენე, რა გსმენია პირველყოფილ ადამიანზე. მოიძიე დამატებითი ინფორმაცია, ან დაფიქრდი, საიდან შეიძლება გაიგო უფრო მეტი პირველყოფილი ადამიანის შესახებ. გაიხსენე შემთხვევა, როდესაც ერთსა და იმავე ამბავს ორი ადამიანი სხვადასხვაგვარად ჰყვება, ეს დაუკავშირე პრეისტორიული ეპოქის შესახებ მოწოდებულ ინფორმაციას და იმსჯელე მათ მართებულობაზე. დაფიქრდი, განსხვავდება თუ არა ერთმანთისგან განვლილი წლები და როგორ ვითარდება ადამიანი დროის ცვლილებასთან ერთად.</td></tr>
</table>

მეოთხე კომპლექსური დავალება **მოხსენების მომზადება აქემენიანთა სპარსეთის დაპყრობების შესახებ**		
სოლოტაქსონომიის დონეები	**სამიზნე ცნება**	**სამიზნე ცნება**
	სივრცე	**ისტორიული მოვლენა/პროცესი**
	სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენა	**სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენა**
	მოსწავლემ უნდა შეძლოს: • დაახასიათოს კონკრეტული ისტორიულ-გეოგრაფიული არეალის მნიშვნელობა; ფაქტორები, რომლებიც კონკრეტული არეალის მნიშვნელობას განაპირობებს; • გააანალიზოს შესწავლის ობიექტად შერჩეულ ეპოქაში არსებული გეოგრაფიული ცოდნა.	**მოსწავლემ უნდა შეძლოს:** • გააანალიზოს შესწავლის ობიექტად შერჩეული ისტორიული მოვლენის მიზეზები, შედეგები და მნიშვნელობა; • იმსჯელოს მიზეზებზე, რომლებიც შესაძლოა შესწავლის ობიექტად შერჩეული ისტორიული მოვლენის მიზეზების, შედეგებისა და მნიშვნელობის სხვადასხვაგვარ შეფასებას განაპირობებდეს; • გამოკვეთოს შესწავლის ობიექტად შერჩეული ისტორიული მოვლენის/პროცესის არსობრივი მახასიათებლები; შეადაროს ისინი სხვა მსგავს ისტორიულ მოვლენებს.
აბსტრაქტული დონე მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი/არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექ-სტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს პირად გამოცდილებას.	**ნაშრომის აღწერა**	
	მოსწავლის მიერ შექმნილ მოხსენებაში ჩანს, რომ მას სიღრმისეულად აქვს გააზრებული შესასწავლი საკითხი, შეუძლია მიზეზშედეგობრივი მსჯელობა საკითხზე. ნაშრომი ლოგიკურად არის განვითარებული, დასახელებული და შეფასებულია ისტორიული ფაქტები, მოვლენები, ისტორიული პირების გადაწყვეტილებები. მოსწავლე აღნიშნავს საკუთარ პოზიციას და, ამავდროულად, იყენებს სწორ ტერმინოლოგიას, არ არღვევს ქრონოლოგიურ ჩარჩოს. ნაშრომში შესასწავლი მასალა განზოგადებულია და დაკავშირებულია მსგავს ისტორიულ პროცესებთან, რომლებსაც მოსწავლე იყენებს საკუთარი პოზიციის არგუმენტირებისთვის. ნაშრომში მუშავდება ყველა კრიტერიუმი, ამასთან ერთად, მოსწავლე სხვა ცნებებთან მიმართებითაც განიხილავს საკითხს, გამოყოფს ძალაუფლების ფორმებს შიდა პოლიტიკური კუთხით; ნაშრომი შეეხება აქემენიანთა გეოგრაფიულ სივრცეში არსებულ საზოგადოებრივ ფენებს და მათ უფლებრივ მდგომარეობასაც.	

მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.	მოსწავლის მიერ შექმნილ მოხსენებაში ჩანს, რომ მოსწავლეს შეუძლია, დაასახელოს გეოგრაფიული რეგიონები და, ამასთან ერთად, ამ რეგიონებში მცხოვრები ისტორიული ერები; მოსწავლე განასხვავებს რეგიონებს ერთმანეთისგან და განიხილავს გეოგრაფიული სივრცის ეკონომიკურ და სტრატეგიულ მნიშვნელობას, თუმცა უჭირს, განსაზღვროს, რა მნიშვნელობა ჰქონდა დაპირისპირებული მხარეებისთვის ახლო და შუა აღმოსავლეთის ფლობას. ნაშრომში არ ჩანს, როგორ შეიძლება გამოიყენოს სახელმწიფომ ომის დროს გეოგრაფიული გარემო. ამასთან ერთად, ნაკლები ყურადღება ეთმობა გეოგრაფიული სივრცის მნიშვნელობას სოციალურ-კულტურული ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესში.	მოსწავლის მიერ შექმნილ მოხსენებაში ჩანს, რომ მას სიღრმისეულად აქვს გააზრებული შესასწავლი საკითხი, შეუძლია მიზეზშედეგობრივი მსჯელობა საკითხზე. ნაშრომში ლოგიკურად არის განვითარებული, დასახელებული და შეფასებულია ისტორიული ფაქტები, მოვლენები, ისტორიული პირების გადაწყვეტილებები. მოსწავლე აღნიშნავს საკუთარ პოზიციას და, ამავდროულად, იყენებს სწორ ტერმინოლოგიას, არ არღვევს ქრონოლოგიურ ჩარჩოს, თუმცა ნაშრომში შესასწავლი მასალა განზოგადებული არ არის. მოსწავლე ცნებასთან მიმართებით მხოლოდ კონკრეტული ეპოქით შემოიფარგლება და ნაკლებად ეხება მისთვის ნაცნობ მსგავს ისტორიულ პროცესს, მაგ., შუამდინარეთში არსებულ დაპირისპირებებს.
მულტისტრუქ-ტურული დონე მოსწავლეს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/ წარმოდგენა აქვს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	მოსწავლის მიერ შექმნილ მოხსენებაში ჩანს, რომ მოსწავლეს შეუძლია, დაასახელოს გეოგრაფიული რეგიონები და, ამასთან ერთად, ამ რეგიონებში მცხოვრები ისტორიული ერები. მოსწავლე განასხვავებს რეგიონებს ერთმანეთისგან და განიხილავს გეოგრაფიული სივრცის ეკონომიკურ და სტრატეგიულ მნიშვნელობას, თუმცა უჭირს, განსაზღვროს, რა მნიშვნელობა ჰქონდა დაპირისპირებული მხარეებისთვის ახლო და შუა აღმოსავლეთის ფლობას. ნაშრომში არ ჩანს, როგორ შეიძლება გამოიყენოს სახელმწიფომ ომის დროს გეოგრაფიული გარემო. ამასთან ერთად, ნაკლები ყურადღება ეთმობა გეოგრაფიული სივრცის მნიშვნელობას სოციალურ-კულტურული ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესში.	მოსწავლის მიერ შექმნილ მოხსენებაში ჩანს, რომ მოსწავლეს შეუძლია, დაასახელოს ისტორიული ფაქტები და ისტორიული პირები, დაცულია ქრონოლოგიური ჩარჩო. ნაშრომში გამოიკვეთა, რომ მოსწავლე ახასიათებს დაპირისპირებული მხარეების ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ მდგომარეობას, თუმცა აღნიშნულის ერთმანეთთან დაკავშირება უჭირს და ვერ გამოკვეთს, რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს შიდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას საგარეო პოლიტიკის წარმართვის დროს. ნაშრომი შედარებით აღწერითია და ნაკლებად გვხდება მსჯელობა, ნაშრომში არაა შეფასებული ისტორიული შედეგი, რომელიც მოჰყვა კონკრეტულ პროცესს.

უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს მხოლოდ ერთი არასტრუქ-ტურირებული ასოციაცია/ წარმოდგენა აქვს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	მოსწავლის მიერ შექმნილ მოხსენებაში ჩანს, რომ მას შეუძლია, დაასახელოს გეოგრაფიული სივრცე, რომელშიც ვითარდება ისტორიული პროცესი. ამასთან ერთად, ნაშრომში გამოიკვეთა, რომ მოსწავლეს შეუძლია, ერთმანეთისგან განასხვაოს რეგიონები, თუმცა არ ჩანს, რა სტრატეგიული, პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს შუა და ახლო აღმოსავლეთს. ნაშრომში ნაკლებად ჩანს, რა მნიშვნელობა ენიჭება გეოგრაფიულ გარემოს ერთიანი სოციალურ-კულტურული სივრცის ჩამოყალიბების პროცესში.	მოსწავლის მიერ შექმნილ მოხსენებაში ჩანს, რომ მოსწავლეს შეუძლია, დაასახელოს გარკვეული ისტორიული ფაქტები და ისტორიული პირები. ამასთან ერთად, გამოიკვეთა, რომ მოსწავლეს შეუძლია ისტორიული პირების სწორად მიკუთვნება გარკვეულ ისტორიულ მოვლენებთან, თუმცა ნაშრომში ნაკლებად მახვილდება ყურადღება ცნების ყველა მკვიდრ წარმოდგენაზე, ნაშრომი აღწერითია და არ შეიცავს მსჯელობას. ფაქტების დასახელების პროცესში დარღვეულია ქრონოლოგიური ჩარჩო. გარკვეულწილად დარღვეულია სტრუქტურაც.
პრესტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	მოსწავლე სწორად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს/ კომპლექსური დავალების პირობას. შესრულებული დავალება არ შეე-საბამება დოკუმენტის სტრუქტურას, ნაშრომში მოცემული ინფორმაცია აცდენილია პირობაში მოცემულ საკითხს.	

მეხუთე კომპლექსური დავალება **მოხსენების დაწერა ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებში მმართველობის ფორმების აღსაწერად**		
სოლოტაქსონომიის დონეები	**სამიზნე ცნება**	**სამიზნე ცნება**
	ძალაუფლება	**საზოგადოება**
	სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენა	**სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენა**
	მოსწავლემ უნდა შეძლოს: • დაახასიათოს შესწავლის ობიექტად შერჩეული ეპოქის ძალაუფლების სიმბოლოები, მმართველობის ფორმები და სტრუქტურები; შეადაროს ისინი სხვა ისტორიულ პერიოდებს; • გააანალიზოს შესწავლის ობიექტად შერჩეულ ეპოქაში ძალაუფლებისთვის ბრძოლის თავისებურებები; • გააანალიზოს ვინ/რა განიხილება შესწავლის ობიექტად შერჩეულ ეპოქაში ძალაუფლების წყაროდ; რა იყო ლეგიტიმაციის საფუძველი.	**მოსწავლემ უნდა შეძლოს:** • დაახასიათოს შესწავლის ობიექტად შერჩეული საზოგადოებრივი ჯგუფების იდენტობის საშუალებები; გამოკვეთოს ჯგუფის წევრების საერთო ინტრესი და საზრუნავი; • გააანალიზოს, რომელი სოციალური ფენებისგან შედგებოდა შესწავლის ობიქტად შერჩეული საზოგადოება; • გააანალიზოს, როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ შესწავლის ობიექტად შერჩეული საზოგადოების წევრებს სხვა საზოგადოებრივი ჯგუფებისადმი.

<table>
<tr><td rowspan="2">აბსტრაქტული დონე
მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი/არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექ-სტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს პირად გამოცდილებას.</td><td colspan="2">ნაშრომის აღწერა</td></tr>
<tr><td colspan="2">მოსწავლის მიერ შექმნილ მოხსენებაში ჩანს, რომ მას სიღრმისეულად აქვს გააზრებული შესასწავლი საკითხი, შეუძლია მიზეზშედეგობრივი მსჯელობა საკითხზე. ნაშრომი ლოგიკურად არის განვითარებული, დასახელებული და შეფასებულია ისტორიული ფაქტები, მოვლენები, ისტორიული პირების გადაწყვეტილებები. მოსწავლე აღნიშნავს საკუთარ პოზიციას და, ამავდროულად, იყენებს სწორ ტერმინოლოგიას, არ არღვევს ქრონოლოგიურ ჩარჩოს. ნაშრომში შესასწავლი მასალა განზოგადებულია და დაკავშირებულია მსგავს ისტორიულ პროცესებთან, რომლებსაც მოსწავლე იყენებს საკუთარი პოზიციის არგუმენტირებისთვის. ნაშრომში მუშავდება ყველა კრიტერიუმი და, ამასთან ერთად, მოსწავლე სხვა ცნებებთან მიმართებითაც განიხილავს საკითხს.</td></tr>
<tr><td>მიმართებითი დონე
მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.</td><td>მოსწავლის მიერ შექმნილ მოხსენებაში ჩანს, რომ მოსწავლეს შეუძლია, დაასახელოს და იმსჯელოს მმართველობის ფორმებზე ბერძნულ პოლისებში. მოსწავლის ნაშრომში ახსნილია მმართველობის ფორმების არსი და სტრუქტურა. მოხსენებაში მოსწავლე საკითხს განიხილავს მიზეზშედეგობრივი მიმართებებით, თუმცა შესასწავლი საკითხი არ არის განზოგადებული. მაგ., პოლისებში არსებულ მმართველობის ფორმებსა და პოლიტიკურ წყობას მოსწავლე არ ადარებს აქემენიანთა იმპერიაში არსებულ პოლიტიკურ წყობასა და მმართველობის ფორმებს.</td><td>მოსწავლის მიერ შექმნილ მოხსენებაში ჩანს, რომ მოსწავლეს შეუძლია, დაასახელოს და იმსჯელოს საზოგადოებრივ ფენებზე, რომლებიც წარმოადგენენ ბერძნულ პოლისებს. მოსწავლის ნაშრომში ახსნილია საზოგადოებრივი ფენების უფლებრივი და მოვალეობითი მდგომარეობა; მიზეზშედეგობრივ კავშირებზე დაყრდნობით ნაშრომში წარმოდგენილია, როგორ და რატომ იბრძვიან პოლიტიკური უფლებების მოსაპოვებლად პოლისის მცხოვრებლები, თუმცა ნაშრომში ნაკლებად ჩანს საკითხზე განზოგადებული მსჯელობა. მაგ., მოსწავლე არ ადარებს ბერძნულ საზოგადოებას სპარსულ საზოგადოებას, ეს კი ცნება „საზოგადოების“ ერთ-ერთ კრიტერიუმად იყო დავალებაში წარმოდგენილი.</td></tr>
</table>

მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/ წარმოდგენა აქვს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	მოსწავლის მიერ შექმნილ მოხსენებაში ჩანს, რომ მოსწავლეს შეუძლია, დაასახელოს მმართველობის ფორმები, რომლებიც წარმოდგენილია ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებში. ნაშრომში გამოვლინდა, რომ მოსწავლე ფლობს ინფორმაციას სხვადასხვა პოლისში არსებულ მმართველობის სხვადასხვა ფორმაზე, თუმცა ნაშრომში არ ჩანს მოსწავლის მსჯელობა და მისეული შეფასებები. მოხსენება უფრო მეტად აღწერითია და ნაკლებად არის ახსნილი, რატომ ირჩევდა ესა თუ ის პოლისი მმართველობის კონკრეტულ ფორმას და როგორ განაპირობებდა მმართველობის ფორმა პოლისის შემდგომ განვითარებას.	მოსწავლის მიერ შექმნილ მოხსენებაში ჩანს, რომ მოსწავლეს შეუძლია, დაასახელოს ბერძნული პოლისები და მათი საზოგადოებრივი სტრუქტურები. მოხსენებაში გამოკვეთილია სოციალური იერარქია და სხვადასხვა სოციალური ფენის უფლებრივი და მოვალეობითი მდგომარეობა. თუმცა ნაშრომში ნაკლებად გვხვდება მიზეზშედეგობრივი მსჯელობის მაგალითები, არ ჩანს, რატომ ხდებოდა მმართველობითი სისტემის რეფორმირება და რა გავლენას ახდენდა ეს პოლისში მცხოვრებ საზოგადოებაზე. ნაშრომი უფრო მეტად აღწერითია და პოზიციის გასამყარებლად არაა გამოკვეთილი არგუმენტირებული მსჯელობა.
უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს მხოლოდ ერთი არასტრუქ-ტურირებული ასოციაცია/ წარმოდგენა აქვს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	მოსწავლის მიერ შექმნილ მოხსენებაში ჩანს, რომ მას შეუძლია, დაასახელოს კონკრეტული პოლისი და მისი მმართველობის ფორმა. თუმცა ნაშრომი ზედაპირულია, არ შეიცავს მსჯელობის ელემენტებს და შესასწავლი საკითხის მიმართ მხოლოდ ერთი ასოციაციაა წარმოდგენილი. მაგ.: „ათენში მმართველობის ფორმა დემოკრატიაა, დემოკრატია ეს ხალხის მმართველობაა“.	მოსწავლის მიერ შექმნილ მოხსენებაში ჩანს, რომ მას შეუძლია, დაასახელოს კონკრეტული პოლისი და მისი საზოგადოებრივი სტრუქტურა, თუმცა ნაშრომი ზედაპირულია, არ შეიცავს მსჯელობის ელემენტებს და შესასწავლი საკითხის მიმართ მხოლოდ ერთი ასოციაციაა წარმოდგენილი. მაგ.: „სპარტაში ცხოვრობდნენ სპარტიატები, პერიკები და ჰილოტები“.
პრესტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	მოსწავლე სწორად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს/ კომპლექსური დავალების პირობას. შესრულებული დავალება არ შეე-საბამება დოკუმენტის სტრუქტურას, ნაშრომში მოცემული ინფორმაცია აცდენილია პირობაში მოცემულ საკითხს.	

განმსაზღვრელი შეფასება

ქვემოთ წარმოდგენელია შეფასების რუბრიკა, რომელიც წარმოაჩენს, რა ნიუანსები უნდა შეფასდეს ნიშნით სწავლა-სწავლების პროცესში.

კომიქსის შექმნა პრეისტორიული ეპოქის შესახებ

ზოგადი კრიტერიუმები (ზოგადი)	**შეფასების კრიტერიუმები (კონკრეტული)**	**ქულა**	**კომენტარი**
მოსწავლე აქტიურადაა ჩართული სასწავლო პროცესში	მოსწავლემ სწორად გაიგო დავალების პირობა	1	
მოსწავლე ამჟღავნებს ფაქტობრივი მასალის ცოდნას; პროცედურული ცოდნის გამოყენებით განაზოგადებს სამიზნე ცნებასთან დაკავშირებულ მოსაზრებებს.	საგნობრივი საკითხი/საკითხები	1	
მოსწავლეს შეუძლია განაზოგადოს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმის სახით ჩამოყალიბებული მოსაზრებები.	რა ტიპის წყაროებიდან შეგვიძლია, მივიღოთ ინფორმაცია პრეისტორიული ეპოქის შესახებ? (მკ: წ 1 და 2: წყარო)	2	
	რამდენად სანდოა პრეისტორიული ეპოქის შესწავლის პროცესში გამოყენებული წყაროები და რატომ იწვევს ეს წყაროები მკვლევართა განსხვავებულ ინტერპრეტაციებს? (მკ: წ 3 და 4 წყარო)	2	
	რა პერიოდს მოიცავს პრეისტორიული ეპოქა და როგორ აღრიცხავდნენ პირველყოფილი ადამიანები დროს? (მკ.წ: 2 და 3: დრო)	2	
	როგორ შეიცვალა პირველყოფილი ადამიანის ყოფა კომპლექსური საზოგადოების შექმნის შემდეგ? (მკ: წ 1: დრო)	2	

მასწავლებლის წიგნის მიმოხილვა
და მისი გამოყენების წესი

მასწავლებლის წიგნი შეიცავს მოსწავლის სახელმძღვანელოს მიზნებს, სტანდარტის შედეგებთან თითოეული ქვეთავის/პარაგრაფის შესაბამისობას, იმ მეთოდოლოგიას, რომელიც გამოყენებულია სახელმძღვანელოს ავტორების მიერ, ასევე, ზოგიერთი მეთოდის განმარტებას. წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა სახე და ტიპი, მათი რუბრიკები. ჩვენი სახელმძღვანელო გაძლევთ საშუალებას, რომ სხვადასხვა მეთოდი გამოიყენოთ გაკვეთილის დაგეგმვისა და ჩატარების დროს. მასწავლებლის წიგნში ასევე მოცემულია იმ სარეკომენდაციო რესურსებისა და ლიტერატურის სია, რომელიც შეიძლება გამოიყენოთ.

მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომების
სპეციფიკა საგნის სწავლების პროცესში

კონკრეტული ქვეთავები/გაკვეთილები წარმოდგენილია ზემოთ, მიზნების, შედეგების, ინდიკატორებისა და მკვიდრი წარმოდგენების მატრიცაში, რომელიც ეფუძნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №1248-ში (09. 10. 2019) წარმოდგენილ შინაარსობრივ კრიტერიუმებს. შემდგომ ქვეთავებში მხოლოდ თეორიული საკითხებია გადმოცემული. ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ამ საკითხების მასწავლებლის წიგნში შეტანა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ დამწყები მასწავლებლისთვის, არამედ გამოცდილისთვისაც. არ გვაქვს პრეტენზია, რომ ამ საკითხებს სრულყოფილად განვიხილავთ. ამიტომ წიგნის ბოლოს მითითებულია სპეციალური ლიტერატურა, სადაც შეგიძლიათ დაწვრილებით გაეცნოთ ბევრ საკითხს. რაც შეეხება კონკრეტულ მაგალითებს, უფრო ქვემოთ ზოგიერთ თეორიულ მასალასთან ერთად განვიხილავთ.

ზოგადი განათლების სწავლა-სწავლების მიზნებია, მოსწავლეს განუვითაროს/ჩამოუყალიბოს: კულტურული მემკვიდრეობის დაფასებისა და მასზე ზრუნვის უნარი; თანამედროვე რეალობის სივრცულ-დროით ჭრილში გააზრებისა და ინტერპრეტირების უნარი; ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების გააზრებისა და დაფასების უნარი; საკუთარი და განსხვავებული კულტურის წარმომადგენლებთან/ჯგუფებთან წარმატებული კომუნიკაციის უნარი; ინფორმაციის სხვადასხვა სიმბოლური ნიშნით გამოხატვის უნარი; კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და კვლევის უნარები; ლოგიკური აზროვნებისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი; სამყაროს ესთეტიკური აღქმის უნარი; საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების საფუძველზე არჩევანის გაკეთების უნარი; დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღებისა და იდეების ქმედებაში განხორციელების უნარი; პროფესიული არჩევანის გაკეთებისა და კარიერის დაგეგმვის უნარი; გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრის უნარი რისკების გაცნობიერებით; ახალ სიტუაციებთან, ცვლად მოთხოვნებთან ადაპტირების უნარი; საზოგადოე-

ბაში თვითდამკვიდრების უნარი; საკუთარ სოციალურ აქტივობაზე პასუხისმგებლობის გააზრების, ასევე, სხვათა ქმედების გაგებისა და გათვალისწინების უნარი; ეთიკური ნორმების დაცვის უნარი; კონფლიქტების არაძალადობრივი მეთოდებით მართვის უნარი; სწავლის სტრატეგიების ადეკვატურად შერჩევისა და მათი ეფექტიანად გამოყენების უნარი; თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ინფორმაციის მოძიების, დამუშავების, შენახვის, გაზიარებისა და გაანალიზების უნარი. თუმცა ეს უნარები მოსწავლეს უვითარდება სწავლების ყველა საფეხურის გავლის შემდეგ, მაგ., საკუთარი კარიერის დაგეგმვის უნარი უფრო საშუალო საფეხურზე უვითარდება და არამც და არამც დაწყებით კლასებში. ამასთანავე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ამ ასაკის მოსწავლე ახალი გადმოსულია დაწყებითი საფეხურიდან. ვიცით, რომ დაწყებითი საფეხურის მისიაა: ა) საგანთა თანამიმდევრული სწავლა-სწავლების გზით მოსწავლის გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა; ბ) საბაზისო უნარების – წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა; გ) სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, ცნობისმოყვარეობის ცოდნისმოყვარეობაში გადაზრდა და მოსწავლის მომზადება საშუალო საფეხურისთვის. ამიტომ ჩვენს სახელმძღვანელოში გათვალისწინებულია X კლასის მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებები. საშუალო საფეხურის მისიაა საგანთა სწავლა-სწავლების საფუძველზე მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირება, მოსწავლის ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენა, მოსწავლის დამოუკიდებელი სწავლის უნარისა და შრომისუნარიანობის განვითარება, აქტიური მოქალაქის ფორმირების ხელშეწყობა და საფუძვლების შექმნა განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელებისთვის ან შრომითი საქმიანობისთვის. საგნის სწავლა-სწავლებისას მოსწავლე ჩართული იქნება აქტივობებში, რომლებიც მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას მისცემს და შემდგომში მომზადებული იქნება გამოწვევებისათვის. ეს გამოწვევები კი შემდეგში მდგომარეობს: მოსწავლემ უნდა შეძლოს ა) საგანთა გაღრმავებული სწავლების გზით სისტემური ცოდნის კონსტრუირება; ბ) მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, საკუთარი მიღწევების გამოყენება ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად.

მეთოდიკური ორიენტირები

ჩვენი სახელმძღვანელო ეფუძნება ესგ-ს მიერ გაცხადებულ შემდეგ ცნებებს: 1. ყველა მოსწავლე უნიკალური და განსხვავებულია თავისი ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, ნიჭით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებითა და სწავლის სტილით, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს სწავლა-სწავლების დროს. 2. სწავლა უნდა მიმდინარეობდეს პოზიტიურ და მოწესრიგებულ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, სადაც მოსწავლე დაფასებულია, აღიარებულია და პასუხისმგებელია საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე. 3. სწავლა ცოდნის აგების პროცესია, რომელშიც მოსწავლე აქტიურად არის ჩართული და რომელიც ეფუძნება მოსწავლის ცოდნას, გამოცდილებასა და შეხედულებებს. ამ სახელმძღვანელოს მეთოდიკური ორიენტირები ასეთია: ა) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა მოტივირებასა და შინაგანი ძალების გააქტიურებას; ბ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; გ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებას; დ) სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლას); ე) სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს. დეკლარატიული ცოდნა გულისხმობს თეორიების, წესების, ფაქტების, კანონებისა და პრინციპების თეორიულ ცოდნას. ის პასუხობს კითხვას: რა ვიცი? პროცედურული გულისხმობს ქმედებათა თანამიმდევრობის ცოდნას და იძლევა ცოდნის რეალიზების საშუალებას ოპერაციების/პროცედურების დონეზე. ის პასუხობს კითხვებს: როგორ გავაკეთო/როგორ შევასრულო? პირობისეული ცოდნა დეკლარატიული და პროცედურული ცოდნის გამოყენების პირობების გააზრებაა. ის გულისხმობს მოვლენების ან სიტუაციის არსებითი ასპექტების გააზრების, კატეგორიზაციის უნარს, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოსწავლეს დაეხმარება ჩვენი საგნის, ისტორიის ცოდნის სხვა ასპექტში გადატანაში, ანუ ტრანსფერში. ის პასუხობს კითხვებს: რატომ? რა შემთხვევაში? დისციპლინის წვდომისათვის სასწავლო პროცესში აქცენტი, პირველ რიგში, უნდა კეთდებოდეს ისტორიული მოვლენის ანალიზზე, წარსულში მომხდარი ფაქტის დღევანდელობასთან დაკავშირებასა და თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკური პროცესების განვითარების პერსპექტივების განსაზღვრაზე. საგნობრივი შედეგების გარდა, ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებიდან სწავლა-სწავლებისა და შეფასების სამიზნედ ასევე უნდა იქცეს შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები:

პრობლემების გადაჭრა	პრობლემის ამოცნობა, აღწერა და გაანალიზება; პრობლემის გადაჭრის გზების ძიება, მათგან ყველაზე ეფექტიანის შერჩევა.
შემოქმედებითი აზროვნება	ჩანაფიქრის შემოქმედებითად განხორციელება; ორიგინალური იდეების გამოვლენა და ხორცშესხმა; ახლის შექმნა; წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად არასტანდარტული გზების მოძებნა; სწრაფვა გარემოს გარდაქმნა-გაუმჯობესებისკენ; გამოწვევების მიღება, სასკოლო საქმიანობაში გაბედული ნაბიჯების გადადგმა.
თანამშრომლობა	სამუშაოს თანასწორად განაწილება და შესრულება ჯგუფური/გუნდური მუშაობის დროს; მზაობა ჯგუფში/გუნდში სხვადასხვა ფუნქციის შესრულებისთვის (მაგ., ლიდერის); განსხვავებული იდეების, შეხედულებების კონსტრუქციულად განხილვა; რესურსების, მოსაზრებების, ცოდნის გაზიარება პრობლემათა ერთობლივად გადაჭრის, გადაწყვეტილებათა ერთობლივად მიღების მიზნით.
კომუნიკაცია	განცდილის, ნააზრევის მიტანა მსმენელამდე/მკითხველამდე, მათზე შთაბეჭდილების მოხდენა; ინფორმაციის გაზიარება საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი ვერბალური და არავერბალური საშუალებების გამოყენებით; სხვისი მოსმენისა და გაგების უნარი; პიროვნული ღირსების გააზრებისა და დაფასების უნარი.
ეთიკა	ეთიკური და ქცევითი ნორმების დაცვა; სოლიდარობის განცდა; სხვებისადმი ემპათია; პიროვნული ღირსების გააზრებისა და დაფასების უნარი; განსხვავებულობის მიმღებლობა; საკუთარ სოციალურ აქტივობაზე პასუხისმგებლობის გააზრება.
მეწარმეობა, ინიციატივების გამოვლენა და საქმედ ქცევა	სწავლა-სწავლების პროცესში ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის გამოვლენა; ახალი იდეების, მიდგომების, შესაძლებლობების ძიება და მათი განხორციელება სწავლის გაუმჯობესების მიზნით; მზაობა გამოწვევების მისაღებად, გაბედული ნაბიჯების გადასადგმელად.
სწავლის სწავლა, დამოუკიდებლად საქმიანობა	აქტივობის/დავალების ღირებულების განსაზღვრა – მოსწავლემ უნდა დაინახოს, რას შესძენს აქტივობის შესრულება, რა პიროვნულ თუ სოციალურ სარგებელს მოუტანს მას; აქტივობის/დავალების დაგეგმვა – (მოთხოვნათა გააზრება და მის შესასრულებლად საჭირო ცოდნის განსაზღვრა; დავალების/აქტივობის მთავარი მიზნის განსაზღვრა; სამუშაოს წარმატებით შესრულების კრიტერიუმების დადგენა; განსახორციელებელი სამუშაოს ეტაპების გამოკვეთა; იმის განჭვრეტა, თუ რა გაუადვილდება, რა გაუძნელდება, რაში დასჭირდება დახმარება; სტრატეგიების მიზანშეწონილად შერჩევა სამუშაოს თითოეული ეტაპისათვის; სწავლის პროცესის მონიტორინგი – დაფიქრება სწავლის პროცესზე, იმ პირობებისა და ფაქტორების ამოცნობა, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს წინსვლას, სათანადო ზომების მიღება წინსვლის ხელშესაწყობად; თვითშეფასება ძლიერი და სუსტი მხარების დასადგენად, სუსტი მხარეების გასაძლიერებლად გზების დასახვა; სოციოემოციური მართვა – ნერვიულობის მინიმუმამდე დაყვანა, საჭიროებისამებრ, დახმარების თხოვნა, საკუთარ თავში სიძნელეთა გადალახვის რესურსების პოვნა; შეცდომების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება და წინსვლის წყაროდ გამოყენება; ცალკეული საქმიანობისთვის გამოყოფილი დროის ეფექტიანად გამოყენება.

პასუხისმგებლობა	სასკოლო საქმიანობებში (სასკოლო ცხოვრებაში) ნაკისრი ვალდებულების შესრულება; სამუშაოს დადგენილ ვადებში დასრულება და ჩაბარება; საკუთარი ქცევის მართვა, საკუთარ ქცევებზე, სოციალურ აქტივობებზე პასუხისმგებლობის აღება.
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება	საძიებო სისტემაში (მაგ.: ებსკო, ელსევიარი) პერიოდიკის მოძიება; Google Map-ში ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებული ონლაინრუკების შექმნა და მათი ინტერნეტის საშუალებით გავრცელება. საძიებო სისტემაში (მაგ.: გუგლი) სხვადასხვა ტიპის (მაგ.: ინტერაქტიული და ა. შ.) თემატური ელექტრონული რუკების მოძიება; ისტორიული შინაარსის ელექტრონული ტექსტების (მაგ., ვიკიტექსტების) შექმნა და ატვირთვა; სპეციფიკური შინაარსის დიაგრამებთან და გრაფიკებთან მუშაობა (მაგ.: ტერიტორიული, დემოგრაფიული, საზოგადოებრივი განწყობების ზრდა-კლების და ა. შ.) ექსელის საშუალებით. ვებგვერდის/ბლოგის შექმნა და სასწავლო პროცესის განმავლობაში განხორციელებული სხვადასხვა პროექტის ვებგვერდზე/ ბლოგზე განთავსება; ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება (მაგ., Word, Power Point) სასწავლო მასალისა და სხვადასხვა ტიპის ელექტრონული ტექსტების დასამუშავებლად.
წიგნიერება	ზეპირი და წერითი მეტყველების გზით ინფორმაციის მიღების, დამუშავების, გააზრების, სისტემაში მოყვანისა და წარდგენა-გაზიარების უნარი.

ამავე დროს, გათვალისწინებულია, რომ ყველა მოსწავლე უნიკალურია თავისი ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, შესაძლებლობებით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებითა და სწავლის სტილით, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს სწავლა-სწავლების დროს. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეა მოსწავლე (შემდგომში – სსსმ მოსწავლე), რომელსაც, თანატოლებთან შედარებით, აქვს სიძნელე სწავლაში და რომლისთვისაც საჭიროა ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირება ან/და სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია ან/და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და განხორციელება. ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირება ნიშნავს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების რაოდენობრივ და/ან თვისებრივ ცვლილებებს, რომლებიც შესაძლებელია, გულისხმობდეს სასწავლო მიზნების შემცირებას ან გაზრდას, გამარტივებას ან გართულებას. ჩვენს სახელმძღვანელოში გათვალისწინებულია ეს საკითხი. სახელმძღვანელოს დავალებები ამის საშუალებას იძლევა. მასწავლებლის წიგნში დაგეგმილ რამდენიმე გაკვეთილში გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეთა საჭიროებები და მოცემულია შესაბამისი დავალებები.

მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ძირითადი სტრატეგიები

სწავლის უნარების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია ზრუნვა მეტაკოგნიციის უნარების განვითარებაზე, რისთვისაც მასწავლებელმა პერიოდულად სამი ტიპის აქტივობა უნდა ჩაატაროს. ეს აქტივობებია:

სტრატეგიების მოდელირება: მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ასრულებს დავალებას და მისი შესრულებისას „ხმამაღლა ფიქრობს" იმაზე, თუ როგორ შეასრულოს ეს აქტივობა (მაგ., კარგად გავეცნოთ პირობას და დავაკვირდეთ, რას მოითხოვს იგი; აქვს თუ არა პირობას თანმხლები მასალა და მისთ). წინმსწრები მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულებამდე დაფიქრება და მსჯელობა გადასადგმელ ნაბიჯებზე – მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაეცნობიან დავალების პირობას, შევასრულებინებთ მეტაკოგნიტური ხასიათის ამგვარ აქტივობას: მათ ჯგუფურად უნდა განსაზღვრონ ის გზა, რომლითაც დავალებას შეასრულებენ, სახელდობრ: დეტალურად აღწერონ დავალების შესრულების ეტაპები (რას შეასრულებენ რის შემდეგ და სხვ.), ასევე სტრატეგიები, რომლებსაც თითოეულ ეტაპზე გამოიყენებენ. ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები და იმსჯელონ შერჩეული გზებისა თუ სტრატეგიების მიზანშეწონილობაზე. შემდგომი მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულების შემდეგ დაფიქრება და მსჯელობა გადადგმულ ნაბიჯებზე – მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეასრულებენ კონკრეტულ დავალებას, მათ უნდა გაიხსენონ და აღწერონ განვლილი გზა: რა გააკეთეს რის შემდეგ? რა ხერხები გამოიყენეს მუშაობისას? რა გაუჭირდათ ან რა გაუადვილდათ? შესრულებული მოქმედებების აღწერის შედეგად, მოსწავლეები გააცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ მიზნის მისაღწევად სხვადასხვა გზა და ხერხი არსებობს, რომლებზეც დავალების შესრულებამდე უნდა დაფიქრდნენ (ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად). მეტაკოგნიტური პაუზა მოსწავლეებს განუვითარებს სწავლის უნარებს და აუმაღლებს სწავლის ქმედუნარიანობას.

ნებისმიერი ინტერაქტიული გაკვეთილის ჩატარებისას, მნიშვნელოვანია, რა კითხვით სტრატეგიებს იყენებს მასწავლებელი. მოსწავლის სახელმძღვანელოში, რა თქმა უნდა, მრავალფეროვანი დავალებები და კითხვებია მოცემული; თუმცა მასწავლებელმა, კლასის საჭიროებებიდან გამომდინარე, სხვადასხვა სტრატეგია უნდა გამოიყენოს. აუცილებელია მრავალფეროვანი დავალებების მიცემა, რაც ბავშვს ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენის საშუალებას მისცემს. ახალი სტრატეგიები მოითხოვს ისეთ აქტივობებს, რომელთა დროსაც მოსწავლე აქტიურია, რაც კითხვებითა და დავალებებით მიიღწევა. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ მასწავლებელს, რომელიც ახალი მოთხოვნების შესაბამისად ასწავლის, უნდა ჰქონდეს რწმენა, რომ ყველა მოსწავლეს აქვს სწავლის უნარი; უნდა უზრუნველყოფდეს ცოდნის ხელმისაწვდომობას ყველა მოსწავლისთვის; ის უნდა აცნობიერებდეს და ითვალისწინებდეს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურობას, ნიჭს, შესაძლებლობებს და ამის მიხედვით უნდა წარმართოს საგაკვეთილო პროცესი. მასწავლებელი შემოქმედებითად უნდა მიუდგეს სწავლების პროცესს, აქტივობები ისე ააგოს, რომ მოსწავლეს მიეცეს შესაძლებლობა, გააკეთოს არჩევანი, იაზროვნოს და გააანალიზოს

საკითხი, გამოთქვას საკუთარი შეხედულებები. ეს ყველაფერი კი, როგორც აღვნიშნეთ, შეუძლებელია მრავალფეროვანი კითხვითი სტრატეგიების გამოყენების გარეშე. კითხვების დასმა საგაკვეთილო პროცესის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. მასწავლებელი კითხვების საშუალებით არკვევს, როგორ გაიგეს მოსწავლეებმა კონკრეტული გაკვეთილი? ხელმეორედაა საჭირო მისი ახსნა თუ არა? გაიაზრეს მათ ეს საკითხი თუ მხოლოდ მასალის გადმოცემა შეუძლიათ? რამდენად არიან მზად მოსწავლეები, გააანალიზონ, შეაფასონ კონკრეტული საკითხი, მოვლენა? კითხვები განსხვავდება შინაარსობრივი თვალსაზრისით – ისინი შეიძლება იყოს ინფორმაციული ან სააზროვნო. მაგალითად, ინფორმაციულია ასეთი ტიპის შეკითხვა: *რომელ ქვეყნებს შორის მიმდინარეობდა I პუნიკური ომი?* ამ შემთხვევაში შემოწმდება მოსწავლის ცოდნა. თუმცა თუ ამ კითხვას მოვაყოლებთ შემდეგ კითხვას: *რატომ დაიწყო I პუნიკური ომი?* – ხელს შევუწყობთ მოსწავლის მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. ამ კითხვას პასუხი რომ გასცეს, მოსწავლემ საკითხი კარგად, საფუძვლიანად უნდა იცოდეს და საკუთარი მოსაზრების გამოთქმის დროს შესაბამისი არგუმენტები წარმოადგინოს.

მრავალფეროვანი კითხვების დასმა აუცილებელია დიფერენცირებული სწავლების პროცესის დროსაც. ცნობილია, რომ დიფერენცირებული სწავლება გულისხმობს თითოეული დავალებისა და სავარჯიშოს შესატყვისობას მოსწავლეთა მოთხოვნილებებთან, მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით. გაკვეთილის დაგეგმვის პროცესში დიფერენცირების სტრატეგიები შეიძლება სხვადასხვა გზით გამოვლინდეს. მაგალითად, შესაძლებელია როგორც დავალების, ისე შედეგის მიხედვით დიფერენციაცია. თუ მასწავლებელი დავალების მიხედვით ახდენს დიფერენცირებას, ეს ნიშნავს, რომ სხვადასხვა ჯგუფს, მოსწავლეებს განსხვავებული სავარჯიშოები, დავალებები, კითხვები მიეცემათ, ანუ ეს დავალებები შესაძლებლობების მიხედვით განაწილდება; ამავე დროს, ყველა ერთი მიზნის, შედეგის მიღწევისკენ მიდის. ამ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია დავალებების მიცემის დროს კითხვების მრავალფეროვნება, რაც დიფერენცირებას შეუწყობს ხელს. თუ მასწავლებელი შედეგის მიხედვით ახდენს დიფერენცირებას, მაშინ მან, შესაძლოა, ყველა მოსწავლეს იდენტური დავალება, სავარჯიშო მისცეს, ხოლო გაკვეთილის მიზანი/მიზნები თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებიდან გამომდინარე უნდა განსაზღვროს. მისაღწევი შედეგები შეიძლება ასე განისაზღვროს: ყველა მოსწავლემ უნდა იცოდეს... ზოგიერთმა მოსწავლემ უნდა გააანალიზოს, იმსჯელოს... და ა. შ. ამ შემთხვევაშიც უმნიშვნელოვანესია ის კითხვები, რომლებსაც ყველა მოსწავლეს დავუსვამთ, შემდეგ კი – მხოლოდ ზოგიერთს. ქვემოთ კიდევ უფრო დაწვრილებით შევეხებით სხვადასხვა კითხვით სტრატეგიას, რაც საშუალებას მოგცემთ, ისინი გაკვეთილებზე გამოიყენოთ.

რეკომენდაციები სასწავლო-საგანმანათლებლო რესურსების შესახებ სწავლების მიზნის მიღწევის ეფექტიანობისათვის

მრავალფეროვანი რესურსების მოძიება-გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენს სახელმძღვანელოში გამოყენებულია სხვადასხვა ტიპის რესურსები: პირველადი და მეორეული წერილობითი წყაროები, რუკები, ფოტოები, მითითებულია ელრესურსები. ძალიან მნიშვნელოვანია, თქვენ რა ტიპის სასწავლო რესურსს იცნობთ ან იყენებთ პრაქტიკაში: ელექტრონულ რესურსებს, მატერიალურ თვალსაჩინოებებსა და პროფესიულ დამხმარე ლიტერატურას?! ამაზე იმიტომ ვაკეთებთ აქცენტს, რომ სახელმძღვანელოში გამოყენებული ან მასწავლებლის წიგნში მითითებული რესურსები (თვალსაჩინოებები, პროფესიული ლიტერატურა, ელრესურსები), რა თქმა უნდა, სრულყოფილი და ყოვლისმომცველი არ არის და არც შეიძლება ამის პრეტენზია გვქონდეს. აუცილებელია, თქვენც მოიძიოთ/შექმნათ თქვენთვის, თქვენი მოსწავლეთა საჭიროებებისთვის მნიშვნელოვანი რესურსები. ამასთანავე, არ დაგავიწყდეთ, რომ ყველა ტიპის რესურსს უნდა ახლდეს გამოყენების მკაფიო ინსტრუქცია, რომელშიც ახსნილი იქნება, რა მიზნით შექმენით რესურსი, როგორ გამოიყენება ის სასწავლო პროცესში, რათა თქვენმა სხვა კოლეგებმა, გარკვეული მოდიფიცირების შემდეგ, შეძლონ მისი გამოყენება.

შეგახსენებთ, რომ აუცილებელია კოლეგებთან თანამშრომლობა როგორც კათედრის შიგნით, ისე მის გარეთაც. ასევე, რესურსის რეფლექსიაში მიუთითეთ, რა შედეგს მიაღწიეთ მოსწავლეებთან ამ რესურსის გამოყენებით. კიდევ ერთხელ გავუსვამთ ხაზს, რომ, გარდა ელექტრონული რესურსებისა, მასწავლებლები ძალიან ხშირად იყენებენ მატერიალურ თვალსაჩინოებებს (სქემებს, პლაკატებს, რუკებს, დანადგარებს, მაკეტებს, კოლექციებსა და ა. შ.). ხშირად ტარდება მასწავლებლების მიერ საკუთარი ხელით (შესაძლოა, მეორადი ნივთებითაც) შექმნილი რესურსების გამოფენა, კონფერენციებზე წარდგენა. ასეთი რესურსები (სქემები, დიაგრამები, ისტორიული კროსვორდები ან ლოტოები, პლაკატები და ა. შ.) თქვენც შეიძლება შექმნათ. ფაქტია, რომ სასწავლო რესურსი იწვევს მოსწავლეების დაინტერესებას, ვინაიდან რესურსი ინტერაქტიულია, ანუ მოითხოვს მოცემული თვალსაჩინოებების გაანალიზებას, შეკითხვებზე პასუხის გაცემას, საკუთარი მოსაზრებების გამოთქმას, პრაქტიკულ სამუშაოს. ამიტომ გაკვეთილზე მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული სწავლების პროცესში. რესურსი ორიენტირებულია მოსწავლეთა უნარ-ჩვევების განვითარებაზე, ეს არის გაანალიზების, შედარებისა და დასკვნების გაკეთების უნარი; ისინი რესურსის დახმარებით შეძლებენ დაინახონ, რამდენად მნიშვნელოვანია ყოველდღიურ ცხოვრებაში ორიენტირება, ასევე, მოცემული დავალებების მიხედვით შეძლებენ, იმუშაონ ჯგუფებში და რესურსიდან მიღებულ ინფორმაციას გამოიყენებენ პრაქტიკული მუშაობის დროს; გახსოვდეთ, რომ სასწავლო რესურსში გამოყენებული მასალა დაფუძნებული უნდა იყოს სანდო წყაროებზე, უსაფრთხო უნდა იყოს და არ ავნოს მოსწავლეებს, მაგალითად, მათ მხედველობას. თქვენ მიერ შექმნილი რესურსის შემთხვევაში, გაკვეთილზე მუშაობის პროცესში აუცილებელია, წინასწარ მომზადებული გქონდეთ ცალკე დაბეჭდილი დავალებებიცა და კითხვებიც. თუ რესურსი Power Point-შია შექმნილი, აუცილებელია, ვაჩვენოთ მოსწავლეებს სლაიდრეჟიმში და, კითხვების გამოჩენის შემდეგ, ჯერ დაველოდოთ მოსწავლეების პასუხს, შემდეგ კი შევთავაზოთ სწორი ვარიანტები, რომლებიც კითხვის შემდეგ ჩნდება სლაიდზე. რესურსში არის თვალსაჩინოებები, რომელთა განხილვა მოსწავლეებთან ერთად აუცილებელია და არის პრაქტიკული სამუშაოც, რომელსაც მოსწავ-

ლეები ჯგუფური მუშაობის დროს ასრულებენ; ეს სასწავლო რესურსი იწვევს მოსწავლეების დაინტერესებასა და მთელი კლასის აქტიურ ჩართვას სწავლების პროცესში. გაკვეთილის ჩატარებამდე აუცილებელია, მას კარგად გაეცნოთ, რათა შემდეგ კითხვა-პასუხის რეჟიმი არ დაირღვეს. ასევე, შესაძლებელია, პარალელურად გამოიყენოთ დაფა, ცარცი, ქაღალდები და პასუხები წერილობითაც გააცემინოთ, გაკვეთილის შემდეგ კი ამ ნამუშევრების საშუალებით გააკეთოთ შეფასება თქვენ მიერ შემნილი შეფასების რუბრიკის დახმარებით. რესურსებთან დაკავშირებით რეკომენდაციები მოცემული იქნება ქვემოთ, კონკრეტულ დაგეგმილ გაკვეთილებთან, ასევე, მიგითითებთ ელექტრონული რესურსების სარეკომენდაციო მისამართებს.

მოსწავლის შეფასების პრინციპები

სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში. განმსაზღვრელ შეფასებაში იწერება ქულა. განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორებიცაა: სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემა და სხვ.

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების აღწერილობა

	განმავითარებელი	**განმსაზღვრელი**
მიზანი	სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; მოსწავლის განვითარების ხელშეწყობა	სწავლის ხარისხის გაკონტროლება; მოსწავლის მიღწევის დონის დადგენა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში; აკადემიური მოსწრების დონის განსაზღვრა
შეფასების საგანი	სწავლის პროცესი	სწავლის შედეგი
შეფასების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება	წინსვლის ხელშესაწყობად განსხვავებული აქტივობის შერჩევა, სწავლების სტრატეგიის შეცვლა, რჩევა-დარიგების მიცემა და სხვ.	მომდევნო ეტაპზე (კლასში/საფეხურზე) დაშვება/არდაშვება
წარმატების კრიტერიუმების განსაზღვრა	კონკრეტული მოსწავლის წინსვლის საფუძველზე (საკუთარ მიღწევებთან მიმართებით – რა დონეს ფლობდა, რა დონეს ფლობს)	იმის საფუძველზე, თუ რამდენად მიაღწია სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს (ყველასათვის საერთო, სტანდარტით დადგენილ ნორმასთან მიმართებაში)
შეფასების საშუალებები	თვით/ურთიერთშეფასების რუბრიკა; კითხვარი; სიტყვიერი (ზეპირი/წერილობითი) კომენტარი; უნარის განვითარების დონის აღწერა.	ქულა

სემესტრის მანძილზე მოსწავლეები ფასდებიან შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით:

ა) დამოუკიდებელი სამუშაო;

ბ) საკლასო დავალება;

გ) შემაჯამებელი დავალება.

დამოუკიდებელ სამუშაოსა და საკლასო დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება.

შემაჯამებელი დავალების კომპონენტში აუცილებელია კომპლექსური დავალების შესრულება, რომელიც ფასდება ქულით და აუცილებლად განმავითარებელი კომენტარით.

სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების დროს მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ, რომ საჭიროა ესგ-ის მიხედვით კომპლექსური დავალების ადაპტირება. მნიშვნელოვანია, ადაპტირდეს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები და აქვე გასათვალისწინებელია, რომ გარკვეულწილად შესაძლებელია, მოდიფიცირებულმა კომპლექსურმა დავალებამ ყველა მკვიდრი წარმოდგენა არ მოიცვას.

აქტივობების, ლონისძიებების, პროექტების, პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები

სასწავლო პროცესის სწორად დაგეგმვა მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის წარმატების ერთ-ერთი უმთავრესი განმსაზღვრელი პირობაა. გეგმა საკმაოდ მოქნილი და შემოქმედებითი უნდა იყოს, რათა მასწავლებელმა სასწავლო პროცესის მუდმივი განვითარება შეძლოს. სწორად დაგეგმვისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მრავალფეროვანი აქტივობები გაკვეთილს ინტერაქტიულს გახდის, მოსწავლის მოტივაცია და ინტერესი გაიზრდება. ამის მიღწევა სხვადასხვა სტრატეგიით შეიძლება. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ მრავალფეროვანი კითხვითი აქტივობების გამოყენება ერთ-ერთი საშუალებაა იმისათვის, რომ გაკვეთილი უფრო საინტერესო გავხადოთ. მაგალითად, ისტორიის გაკვეთილზე მასწავლებლის მიზანი ძალიან კონკრეტულია: მოსწავლემ უნდა შეძლოს გარკვეულ მოვლენებს შორის მიზეზშედეგობრიობის გარკვევა. როგორ უნდა გააკეთოს ეს მასწავლებელმა? დავუშვათ, კონკრეტული ისტორიული წყაროების ტექსტის ანალიზის საშუალებით. რა საშუალებებით მოახერხებს ამას? პირველ რიგში, რელევანტური კითხვების დასმით, რომლებზეც პასუხის გაცემის შემდეგ მოსწავლე შეძლებს, დაინახოს გარკვეულ მოვლენებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირი. როგორ მიხვდება მასწავლებელი, მიაღწია თუ არა გაკვეთილის მიზანს? აქაც ერთ-ერთი მეთოდია სხვადასხვა ტიპის კითხვების საშუალებით გარკვევა, დაინახა თუ არა მოსწავლემ მიზეზშედეგობრივი კავშირი. ეს კარგად ჩანს გაკვეთილის ბოლოს, როდესაც გარკვეულ რეფლექსიას ვაკეთებთ და ვსვამთ კითხვებს: რა იყო მოსწავლეებისთვის მარტივი და რა – რთული? რა ისწავლეს მათ? შევძელი ყველა მოსწავლის ჩართვა საგაკვეთილო პროცესში? იყო თუ არა ჩემ მიერ დასმული კითხვები, მიცემული დავალებები და ინსტრუქციები გასაგები? იძლეოდა კი ეს კითხვები და დავალებები

ინტერესის შენარჩუნების საშუალებას? და, რა უნდა გავითვალისწინო მომავალში, რათა გაკვეთილი კიდევ უფრო ინტერაქტიული და საინტერესო გავხადო? ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გვინდა, კიდევ აღვნიშნოთ: გაკვეთილის დაგეგმვის დროს აუცილებელია ისეთი აქტივობების დაგეგმვა, რომლებიც მიგვიყვანს იმ მიზნამდე, შედეგებამდე, რაც წინასწარ დავისახეთ მიზნად. ამ პროცესის დროს, აქტივობებში მრავალფეროვანი კითხვების გამოყენება ხელს შეუწყობს ყველა ემოციური მოსწავლის ჩართვას საგაკვეთილო პროცესში; ეს კი თავისთავად გამოიწვევს ყველა მოსწავლის მიერ იმ სასწავლო შედეგზე (თუნდაც სხვადასხვა დოზით) გასვლას, რაც თავიდანვე დავისახეთ მიზნად. რელევანტური შეკითხვების დასმა აზროვნების ამოქმედების ერთ-ერთი გზაა, რითაც მოსწავლეები საკითხს ღრმად, საფუძვლიანად შეისწავლიან. ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ეს მხოლოდ მრავალფეროვანი კითხვითი სტრატეგიებითაა შესაძლებელი – ამას სხვა მეთოდებით თუ სტრატეგიებითაც მივაღწევთ; მაგრამ მრავალფეროვანი კითხვითი სტრატეგიების გამოყენება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, პროდუქტიული და რელევანტური საშუალებაა, რომ გაკვეთილის/გაკვეთილების მიზანი მიღწეულ იქნას.

პირველ რიგში, კიდევ ერთხელ გაგახსენებთ **ღია და დახურული ტიპის კითხვებს.** დახურული ტიპის კითხვაა ის, რომელიც პირდაპირ პასუხს მოითხოვს. მაგალითად, მითრიდატეს რომელი ომის დროს გამოჩნდნენ რომაელები ქართლში? მოსწავლე პირდაპირ პასუხს გასცემს – III ომის დროს. ასეთი ტიპის კითხვები კარგია მოსწავლეთა ცოდნის შესამოწმებლად. ღია კითხვა მოსწავლეებისგან, ცოდნის გარდა, ფიქრს, აზროვნებას მოითხოვს და ხელს უწყობს ზოგადი და საგნებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური უნარჩვევების განვითარებაში. მაგ., შენი აზრით, შეუძლია თუ არა პირველყოფილი ადამიანის ნამოსახლარს, რამე გვიამბოს წარსულზე? პასუხი დაასაბუთე. ამ მეთოდთან კავშირშია **„მსხვილი“ და „წვრილი“ შეკითხვების** სტრატეგიაც. ამ სტრატეგიას ასე იყენებენ: თემის შესწავლის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს ამ თემაზე სამი „მსხვილი“ და „წვრილი“ შეკითხვის ჩამოყალიბებას. ამის შემდეგ მოსწავლეები ცხრილში ჩაწერილ კითხვებს ერთმანეთს უსვამენ.

„მსხვილი“ შეკითხვები	**„წვრილი“ შეკითხვები**
ამ გრაფაში მოსწავლეებმა უნდა ჩაწერონ იმ ტიპის ღია შეკითხვები, რომლებიც ღრმა, „გაშლილ“ პასუხებს მოითხოვს. მაგ., რა გავლენას ახდენდა პირველყოფილ საზოგადოებაზე კლიმატის ცვლილება?	ამ გრაფაში მოსწავლეებმა უნდა ჩაწერონ იმ ტიპის შეკითხვები, რომლებიც ერთმნიშვნელოვან, (შესაძლებელია „ფაქტობრივ“) პასუხს მოითხოვს. მაგ., რა ჰქვია ბერძნულად ქვის ხანის უძველეს ეპოქას?

ძალიან საინტერესო სტრატეგიაა **შეკითხვების დონეები**. ამ სტრატეგიის გამოყენებისას საჭიროა, მასწავლებელმა კონკრეტული ტექსტის მიხედვით სამი დონის შეკითხვა მოამზადოს. თითოეულ დონეს 2 ან 3 შეკითხვა უნდა შეესაბამებოდეს (შეკითხვების რაოდენობა დამოკიდებულია მოსწავლეთა მომზადების დონესა და შეკითხვების სირთულეზე). ეს სტრატეგია შეიძლება გამოვიყენოთ ისტორიული დოკუმენტების, ლიტერატურული ნაწარმოებების, საგაზეთო სტატიების, ფილმების, ხელოვნების ნიმუშებისა და ფოტომასალის შესასწავლად:

I დონე – ფაქტობრივი შეკითხვები. ამ შემთხვევაში მასწავლებელმა ისეთი შეკითხვები უნდა დასვას, რომლებიც მოსწავლეებს ტექსტში მოცემული ფაქტების დადგენისა და გაგების შესაძლებლობას მისცემს.

II დონე – ლოგიკური შეკითხვები. ამ შემთხვევაში მასწავლებელმა უნდა დასვას ანალიტიკური (პრობლემური) შეკითხვები, რომლებიც მოსწავლეებს ტექსტის რომელიმე მონაკვეთის (შეიძლება, ეს იყოს წინადადება, აბზაცი ან ტექსტის საინტერესო ნაწილი) ანალიზისა და ინტერპრეტაციის საშუალებას მისცემს.

III დონე – უნივერსალური შეკითხვები. ამ შემთხვევაში მასწავლებელმა უნდა დასვას ღია, ზოგადი ხასიათის შეკითხვები, რომლებსაც ტექსტში გადმოცემული იდეები აღძრავს. ეს შეკითხვები, რომლებიც აბსტრაქტულ იდეებსა და პრობლემებს ეხება, მოსწავლეთა შორის დისკუსიის პროვოცირებისკენაა მიმართული.

შემდეგი სტრატეგიაა **„კითხვითი სიტყვები“**. ეს სტრატეგია გამოიყენება იმ დროს, როდესაც მოსწავლეებს წინასწარ გარკვეული წარმოდგენა აქვთ საკვლევი თემის შესახებ და მეტ-ნაკლებად ერკვევიან შესასწავლი მასალის საბაზო ცნებებში. „კითხვითი სიტყვები“ ეხმარება მათ, შექმნან ე. წ. „ინტერესთა ველი“. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ სხვადასხვა ძირითადი ცნება, რომლებიც თემასთანაა დაკავშირებული ან ტექსტშია მოცემული და ჩაწერონ ისინი ორგანყოფილებიანი ცხრილის მარჯვენა ნაწილში. მარცხენა ნაწილში კი მოსწავლეებმა უნდა ჩაწერონ სხვადასხვა კითხვითი სიტყვა (არანაკლებ 8-10). ამის შემდეგ 5-7 წუთის განმავლობაში ჩამოაყალიბონ რაც შეიძლება მეტი შეკითხვა, რომლებშიც შეაზავებენ ცხრილის ორივე ნაწილის ელემენტებს. ეს სამუშაო შეიძლება შესრულდეს როგორც ინდივიდუალურად, ისე წყვილებში. ერთი პირობა! მოსწავლეებმა არ უნდა იცოდნენ პასუხები საკუთარ შეკითხვებზე (რა საჭიროა შეკითხვა, თუ მასზე პასუხი ცნობილია?!). ასე რომ, შეიქმნება რამდენიმე სია სრულიად განსხვავებული შეკითხვებით.

სწავლების დროს მნიშვნელოვანია **დისკუსიის** მეთოდის გამოყენება. როგორც იცით, დისკუსია ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიას რამდენიმე ძირითადი მიზანი აქვს: მოსწავლეები ჩავრთოთ საგაკვეთილო პროცესში და მივცეთ საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა; გავარკვიოთ, რამდენად კარგად გაიგეს საგაკვეთილო მასალა; განუვითაროთ საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები; განვუმტკიცოთ საკუთარი თავის რწმენა. იმისათვის, რომ დისკუსია შედეგიანი იყოს, აუცილებელია, მსჯელობა მხოლოდ შერჩეული თემის ირგვლივ მიმდინარეობდეს. ხშირია შემთხვევები, როცა ხდება თემიდან გადახვევა: მოსწავლეები თემიდან გადაუხვევენ, ახალ აზრს განავითარებენ და მასზე იწყებენ მსჯელობას. მასწავლებელი უნდა ფლობდეს სიტუაციას. კარგი დისკუსია მხოლოდ ის არის, რომელიც ერთ კონკრეტულ მიზანს ემსახურება. მასწავლებელი კი ეხმარება მოსწავლეებს, რომ თემები საინტერესოდ გაიშალოს, რომ მოსწავლეებმა სადისკუსიო თემებზე იმსჯელონ და არა მეორეხარისხოვან იდეებზე. მასწავლებელმა ისეთი შეკითხვები უნდა დასვას, რომლებიც ხელს შეუწყობს დისკუსიის წარმართვას, თემის გაშლას, დაიცავს რეგლამენტს, რათა ყველა მოსწავლეს მიეცეს თანაბარი საშუალება, გამოთქვას თავისი აზრი და გამოხატოს საკუთარი პოზიცია. ამ დროს საჭიროა სოკრატეს მეთოდის გამოყენება: „მე არავის არაფერს ვასწავლი, რადგან თავად არაფერი ვიცი, უბრალოდ,

კითხვებს ვუსვამ“. სოკრატეს მეთოდი გულისხმობს დისკუსიის წარმართვისას პრობლემური შეკითხვების დასმას. მაგ.: რას ფიქრობთ ამის შესახებ? რა განმარტებები გჭირდებათ ამისთვის? ამ ეტაპზე მასწავლებელი არ აძლევს მოსწავლეებს ინფორმაციას, არამედ ცდილობს, მოსწავლეები დამოუკიდებლად მივიდნენ პრობლემის გადაწყვეტამდე. გაკვეთილზე დისკუსიის დროს მასწავლებელს ყველა ტიპის შეკითხვის გამოყენება სჭირდება. დახურული შეკითხვები (კონკრეტული პასუხები) ემსახურება მიზანს – გავიგოთ, რამდენად ისწავლა მოსწავლემ ესა თუ ის საკითხი, შევამოწმოთ ცოდნა. ღია შეკითხვები აუცილებელია დისკუსიის წარმართვის დროს და აზროვნების ზედა საფეხურს განეკუთვნება. ეს ნიშნავს, რომ მოსწავლეს აქვს ცოდნა, აქვს მისი გაგებისა და გამოყენების უნარი და ღია შეკითხვებზე პასუხის გაცემით გადადის აზროვნების მაღალ საფეხურზე: შეაფასოს, დასკვნები გააკეთოს, დაასაბუთოს, შექმნას. სასურველია, დისკუსია დასრულდეს შეჯამებით, დასკვნების გამოტანით, კლასში გაცემული პასუხების ანალიზით.

გაკვეთილი მუზეუმში

თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამებში, ისტორიის გაკვეთილზე დიდი ადგილი ეთმობა აქტივობას – „გაკვეთილი მუზეუმში“. ნებისმიერ მასწავლებელს სხვადასხვა ტიპის (ეროვნული, მხარეთმცოდნეობის, მუზეუმ-ნაკრძალი, სახლ-მუზეუმი და ა. შ.) მუზეუმში შეუძლია გაკვეთილის ჩატარება. ამის საშუალებას ისიც იძლევა, რომ საქართველოს თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში არის სხვადასხვა ტიპის, ძირითადად, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ასეთ მუზეუმებში კი ქვეყნის ან რეგიონის ისტორიას ძირითადი ადგილი ეთმობა. ასე რომ, შეგიძლიათ, სასწავლო პროგრამიდან გამომდინარე, შეარჩიოთ თემა, რომელიც მოერგება როგორც სახელმძღვანელოს პარაგრაფს, ისე კონკრეტული მუზეუმის საგამოფენო სივრცეში წარმოდგენილ მასალას.

მასწავლებლის წიგნის ეს ნაწილი ამ კონკრეტულ აქტივობასთან დაკავშირებით ჩვენს რამდენიმე რეკომენდაციას დაეთმობა. დავუშვათ, თქვენი გაკვეთილი კოლხეთის სამეფოს ეხება. ასეთი გაკვეთილი, შეგიძლიათ, ძალიან ბევრ მუზეუმში ჩაატაროთ, მაგ., ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს, ქუთაისის, ვანის, მარტვილის მუზეუმებში, ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმსა და ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალში და ა. შ.

გაკვეთილის ჩატარებამდე, წინასწარ უნდა მოამზადოთ საკმარისი რაოდენობის ამობეჭდილი წყაროები (წყაროს წაკითხვამ დისკომფორტი რომ არ შექმნას და გაკვეთილის ძირითადი დრო არ წაიღოს, მაქსიმუმ 2 წყარო შეარჩიეთ. იმავე მიზეზით, სასურველია, ტექსტი გვერდის მესამედს არ აღემატებოდეს), ასევე, ის შეკითხვები და დავალებები, რომლებსაც მოსწავლეებს გაკვეთილის დროს გააცნობთ. სასურველია, და არა აუცილებელი, თუ მოსწავლეები წინასწარ მოიძიებენ ინფორმაციას შესასწავლ თემასა და იმ მუზეუმზე, სადაცაა დაგეგმილი გაკვეთილის ჩატარება.

მუზეუმში გაკვეთილის დაწყების პირველ ეტაპზე, საგამოფენო სივრცეში შესვლამდე, შეგიძლიათ დაურიგოთ წყაროები (1 ან 2 წყარო) და დასვათ შეკითხვები, მაგალითად,

ასეთი: რა იყო ძველი კოლხეთის ძირითადი ეკონომიკური პრიორიტეტები? წყაროდან (წყაროებიდან) ამოკრიფეთ ინფორმაცია, რომელიც ეხება კოლხეთის სამეფოს პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ ასპექტებს! შემდეგ მოსწავლეებს შეიყვანთ საგამოფენო სივრცეში და იქ გააგრძელებთ კითხვების დასმას; მოსწავლეები ვიტრინებში დაინახავენ სხვადასხვა ტიპის მასალას: სამეურნეო და სუფრის ჭურჭელს, სამეურნეო და საბრძოლო იარაღს და ა. შ. დავუშვათ, მოსწავლეები მიიყვანეთ ვიტრინასთან, სადაც გამოფენილია სამეურნეო იარაღი. აქ შეგიძლიათ დასვათ წინასწარ მომზადებული კითხვები, რომელთა შედგენის დროს გამოიყენეთ **სტრატეგია „წვრილი“ და „მსხვილი“** შეკითხვები. დაიწყეთ წვრილი შეკითხვებით: რა იარაღებს ხედავთ ამ ვიტრინაში? რაში იყენებდნენ მათ? მოსწავლე, სავარაუდოდ, გიპასუხებთ, რომ ეს არის თოხი, ბარი ან წალდი და დაასახელებს მათ ფუნქციას. შემდეგ გადახვალთ „მსხვილ“ შეკითხვებზე: ამ ტერიტორიაზე, დავუშვათ, ცენტრალურ კოლხეთში და ამ პერიოდში (დავუშვათ, ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებში) ასეთი იარაღის აღმოჩენა მეურნეობის რომელი დარგის განვითარებაზე მეტყველებს? როგორ ფიქრობ, სხვა მასალა რომ არ ვნახოთ, შეგვიძლია თუ არა ამ იარაღებზე დაყრდნობით ვისაუბროთ მისი შემქმნელი საზოგადოების განვითარების დონეზე? შენი აზრით, როგორ მოქმედებს კონკრეტული გეოგრაფიული გარემო და კლიმატი მეურნეობის ამა თუ იმ დარგის განვითარებაზე? ამ შემთხვევაში თქვენი მოლოდინებია: მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ ცენტრალური კოლხეთის გეოგრაფიული გარემო ხელსაყრელია მიწათმოქმედების განვითარებისთვის, რაზეც ამ ვიტრინაში გამოფენილი სამეურნეო იარაღი მეტყველებს; ასევე ისაუბრებენ მიწათმოქმედების როლზე საზოგადოებისა და სხვადასხვა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, კოლხური ცივილიზაციის განვითარებაში (შეგიძლიათ, ამ ვიტრინაში გამოფენილ ნივთებთან ერთად, გამოიყენოთ ის ვიტრინები, სადაც წარმოდგენილია სამეურნეო დანიშნულებისა და სუფრის ჭურჭელი).

ამის შემდეგ გადაინაცვლებთ შემდეგ ვიტრინასთან, სადაც წარმოდგენილია იმპორტული ნაწარმი – ბერძნული ამფორები, დერგები, სასმისები, ლანგრები, მინის ნაწარმი და ა. შ. ამ შემთხვევაში შეგიძლიათ, გამოიყენოთ **სტრატეგია „შეკითხვების დონეები“:** თქვენ წინასწარ უნდა მოამზადოთ „ფაქტოლოგიური“, „ლოგიკური“ და „უნივერსალური“ შეკითხვები: 1. რისთვის გამოიყენებოდა თითოეული ეს ჭურჭელი? (ფაქტოლოგიური); 2. დააკვირდით ამფორების ფორმას. რატომ ჰქონდათ მათ ასეთი ფორმა? რაზე უნდა მიუთითებდეს ის? პასუხი დაასაბუთეთ (ლოგიკური); ამ შემთხვევაში მოსწავლემ ან უნდა გაიხსენოს, ან მიხვდეს, რომ ამფორა ძირითადად სითხის გადასატანი ჭურჭელია და ასეთი ფორმა იმიტომ ჰქონდა, რომ გემზე ან საზიდარზე კარგად დამაგრებულიყო. თუ პასუხის გაცემას ვერ შეძლებენ, თქვენ დაეხმარეთ. 3. ამ ვიტრინებში გამოფენილი ბერძნული კერამიკული და მინის ნაწარმი რა პროცესებზე უნდა მეტყველებდეს? რომელ ისტორიულ მოვლენას დაუკავშირებდით? (უნივერსალური). მოსწავლეებმა უნდა ისაუბრონ ბერძნულ კოლონიზაციაზე, მის მიზეზებსა და შედეგებზე, კოლხეთთან ბერძნული სამყაროს ურთიერთობაზე და ა. შ. ამის შემდეგ შეგიძლიათ, გამოიყენოთ **სტრატეგია „კითხვითი სიტყვები“.** მოსწავლეებს წინასწარ დაურიგეთ გამზადებული ცარიელი ცხრილები. მიაქციეთ ყურადღება, რომ ვერტიკალური სვეტების რაოდენობა ცხრილში 10-მდე იყოს.

კითხვითი სიტყვები	**ძირითადი ცნებები**

ცხრილის სვეტებში მოსწავლეებმა უნდა ჩაწერონ კითხვითი სიტყვები და ის ძირითადი ცნებები, რომლებიც წინა აქტივობების დროს გამოიყენეს. ცხრილმა შესაძლოა ასეთი სახე მიიღოს (ეს ჩვენ მიერ შემოთავაზებული ვერსიაა და არ არის აუცილებელი, მოსწავლემ იგივე სიტყვები გაიმეოროს).

კითხვითი სიტყვები	**ძირითადი ცნებები**
რა?	კოლონიზაცია
რომელი?	ამფორა
როგორი?	ტრანსპორტი
რატომ?	ჭურჭელი
ვინ?	ბერძნები
სად?	კოლონია
და ა. შ.	

ამ შემთხვევაში მოსწავლეებმა შეიძლება ერთმანეთს დაუსვან შემდეგი კითხვები: **რა** არის **ამფორა? რომელ ტრანსპორტზე** მაგრდებოდა ამფორა? **როგორ** მოდიოდნენ **ბერძნები** კოლხეთში? **რატომ** დაიწყო ბერძნული **კოლონიზაცია?** შენი აზრით, **ვინ** სარგებლობდა ძვირად ღირებული ბერძნული შავლაკიანი თიხის **ჭურჭლით** და მინის ნაკეთობებით? კიდევ **სად** მდებარეობდა ბერძნული **კოლონიები**?

სასურველია, რომ ეს აქტივობა წყვილებში ან ჯგუფებში ჩაატაროთ და ერთგვარი შეჯიბრის ხასიათი მისცეთ.

აქ მოკლედ გადმოგეცით აქტივობა მუზეუმში, რომელიც შეიძლება სხვა თემებზეც ჩაატაროთ (იგივე შესაძლოა მოარგოთ გაკვეთილს „ბერძნული კოლონიზაცია“). ჩვენი მუზეუმები იმის საშუალებას იძლევა, რომ იქ წარმოდგენილ სხვადასხვა ექსპოზიციას კონკრეტული ან შემაჯამებელი გაკვეთილის თემატიკა მოარგოთ.

რა განსხვავება/მიმართებაა კომპლექსურ დავალებასა და შემაჯამებელ დავალებას შორის?

კომპლექსური დავალება დავალების ტიპია, ტერმინით „შემაჯამებელი“ კი განისაზღვრება სტატუსი/ფუნქცია, რომელიც სწავლა-სწავლების პროცესში ზოგიერთ დავალე-

ბას ენიჭება. მაგალითად, სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებელმა შეიძლება საკუთარ მოსწავლეებთან 10 კომპლექსური დავალება განახორციელოს, აქედან სამს კი შემაჯამებელი დავალების სტატუსი მიანიჭოს (იმის მიხედვით, რამდენი შემაჯამებელია სავალდებულო მის საგანში, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით). ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით, ყველა შემაჯამებელი დავალება კომპლექსური ტიპის უნდა იყოს (არ შეიძლება შემაჯამებლის სტატუსი მიენიჭოს მხოლოდ პროცედურულ და დეკლარატიულ ცოდნაზე ორიენტირებულ სავარჯიშოებს).

რატომ შეუწყობს სწავლა-სწავლებისა და შეფასების დაფუძნება კომპლექსურ დავალებებზე ხელს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიღწევას?

ეროვნული სასწავლო გეგმა საქართველოს სკოლების პედაგოგებს ორი ტიპის მოთხოვნებს უყენებს:

1. სწავლა-სწავლების ორიენტირება გრძელვადიან მიზნებზე (საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები);
2. სწავლა-სწავლების დაფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე.*

პირველი მოთხოვნის (გრძელვადიან მიზანზე ორიენტირება) პრაქტიკაში რეალიზება ხდება სამიზნე ცნებების საშუალებით. საამისოდ საკმარისია, რომ პედაგოგმა სამიზნე ცნებებზე ორიენტირებულად დაგეგმოს სასწავლო საკითხებისა და თემების სწავლა-სწავლება.

მეორე შემთხვევაში კი, მთავარი როლი კომპლექსურ დავალებებს ენიჭება. მისი საშუალებით ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის ხუთივე პრინციპის პრაქტიკაში რეალიზება. კერძოდ, კომპლექსური დავალებების საშუალებით მოსწავლე:

1) აქტიურია და ჩართულია აქტიურ შემოქმედებით პროცესებში (**პრინციპი 1**);

2) ახალ ცოდნამდე მიდის წინარე ცოდნის საშუალებით (**პრინციპი 2**);

3) ახალ ცოდნას უკავშირებს რეალურ ცხოვრებასა და სხვა საგნობრივ საკითხებს (**პრინციპი 3**);

---

* **სწავლა-სწავლების 5 პრინციპი** – ეროვნულ სასწავლო გეგმაში კონსტრუქტივისტული მიდგომები აღიწერება 5 საგანმანათლებლო პრინციპის სახით. სკოლა და მასწავლებლები ვალდებული არიან, სწავლა-სწავლება და შეფასება მათზე დაფუძნებით წარმართონ.

1. **მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურება: აქტიური სწავლა** – სწავლა-სწავლების პროცესი ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლის აქტიურ, შემოქმედებით საქმიანობას (კვლევა, შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა და ა.შ.) და არა პასიური მსმენელის მდგომარეობაში ყოფნას;
2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით** – სწავლა-სწავლების პროცესში თანდათანობით უნდა ხდებოდეს მოსწავლის მიყვანა ახალ ცოდნამდე (და არა ახალი მასალის ერთბაშად და მოუმზადებლად მიცემა);
3. **ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება** – სწავლა-სწავლების პროცესი ხელს უნდა უწყობდეს სამიზნე ცნების გარშემო ურთიერთდაკავშირებულ ცოდნათა აგებას (და არა გაფანტულ-დანაწევრებული ინფორმაციის მიწოდებას);
4. **სწავლის სწავლა** – სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტი უნდა კეთდებოდეს არა მხოლოდ იმაზე, რას სწავლობს მოსწავლე, არამედ იმაზეც, როგორ სწავლობს;
5. **ცოდნის სამი კატეგორია (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული)** – სწავლა-სწავლების პროცესში მხოლოდ თეორიული მასალის დამახსოვრებაზე კი არ უნდა კეთდებოდეს აქცენტი, არამედ ყურადღება უნდა მიექცეს პროცედურებსაც და თეორიული მასალის ცხოვრებაში პრაქტიკულ გამოყენებას.

4) მასწავლებელს საშუალება აქვს, განსაზღვროს არა მხოლოდ ის, თუ რას სწავლობს, არამედ როგორ სწავლობს მოსწავლე (**პრინციპი 4**);

5) ორიენტირებულია არა მხოლოდ დამახსოვრებასა და პროცედურების გააზრებაზე, არამედ მათ ცხოვრებასთან დაკავშირებაზე (**პრინციპი 5**).

კომპლექსური დავალებები სასწავლო პროცესში შუალედური მიზნების როლს ასრულებს.

სამიზნე ცნება წარმოადგენს გრძელვადიანი მიზანის, რომელი მიმართულებით ცოდნის გაღრმავებაც მოსწავლეს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების (შედეგები, მიზნები) დაძლევამდე მიიყვანს.		**საგნობრივი საკითხი** – არის ერთეული, რის საფუძველზეც ამა თუ იმ საგნის შინაარსი იყოფა. ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტში საკითხები სავალდებულო სახით არ არის განსაზღვრული. მასწავლებელს თავად შეუძლია სწავლა-სწავლების პროცესში მიზნის (სამიზნე ცნება, შედეგი) შესაბამისი საკითხის შერჩევა.		**კომპლექსური დავალება** არის შემოქმედებითი პროდუქტი, რომლის შექმნა-პრეზენტაციითაც მოსწავლე საკუთარ ცოდნას ადასტურებს საგნობრივ საკითხთან და იმ სამიზნე ცნებებთან მიმართებით, რომლებსაც საგნობრივი საკითხი უკავშირდება.

ინფორმაცია მოსწავლის წიგნის/რვეულის შესახებ

მოსწავლის წიგნი შედგება 2 თემისა (I თემაში 3 ქვეთავია და მეორეში კი – 4) და 25 პარაგრაფისგან. სახელმძღვანელოს პარაგრაფებს დართული აქვს მდიდარი ვიზუალური მასალა (რუკები, ფოტოები). მოსწავლეს ეძლევა დავალებები, სადაც მან უნდა გააანალიზოს რუკები თუ სხვა ვიზუალური მასალა. ასევე პარაგრაფებში მოცემულია პირველადი და მეორეული წყაროები. მოსწავლემ უნდა წაიკითხოს და გააანალიზოს ისინი. თითოეულ ქვეთავს დართული აქვს შემაჯამებელი კომპლექსური სამუშაოები, რომელთა შესასრულებლად გათვალისწინებულია რამდენიმე დღე. ჩვენ მიერ გამოყენებული პირობითი ნიშნები განმარტებულია მოსწავლის წიგნში, ამიტომ აქ მათი ხელმეორედ განმარტება ზედმეტად მიგვაჩნია. მოსწავლის რვეულში განთავსებულია სხვადასხვა ტიპის დავალება: აქ არის კონტურული რუკები, რომლებიც მოსწავლეებმა უნდა შეავსონ; შესავსები ცხრილები, სადაც სხვადასხვა ტიპის წყაროდან (რუკა ან წერილობითი წყარო) მოპოვებული ინფორმაცია უნდა გადაიტანონ ან დააჯგუფონ.

განმარტება მოსწავლის რვეულის შესახებ

ისტორია ამბებსა და ბიოგრაფიებში

ამ ნაწილში თავმოყრილია ამბები, რომლებიც სასწავლო მასალას ნარატივით ავსებს და მოსწავლეს საშუალებას აძლევს, ნათლად წარმოიდგინოს ესა თუ ის ისტორიული პროცესი, გაერკვეს დეტალებში, რის საშუალებასაც სახელმძღვანელო ყოველთვის არ იძლევა. გაეცნოს იმ ადამიანების ბიოგრაფიებს (ან მონაკვეთებს ბიოგრაფიიდან), რომლებმაც (მსოფლიოსა თუ საკუთარი ქვეყნის) ისტორიაში დიდი როლი ითამაშეს. ეს ნარატივები სასწავლო მასალას მეტ ინტერესსა და ხალისს შესძენს.

მასწავლებლის წიგნის დასკვნითი ნაწილი

ჩვენი საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, ამ ნაწილში არ მოგაწვდით პასუხებს მოსწავლის წიგნის კითხვებსა და დავალებებზე. ისტორია არც მათემატიკაა და არც ფიზიკა, სადაც ამოცანების პასუხები სიზუსტეს მოითხოვს და აუცილებლად უნდა იყოს განთავსებული მასწავლებლის წიგნში. ჩვენი დავალებების უმეტესობა სააზროვნოა, სადისკუსიოა და ნებისმიერი ლოგიკური პასუხი შეიძლება სწორად იქნეს აღქმული. სამაგიეროდ, მასწავლებლის წიგნის ამ ნაწილში მოგაწვდით ინფორმაციას თქვენთვის მნიშვნელოვანი ლიტერატურის შესახებ. წარმოგიდგენთ როგორც წიგნებისა და სტატიების სიას, ისე ელექტრონულ მისამართებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. I, 1970 წ.
2. საქართველოს ისტორია ოთხ ტომად. 1, 2012 წ.
3. **ქართული დიპლომატიის ისტორია.** ქრესტომათია. 2004 წ.
4. **ლ. ახვლედიანი.** ვიზუალური წყაროს ანალიზი. mascavlebeli. ge, 23 იანვარი, 2017 წ.
5. **ლ. ახვლედიანი.** სასწავლო სტრატეგიების გამოყენება ისტორიის სწავლებაში. mascavlebeli. ge, 11 სექტემბერი, 2017
6. **ლ. ახვლედიანი.** სასწავლო სტრატეგიების გამოყენება ისტორიის სწავლებაში. (მეორე ნაწილი). mascavlebeli. ge, 19 მაისი, 2017 წ.
7. **მ. ბოჭორიშვილი, ნ. ნამიჭეიშვილი, ნ. ნაბულიშვილი.** ინტერაქტიული მეთოდები, 2014 წ.
8. **ჯ. დიუი.** როგორ ვაზროვნებთ. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2013 წ.
9. **ჯ. დიუი.** სკოლა და საზოგადოება. ბავშვი და ცოდნის სტანდარტი. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი 2013
10. **მ. ს. დონოვანი, კ. დ. ბრენსფორდი.** როგორ ვსწავლობთ: ისტორია, მათემატიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. განათლება გონიერებისთვის. სტატიები განათლების საკითხებზე. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2010 წ.
11. **ს. ლობჟანიძე.** როგორ დავგეგმოთ მოქნილი და შემოქმედებითი გაკვეთილი? მასწავლებლის წიგნი. ინტერაქტიული მეთოდები პრაქტიკაში. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2016 წ.
12. **მ. მაისურაძე.** თანამშრომლობითი სწავლების ზოგიერთი საკითხი. mascavlebeli.ge, 16 იანვარი, 2019 წ.
13. **რ. ჯ. მარზანო, ი. ს. მარზანო, დ. ჯ. ფიქერინგი.** კლასის მართვა. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2016 წ.
14. **მ. მელიქიშვილი.** კონსტრუქტივიზმი. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2012 წ.
15. **მ. მელიქიშვილი.** ჟან პიაჟეს კოგნიტური განვითარების თეორია. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2012 წ.
16. **დ. უზნაძე.** ბავშვის ფსიქოლოგია. 1947 წ.
17. **დ. უზნაძე.** განწყობის ფსიქოლოგია. shorturl.at/bhswX
18. **ლ. ფხოველიშვილი.** დისკუსია – სწავლების ეფექტური მეთოდი. mascavlebeli.ge, 5 ივნისი, 2019 წ.
19. **ჯ. ქარფიზი.** კოგნიტური პროცესები კრიტიკულ აზროვნებაში. განათლება გონიერებისთვის. სტატიები განათლების საკითხებზე. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2010 წ.
20. **დ. ჩივაძე.** საკლასო ოთახის ეკრანი ყველა პედაგოგისათვის. mascavlebeli.ge, 4 ოქტომბერი, 2019 წ.
21. **დ. ჩივაძე.** როგორ დავწეროთ ხუთაბზაციანი ესე. mascavlebeli.ge, 1 მაისი, 2019 წ.

22. **თ. ჭანტურია.** მრავალმხრივი ინტელექტის თეორია. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2012
23. **თ. ჭყოიძე.** აზროვნება საკუთარი აზროვნების შესახებ. mascavlebeli.ge, 11 ოქტომბერი, 2013 წ.
24. **ს. ჯანაშია.** როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება. მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, 2007 წ.
25. **ე. ჰარგრივსი.** სწავლება ცოდნის საზოგადოებაში: განათლება გონიერებისთვის. სტატიები განათლების საკითხებზე. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2010 წ.
26. shorturl.at/clrt8 – ამ გვერდზე ისტორიის სწავლების თანამედროვე მეთოდებით დაინტერესებული მასწავლებელი საინტერესო რესურსებს, მულტიმედიამასალებს და სადისკუსიო თემებს იხილავს.